პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
28 თებერვალი პარასკევი 2014
№ 039 (14 260) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცვლილებები ნაკრებში

## ქეცბაიას ლადო დვალიშვილი დასჭირდა



3

# სიჭინავა: მაშინ დაჯექი ჩემს ადგილას!..

## სად ჩატარდება ჩიხურა-დინამო?



3

# დიდი მატჩები იტალიაში

## ზეედორფს კონტე გამოსცდის






ევროთასების წინ

5-9

# ტოტენჰემმა დნეპრი ძნელად გადალახა

## უკრაინა ევროპის გარეთ დარჩა, საქართველო ერთი ქართველით




მარცხნივ ჟაბა კანკავა

5

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცნაური დასაწყისი

ორი სენსაციური შედეგი, ბოლო წუთების დრამა, კურიოზული გოლი და „ფეირ პლეის“ წესების დაცვა, სატურნირო ინტრიგა, უცხოელი და ქართველი დებიუტანტები, ხანგრძლივი პაუზის მერე საქართველოს ჩემპიონატში დაბრუნებული ფეხბურთელები - აი, ასე „მოვლენებდახუნძლული“ გამოდგა XIX ტური!

ჰო, მართლაც უცნაური „სცენარი“ ჰქონდა 2014 წელს ჩატარებულ პირველ ტურს და ჩვენს სტადიონებზე გულშემატკივართა რაოდენობის გაზრდასთან ერთად ჩემპიონატის დონეც... სულ ოდნავ რომ ამაღლდეს, აი, მაშინ კი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელთა მსგავსად, ჩვენც ვიტყოდით, ქართულ ფეხბურთში წინსვლა არისო!..

ახლა კი, XIX ტურის გამორჩეულ ფაქტებსა თუ მოვლენებზე, მით უფრო, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასეთი მართლაც ბევრი იყო...


დინამო-სიონის მატჩში ბრძოლაც იყო

## დინამოს ახალი ანტირეკორდი...

...2011-12 წლების სეზონში „დინამომ“ ანტირეკორდები რომ შემოგვთავაზა, ალბათ, ბევრს ემახსოვრება: საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში გუნდი პირველად ვერ მოხვდა საპრიზო სამეულში, 1994 წლიდან მოყოლებული, ასევე პირველად ვერ იასპარეზა ევროტურნირებზე, უშუალოდ ჩემპიონატის მსვლელობაში კი ზედიზედ 8 ფრე ითამაშა!

ამას გარდა, „დინამომ“ იმ სეზონში კიდევ ერთი რეკორდი დაამყარა: მანამდე ხომ ჩემპიონატში ზედიზედ სამი შეხვედრა არასდროს ჰქონდა წაგებული...

და აი, ახალი ანტირეკორდიც: XXV ჩემპიონატს ვატარებთ და პირველად სწორედ ამ სეზონში მოხდა, როცა ჩვენი ყველაზე ტიტულიანი გუნდი ზედიზედ ორ საშინაო შეხვედრაში დამარცხდა!..

## ...და დიდსულოვნება!

გუშინაც ვწერდით, „დინამო“-“სიონის“ შეხვედრაში მართლაც უცნაური ფაქტი რომ მოხდა: ბოლნისელმა ფეხბურთელებმა ბურთი აუტში შეგნებულად გადააგდეს, რადგან ერთ-ერთი დინამოელი დაშავებული გახლდათ. მასპინძელთა ახალწვეულმაც **იენს იანსემაც** აუტიდან ბურთი იქვე მყოფ თანაგუნდელ **ჩისკოს** დაუგდო, რომელსაც მეტოქეთაგან არავინ ავიწროებდა - როგორც ფეხბურთის „დაუწერელ კანონში“ წერია, ასეთ დროს, მოედანზე თუ ტრიბუნებსა მყოფი მხოლოდ და მხოლოდ იმას ელოდება, რომ ბურთი კვლავაც მეტოქეს დაუბრუნო.

ჰოდა, წინა სეზონის ნომერ პირველმა ფეხბურთელმა და ბომბარდირმა ჩისკომ, ეს ბურთი თავისი მოხდენილი „ცაციათი“... მეტოქის დაუცველი კარის „ცხრიანში“ ზუსტად გაგზავნა! ძნელია ამტკიცო, ესპანელმა ლეგიონერმა ეს ყველაფერი შეგნებულად გააკეთა თუ უნებლიეთ გამოუვიდა უზუსტესი დარტყმა, თუმცა, ერთობ არასასიამოვნო ამბავი რომ მოხდა, ამას არავინ უარყოფს; მაგრამ, ეს კიდევ არაფერი: ბევრად უფრო კომიკური სიტუაცია ამის შემდეგ შეიქმნა!

ჰო, ცალკე „სიონის“ ფეხბურთელები „ურჩევდნენ საქმეს“ „დინამოს“ ესპანელ ლეგიონერს, ცალკე დინამოელები ფიქრობდნენ საპასუხო და მართლაც ვაჟკაცური ჟესტის გაკეთებას, ცალკე კი... მსაჯთა ბრიგადას ეტყობოდა, ცოტა არ იყოს, დაბნეულობა და თამაშიც, სულ მცირე, 2-3 წუთით შეჩერებული იყო. მართლაც კურიოზი მოხდა, მაგრამ გამოცდილმა არბიტრმა **ლაშა სილაგავამ** ბურთი რომ ჩათვალა, ამაში აბსოლუტურად მართებული გადაწყვეტილება მიიღო.

თუმცა, კურიოზი და „უცნაურობა“ მოედნის ცენტრიდან თამაშის განახლებას მოჰყვა: „დინამომ“ მართლაც დიდი სულგრძელობა გამოიჩინა და **გიორგი კახელიშვილმაც** ცენტრიდან გორებგორებით წამოღებული ბურთი ისე შეაგორა ცარიელ კარში, გზად არავინ „გადაჰყრია“! აი, ასეთი რამეებიც ხდება ფეხბურთში, თუმცა საპირისპირო შემთხვევებიც ვიცით, აი, თუნდაც აზერბაიჯანის თასის ფინალში რამდენიმე წლის წინათ მომხდარი თითქმის ანალოგიური ამბავი; ოღონდ, მაშინ ისე მოხდა, რომ ერთ-ერთმა ფეხბურთელმა, ჩისკოს მსგავსად, ბურთი მეტოქეს კი არ დაუბრუნა, გოლი გაიტანა და ყველა რომ ელოდა, ამას უკვე მოწინააღმდეგის „საპასუხო“ გოლი მოჰყოლოდა, წურას უკაცრავად!

ანუ, ვითომც არაფერი მომხდარაო, ეს გოლიც „შერჩათ“ და თასიც! საბედნიეროდ, „დინამოს“ სამწვრთნელო შტაბსა თუ ფეხბურთელებს მსგავსი რამ გულში არ გაუვლიათ და თანაგუნდელის ნებსით თუ უნებლიეთ დაშვებულ შეცდომას დიდსულოვანი ჟესტით უპასუხეს.

## ბოლნისიდან ევროპისკენ გაიხედეს...

რვაწლიანი პაუზის შემდეგ „სიონს“ ევროტურნირების საგზურის მოპოვების რეალური შანსი გაუჩნდა! აი, რა შედეგი მოიტანა სწორმა და მიზანმიმართულმა მუშაობამ: უმაღლესი ლიგის ყველაზე ასაკოვან გუნდს უკვე ოთხი თვეა ოფიციალური მატჩი არ წაუგია და ეს ათმატჩიანი დაუმარცხებელი სერიაც, როგორც გუშინაც აღვნიშნეთ, ყველამ კანონზომიერებად უნდა მიიღოს.

ისე, როგორც, „სიონის“ გამარჯვება იყო ამ ტურში კანონზომიერი: ახალგაზრდა სპეციალისტის **ლადო ბურდულის** მიერ არჩეული ტაქტიკაც აბსოლუტურად მართებული გამოდგა და ამ დებიუტანტი მწვრთნელის მიერ უშუალოდ თამაშის დროს მომხდარი გადაადგილებები; ანუ, ფაქტია, რომ „დინამოსთან“ მატჩში ბურდულის მიერ განხორციელებული სამივე შეცვლა ეფექტიანი გამოდგა: ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, გამარჯვების მომტანი გოლი ხომ შეცვლაზე შემოსულმა 21 წლის ფორვარდმა **ჯაბა უგულავამ** გაიტანა!

...“სიონი“ უმაღლეს ლიგაში 1995-96 წლების სეზონში გამოჩნდა და იქიდან მოყოლებული, მხოლოდ მეხუთედ შეძლო „დინამოს“ დამარცხება; ანუ, ლადო ბურდული ბოლნისური კლუბის ისტორიაში შევიდა და იმ მწვრთნელებს შეუერთდა, რომელთა ხელმძღვანელობითაც „სიონს“ სხვადასხვა დროს „დინამო“ დაუმარცხებიათ. ეს კი მოახერხეს: **თემურ მახარაძემ** (ორჯერ), **კახა ცხადაძემ** და **გიორგი ყიფიანმა**; თუმცა, 2014 წლის 26 თებერვლის გამარჯვებას მაინც სხვა „ფასი“ ჰქონდა: „სიონმა“ ხომ პირველად შეძლო „დინამო-არენაზე“მოგება!..

## ტურის სიმბოლური ნაკრები




## საბანაძე ჰეთ-თრიქით დაბრუნდა

განახლებული სეზონის მთავარ ინტრიგად „ზესტაფონის“ გაძლიერებას მივიჩნევდით და ასეც მოხდა: **გია გეგუჩაძის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე იმერულმა კლუბმა, გამოტოვებული მატჩის („სპარტაკთან“) მსგავსად, ამჯერადაც 3:0 მოიგო და სამეულში დამკვიდრებაზე კი არა, საჩემპიონო ამბიციაზეც გააკეთა „მინიშნება“.

ანდა, რატომაც არ უნდა ჰქონდეს ასეთი ამბიცია. მსგავსი დაბალანსებული შემადგენლობით (პლუს მწვრთნელ-ფეხბურთელთა კვალიფიკაცია) ხომ ბევრი ვერ დაიკვეხნის; თანაც, „ზესტაფონის“ მეტოქეებს სერიოზულზე-სერიოზული თავსატეხიც გაუჩნდათ: ერთ მატჩში რომ **დიმიტრი ტატანაშვილისა** თუ **რევაზ გეწაძესგან** უნდა მოელოდნენ საფრთხეს, მეორეში - **გრიგოლ დოლიძისა** თუ **ნიკა საბანაძისგან** და ასე შემდეგ.

ნიკა საბანაძე შემთხვევით არ გვიხსენებია: 22 წლის ფორვარდი მართლაც გამორჩეულია თანაამპლუელთა შორის და უმაღლეს ლიგაში სადებიუტო სეზონშივე მიიპყრო ყურადღება თავისი არაორდინარული თამაშის მანერით; უკი არა, იმასაც ველოდით, რომ ამ ნიჭიერ თავდამსხმელს სანაკრებო პრეტენზიაც ექნებოდა, თუმცა გარკვეულ მიზეზთა გამო ასე არ მოხდა; პირველ ეტაპზე კი, როცა „ტორპედოს“ **ჟერარდ სარაგოსა** წვრთნიდა, ბოლო მატჩებში ძირითადშიც ველარ ვხედავდით და ესპანელი სპეციალისტი ამის მიზეზად ფეხბურთელის ხასიათს ასახელებდა.

და აი, ბევრი ტორპედოელის მსგავსად, საბანაძემ ამ ზამთრის სატრანსფერო პაუზის დროს გუნდი გამოიცვალა და გია გეგუჩაძეს დაუბრუნდა; ჰოდა, შედეგმაც არ დააყოვნა: კარიერაში პირველი ჰეთ-თრიქი შეასრულა! არადა, პირველ ეტაპზე საბანაძეს სულ 3 გოლი ჰქონდა გატანილი და აქედან - ორი... „ზესტაფონის“ კარში...

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე სეზონში ეს „ჰეთ-თრიქის“ მხოლოდ მესამე შემთხვევაა: ერთ მატჩში სამი გოლი მანამდე **დორინ გოგასა** და **ჩისკოს** (ორივე - „დინამო“) ჰქონდათ გატანილი.

## სადებიუტო მატჩები, გოლები...

გასულ ტურში სამ ლეგიონერს ჰქონდა საქართველოს ჩემპიონატში დებიუტი: 31 წლის ლატვიელ **იგორს სავჩენკოვს** („ტორპედო“), 19 წლის ნიგერიელს **ბენჯამინ ტეიდს** („გურია“), 23 წლის ჩერნოგორიელ **ჯორჯე კრკელიჩს** („ზუგდიდი“) და ნიგერიელ **ჩუკურან უკუბილეს** („მერანი“).

ამათ გარდა, უმაღლეს ლიგაში სადებიუტო მატჩები ჩაატარეს: 21 წლის **გიორგი კალანდიამ**, 20 წლის **ვალიკო გახარიამ** (ორივე-“ვიტ ჯორჯია“), 17 წლის **ზურაბ გელაშვილმა**, 19 წლის **გოგი გოგიჩაიშვილმა**, 22 წლის **თორნიკე ჩადუნელმა** (ყველა - „ტორპედო“), 18 წლის **ლევან შენგელიამ** („დილა“) და 19 წლის **ბაკურ ნიკოლაძემ** („ზუგდიდი“).

...დებიუტანტების თემას განვავრცობთ და ის ფეხბურთელებიც უნდა ვახსენოთ, უმაღლეს ლიგაში სადებიუტო გოლები რომ გაიტანეს: 21 წლის **ლაშა პარუნაშვილი** („სპარტაკი“) და 21 წლის **ვარლამ კილასონია** („მეტალურგი“). აი, რაც შეეხებათ მათზე ბევრად გამოცდილ ფეხბურთელებს, 29 წლის **გიგა კვერენჩხილაძემ** („გურია“) და 28 წლის **მამუკა ლონლაძემ** („ტორპედო“), ამ ორმა ფორვარდმა უმაღლეს ლიგაში რამდენიმეწლიანი პაუზის მერე დაბრუნება გოლებით აღნიშნეს.

თუმცა, ყველაზე „ხმაურიანი“ დაბრუნება სხვას უნდა ჰქონოდა, მაგრამ საქართველოს ჩემპიონატში თითქმის რვაწლიანი პაუზის მერე გამოჩენილი **ოთარ მარცვალაძის** დებიუტი „დინამოში“ წაგებულ მატჩს დაემთხვა. თანაც, „ნამდვილ“ მარცვალაძეს, ალბათ, მალე ვნახავთ, - როგორც კი ოპტიმალურ ფორმაში შევა, აი, მეტოქეთა მცველ-მეკარეებს თავსატეხი მერე ექნებათ...

**გია ტუხაშვილი**

| 2.03. თბილისი. მ. მესხი (სათადარიგო მოედ) 15:00 | 2.03. სამტრედია. ე. მანჯგალაძე 15:00 | 2.03. მცხეთა. მცხეთა პარკი 15:00 |
|---|---|---|
| **სიონი** | **მერანი** | **ვიტ ჯორჯია** |
| ურთიერთშეხვედრები: 37: +7 =5 -24 (34:78) | ურთიერთშეხვედრები: 9: +1 =2 -6 (7:17) | ურთიერთშეხვედრები: 26: +10 =5 -11 (36:35) |
| **ტორპედო** | **მეტალურგი** | **ზესტაფონი** |
| ბოლო 5 მატჩი | ბოლო 5 მატჩი | ბოლო 5 მატჩი |
| დინამო (თბ)-სიონი 1:2 (სჩ) | ტორპედო-მერანი 1:1 (სჩ) | მეტალურგი-ვიტ ჯორჯია 2:0 (სჩ) |
| სიონი-ჩიხურა 1:1 (სთ) | ჩიხურა-მერანი 0:0 (სჩ) | ვიტ ჯორჯია-ტორპედო 5:0 (სჩ) |
| ჩიხურა-სიონი 1:1 (სჩ)) | მერანი-დინამო (თბ) 0:2 (სჩ) | დინამო (თბ)-ვიტ ჯორჯია 0:1 (სჩ) |
| სიონი-მერანი 2:0 (სჩ) | სიონი-მერანი 2:0 (სჩ) | ვიტ ჯორჯია-სიონი 0:0 (სჩ) |
| ვიტ ჯორჯია-სიონი 0:0 (სჩ) | ჩიხურა-მერანი 2:0 (სჩ) | მერანი-ვიტ ჯორჯია 1:2 (სჩ) |
| ტორპედო-მერანი 1:1 (სჩ) | მეტალურგი-ვიტ ჯორჯია 2:0 (სჩ) | ზესტაფონი-ზუგდიდი 3:0 (სჩ) |
| ტორპედო-დილა 1:2 (სთ) | მეტალურგი-დინამო (თბ) 0:2 (სთ) | ზესტაფონი-სპარტაკი 3:0 (სჩ) |
| ვიტ ჯორჯია-ტორპედო 5:0 (სთ) | ზუგდიდი-მეტალურგი 1:0 (სჩ) | გურია-ზესტაფონი 0:1 (სჩ) |
| ტორპედო-ზუგდიდი 1:2 (სჩ) | მეტალურგი-გურია 3:1 (სჩ) | დილა-ზესტაფონი 3:1 (სჩ) |
| გურია-ტორპედო 2:0 (სჩ) | სპარტაკი-მეტალურგი 2:0 (სჩ) | ზესტაფონი-ჩიხურა 1:1 (სჩ) |

| 2.03. ზანმუხური. 15:00 | 2.03 (ჩატარების ადგილი გარკვეული არ არის) 15:00 | 2.03 (ჩატარების ადგილი გარკვეული არ არის) 15:00 |
|---|---|---|
| **ზუგდიდი** | **გურია** | **ჩიხურა** |
| ურთიერთშეხვედრები: 11: +2 =4 -5 (12:19) | ურთიერთშეხვედრები 1: +1=0 -0 (1:0) | ურთიერთშეხვედრები: 7: +0 =1 -6 (6:26) |
| **დილა** | **სპარტაკი** | **დინამო (თბ)** |
| ბოლო 5 მატჩი | ბოლო 5 მატჩი | ბოლო 5 მატჩი |
| ზესტაფონი-ზუგდიდი 3:0 (სჩ) | დილა-გურია 1:3 (სჩ) | სპარტაკი-ჩიხურა 2:3 (სჩ) |
| ზუგდიდი-მეტალურგი 1:0 (სჩ) | გურია-ზესტაფონი 0:1 (სჩ) | სიონი-ჩიხურა 1:1 (სთ) |
| ტორპედო-ზუგდიდი 1:2 (სჩ) | მეტალურგი-გურია 3:1 (სჩ) | დინამო (თბ)-ჩიხურა 0:1 (სუპ.) |
| ზუგდიდი-დინამო (თბ) 0:3 (სჩ) | გურია-ტორპედო 2:0 (სჩ) | ჩიხურა-სიონი 1:1 (სჩ) |
| სიონი-ზუგდიდი 1:0 (სჩ) | დინამო (თბ)-გურია 3:1 (სჩ) | დილა-ჩიხურა 0:0 (სჩ) |
| დილა-გურია 1:3 (სჩ) | სპარტაკი-ჩიხურა 2:3 (სჩ) | დინამო (თბ)-სიონი 1:2 (სჩ) |
| ტორპედო-დილა 1:2 (სთ) | ზესტაფონი-სპარტაკი 3:0 (სჩ) | მეტალურგი-დინამო (თბ) 0:2 (სთ) |
| სპარტაკი-დილა 0:0 (სჩ) | სპარტაკი-დილა 0:0 (სჩ) | დინამო (თბ)-ჩიხურა 0:1 (სუპ.) |
| დილა-ჩიხურა 0:0 (სჩ) | სპარტაკი-მეტალურგი 2:0 (სჩ) | მერანი-დინამო (თბ) 0:2 (სჩ) |
| დილა-ზესტაფონი 3:1 (სჩ) | ტორპედო-სპარტაკი 1:0 (სჩ) | დინამო (თბ)-ვიტ ჯორჯია 0:1 (სჩ) |

**სულ**

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო (თბ) | 19 | 13 | 3 | 3 | 43 | 15 | 42 |
| 2 | ჩიხურა | 19 | 11 | 5 | 3 | 38 | 24 | 38 |
| 3 | ზესტაფონი | 19 | 9 | 4 | 6 | 25 | 15 | 31 |
| 4 | სიონი | 19 | 8 | 6 | 5 | 24 | 20 | 30 |
| 5 | გურია | 19 | 10 | 0 | 9 | 23 | 26 | 30 |
| 6 | მეტალურგი | 19 | 8 | 5 | 6 | 25 | 23 | 29 |
| 7 | დილა | 19 | 7 | 7 | 5 | 24 | 18 | 28 |
| 8 | ვიტ ჯორჯია | 19 | 7 | 4 | 8 | 25 | 25 | 25 |
| 9 | ტორპედო | 19 | 6 | 5 | 8 | 20 | 25 | 23 |
| 10 | სპარტაკი | 19 | 4 | 2 | 13 | 15 | 30 | 14 |
| 11 | მერანი | 19 | 4 | 2 | 13 | 15 | 37 | 14 |
| 12 | ზუგდიდი | 19 | 3 | 5 | 11 | 8 | 27 | 14 |

**შინ**

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო თბ | 10 | 7 | 1 | 2 | 24 | 10 | 22 |
| 2 | ჩიხურა | 9 | 7 | 1 | 1 | 21 | 7 | 22 |
| 3 | მეტალურგი | 10 | 6 | 4 | 0 | 16 | 4 | 22 |
| 4 | გურია | 9 | 7 | 0 | 2 | 14 | 6 | 21 |
| 5 | დილა | 10 | 5 | 3 | 2 | 18 | 9 | 18 |
| 6 | ზესტაფონი | 10 | 5 | 3 | 2 | 16 | 8 | 18 |
| 7 | ვიტ ჯორჯია | 9 | 5 | 1 | 3 | 17 | 8 | 16 |
| 8 | სიონი | 9 | 4 | 2 | 3 | 13 | 12 | 14 |
| 9 | ტორპედო | 10 | 3 | 4 | 3 | 11 | 9 | 13 |
| 10 | სპარტაკი | 10 | 4 | 1 | 5 | 9 | 12 | 13 |
| 11 | მერანი | 9 | 4 | 0 | 5 | 11 | 14 | 12 |
| 12 | ზუგდიდი | 9 | 2 | 4 | 3 | 5 | 11 | 10 |

**სტუმრად**

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო თბ | 9 | 6 | 2 | 1 | 19 | 5 | 20 |
| 2 | სიონი | 10 | 4 | 4 | 2 | 11 | 8 | 16 |
| 3 | ჩიხურა | 10 | 4 | 4 | 2 | 17 | 17 | 16 |
| 4 | ზესტაფონი | 9 | 4 | 1 | 4 | 9 | 7 | 13 |
| 5 | დილა | 9 | 2 | 4 | 3 | 6 | 9 | 10 |
| 6 | ტორპედო | 9 | 3 | 1 | 5 | 9 | 16 | 10 |
| 7 | ვიტ ჯორჯია | 10 | 2 | 3 | 5 | 8 | 17 | 9 |
| 8 | გურია | 10 | 3 | 0 | 7 | 9 | 20 | 9 |
| 9 | მეტალურგი | 9 | 2 | 1 | 6 | 9 | 19 | 7 |
| 10 | ზუგდიდი | 10 | 1 | 1 | 8 | 3 | 16 | 4 |
| 11 | მერანი | 10 | 0 | 2 | 8 | 4 | 23 | 2 |
| 12 | სპარტაკი | 9 | 0 | 1 | 8 | 6 | 18 | 1 |

● *ინფრასტრუქტურა*

# სიჭინავა: მაშინ დაჯექი ჩემს ადგილას!..

## ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლანჩხუთს შანსი დაუტოვა

გუშინ, ლანჩხუთის „გურიის" ცენტრალურ სტადიონს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლები ეწვივნენ პრეზიდენტ **ზვიად სიჭინავას** თავკაცობით. მოგეხსენებათ, გასული წლის ივლისიდან სტადიონზე სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. „გურიის" მთავარ არენაზე სერიოზული საქმეა გაკეთებული - ტრიბუნაზე დამონტაჟებულია ინდივიდუალური სკამები, სრულდება ლოჟის მონტაჟი, გასახდელებში სამუშაოები თითქმის დასრულებულია... მოკლედ, სფფ-ის სპეციალურმა კომისიამ უნდა დაადგინოს, არის თუ არა მზად სტადიონი უმაღლესი ლიგის მატჩების სამასპინძლოდ.

*„რაც ვნახე, ჯერ დასრულებული არ არის სამუშაოები, თუმცა იმას კი აღვნიშნავ, რომ რაც გაკეთებულია, მაღალ დონეზეა შესრულებული. როცა სფფ-ის პრეზიდენტად ამირჩიეს, მაშინ ვთქვი, რომ „გურია" არის ბრენდი და უნდა იყოს უმაღლეს ლიგაში. დღეს გუნდი უმაღლეს ლიგაშია, ევროსაგზურისთვის ბრძოლა შეუძლია და სტადიონი მზად უნდა იყოს. 2 მარტისთვის, ალბათ, თამაშის აქ ჩატარება შეუძლებელია. სამსაჯოსა და გასახდელებში ავეჯი არ არის შეტანილი, არ არის გამოყოფილი უსაფრთხოების ოფიცრისა და სამედიცინო პუნქტის ოთახები. დაალაგეთ ყველაფერი და ჩამოსვლას არ დაგზარდებით"*, - უთხრა „ლელოს" ზვიად სიჭინავამ.



ზვიად სიჭინავამ (მარცხნივ) ლანჩხუთის სტადიონი ნაწილობრივ მოიწონა

„გურიის" დირექტორმა **კობა მირზაშვილმა** და გამგებლის მოადგილე **ვახტანგ ზენაიშვილმა** ფედერაციის პრეზიდენტს აღუთქვეს, რომ პრობლემას უახლოეს 2 დღეში მოაგვარებენ, თუმცა სფფ-ის თავკაცმა აღნიშნა, რომ თუ საკუთარი თვალით არ ნახავს, დადებით გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს.

*„ეს მინდორი ერთ-ერთი საუკეთესო იყო საქართველოში და გული მწყდება, რომ ახლა ასეთ დღეშია. თუ თქვენ მოიტანთ სილას, მე გამოგიგზავნით სპეცტექნიკას და დაგეხმარებით"*, - განაცხადა სფფ-ის შეფმა, რომელსაც გურიის რეგიონული ფედერაციის პრეზიდენტმა **კახა ებრალიძემ** სთხოვა - თუ შესაძლებელია, ამ ეტაპზე გამონაკლისი დავუშვათ - ამ თამაშს მთელი ლანჩხუთი ელისო.

*„შენ რას შვრები ახლა, „მაზავ"?! პირდაპირ მითხარი, ღია საუბარი მიყვარს, ხომ იცი?! არ გამოვა ამ სიტუაციაში და თუ მეტყვი, რომ პრობლემა არ არის, მაშინ დაჯექი ჩემს ადგილზე და შენ მიიღე გადაწყვეტილება"*, - უთხრა სიჭინავამ ებრალიძეს და იქვე ის დეტალები დაუზუსტა, რისი შესრულებაც აუცილებელია სტადიონის მისაღებად.

*„აქედან საჩხერეში მივდივარ, იქაც სტადიონს ვამოწმებთ. თუ ამ პრობლემებს მოაგვარებთ, რაც ვთქვი, ხვალ (ანუ დღეს - რედ) 5 საათისთვის ჩამოვალ"...* - სფფ-ის თავკაცმა მაინც დატოვა იმედი, რომ 2 მარტს „გურია" მეტოქეს საკუთარ მოედანზე შეხვდება. ეს საკითხი დღეს საღამომდე უნდა გადაწყდეს, ხვალ კი მეტოქემ უკვე უნდა იცოდეს, სად ტარდება თამაში.

**მათე გურული**
ლანჩხუთიდან

● *ფეხბურთის ფედერაცია*

# პრო-ლიცენზია 6 ათასი დოლარი ღირს



სამწვრთნელო კურსების პირველი დღე — ეკა ელოშვილის ფოტო

გუშინ, საქართველოს ნაკრების სანვრთნელ კომპლექს „ბასაზე" მწვრთნელთათვის პროლიცენზიის კურსები დაიწყო. სწავლას 15 „სტუდენტი-მწვრთნელი" შეუდგა და მათგან არც ერთია ისეთი, ქართული ფეხბურთის ქომაგის წინაშე წარდგენა რომ სჭირდებოდეს: **ალექსანდრე ჩივაძე, ოთარ გაბელია, გოჩა ტყებუჩავა, გიორგი ცეცაძე, გიორგი დევდარიანი, სოსო ჭედია, მალხაზ ჟვანია, გელა შეყილაძე, ვარლამ კილასონია, თემურ შალამბერიძე, სოსო ფრუიძე, ბადრი კვარაცხელია, გიორგი ტუღუში** („დილას" მწვრთნელის ასისტენტი), **ვასილ მაისურაძე, რამაზ სოლოლაშვილი.**

წელიწადნახევრის განმავლობაში მათ ლექციებს სხვადასხვა პროფესიონალი მწვრთნელები წაუკითხავენ და თეორიულ სწავლებას პრაქტიკული მეცადინეობებიც შეცვლის. პირველ ლექციას საქართველოს მწვრთნელთა განათლების ხელმძღვანელი **გაიოზ დარსაძე** და უეფას წარმომადგენელი, შვეიცარიის 17-წლამდელთა ნაკრების თავკაცი **დენი რაიზერი** გაუძღვნენ.

სხვათა შორის, შვეიცარია უკვე რა ხანია სწორედ ასაკობრივი ნაკრებების შედეგებითა და თამაშის ხარისხით გამოირჩევა, რაიზერმა კი შეგირდები 2009 წელს მსოფლიოს ჩემპიონობამდე მიიყვანა. პროლიცენზიის შესაბამისი სწავლა-განათლება მწვრთნელებს 6 ათასი დოლარი დაუჯდებათ. შეგახსენებთ, რომ პროლიცენზიის გაცემის უფლება უეფამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას რამდენიმე კვირის წინ დართო და აგერ, უკვე სწავლებაც დაიწყო.

*„პირველ ყოვლისა, მინდა მადლობა ვუთხრა ალექსანდრე ჩივაძესა და ოთარ გაბელიას, რომლებიც ახალგაზრდა კოლეგებთან ერთად არიან აქ და პროლიცენზიისთვის საჭირო სწავლას იწყებენ. ასევე მადლობა უნდა გადავუხადო უეფას სტუმარს, რომელიც ლექციების ჩასატარებლად გვესტუმრა. ცხადია, პროლიცენზიის მფლობელი მწვრთნელებით, ჩვენი გუნდები ხვალ და ზეგ ჩემპიონთა ლიგას ვერ მოიგებენ, მაგრამ პროგრესი რომ იქნება, დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ. ჩვენს მწვრთნელებს გზა ყველა დონეზე ხსნილი ექნებათ და მეტ ცოდნასაც მიიღებენ"*, - ამ სიტყვებით მიესალმა და წარმატება უსურვა პროლიცენზიის მაძიებელთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **რევაზ არველაძემ** და ფედერაციის პრეზიდენტ **ზვიად სიჭინავასგან** მოკითხვაც გადასცა.

აქვე გეტყვით, რომ საკლუბო მწვრთნელებს შორის დღეს პროლიცენზია **კახა ცხადაძეს** (ბაქოს „ინტერი"), **გიორგი ჩიხრაძეს** (ზაქათალის „სიმურგი"), **გია გეგუჩაძეს** („ზესტაფონი"), **შოთა არველაძესა** (სტამბოლის „ქასიმფაშა") და ამჟამად უმუშევარ **ვლადიმერ ხაჩიძეს** აქვთ. სხვათა შორის, ხუთივე მწვრთნელმა პროლიცენზია კიევში აიღო.

**კობა ინასარიძე**

● *საქართველო-ლიხტენშტაინი*

# დეფიციტი

საქართველოსნაკრების მწვრთნელმა **თემურ ქეცბაიამ** ლიხტენშტაინთან 5 მარტის ამხანაგური მატჩისთვის შემადგენლობა რამდენიმე დღის წინ კი გამოაცხადა, მაგრამ უკვე მოუწია სიაში ორი ცვლილების შეტანამ. ნაკრებს ისედაც თავდამსხმელთა დეფიციტი აქვს და ახლა ეს დეფიციტი უკვე მწვავე გახდა.

ტრავმების გამო ლიხტენშტაინთან ვერ ითამაშებენ აზერბაიჯანული „ყარაბაღის" ფორვარდი **ნიკოლოზ გელაშვილი** და იტალიური „ემპოლის" შემტევი **ლევან მჭედლიძე**. ამათ ნაცვლად ქეცბაიამ ცხინვალის „სპარტაკის" მცველ **ლევან კაკუბავასა** და პოლონური „ლეგიას" თავდამსხმელ **ლადო დვალიშვილს** უხმო. ლიხტენშტაინთან სათამაშოდ მწვრთნელი შეგირდების მომზადებას „ბასაზე" 3 მარტს დაიწყებს და იქვე პრესკონფერენციასაც გამართავს. აქვე შეგახსენებთ იმ ფეხბურთელებს, რომლებიც მწვრთნელმა ამ ამხანაგური შეხვედრისთვის გამოიძახა:

მეკარეები - **გიორგი ლორია** (დინამო, თბილისი), **ნუკრი რევიშვილი** (ვალეტა, მალტა), **როინ კვასხვაძე** (ტორპედო, ქუთაისი);

მცველები - **გურამ კაშია** (ვიტესი, ჰოლანდია), **უჩა ლობჯანიძე** (დნიპრო, უკრაინა), **გია გრიგალავა** (ანჟი, რუსეთი), **ლაშა სალუქვაძე** (ინტერი, აზერბაიჯანი), **დავით კვირკველია, გიორგი ხიდეშელი** (ორივე - დინამო, თბილისი), **სოლომონ კვირკველია** (რუბინი, რუსეთი), **აკაკი ხუბუტია** (მორდოვია, რუსეთი), **ლევან კაკუბავა** (სპარტაკი, ცხინვალი);

ნახევარმცველები - **მურთაზ დაუშვილი** (კარპატი, უკრაინა), **ალექსანდრე კობახიძე, ჯაბა კანკავა** (ორივე - დნიპრო, უკრაინა), **თორნიკე ოქრიაშვილი** (ჩერნომორეცი, უკრაინა), **ჯანო ანანიძე** (როსტოვი, რუსეთი), **ირაკლი ძარია** (დინამო, თბილისი), **ვალერი ყაზაიშვილი** (ვიტესი, ჰოლანდია), **ავთანდილ ებრალიძე** (ჟილ ვისენტე, პორტუგალია);

თავდამსხმელები - **ვლადიმერ დვალიშვილი** (ლეგია, პოლონეთი), **ბაჩანა ცხადაძე** (ინტერი, აზერბაიჯანი), **გიორგი ჭანტურია** (კლუჟი, რუმინეთი).

საქართველო-ლიხტენშტაინის მატჩი 5 მარტს, „მიხეილ მესხზე" 18 საათზე დაიწყება.

**კობა ინასარიძე**



თემურ ქეცბაიამ ლადო დვალიშვილს უხმო

● ლეგიონერი


ლაშა დვალი

# ლაშა დვალი
# მაინც სკონტო სჯობდა

შარშან, ზაფხულში, ლაშა დვალი ინგლისის ჩემპიონშიფის ბინადარ „რედინგის" ფეხბურთელი გახდა. ინგლისური კლუბი საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების უნივერსალით (მცველი, საყრდენი ნახევარმცველი) 2012 წელს დაინტერესდა, როცა ლაშამ ითამაშა სლოვენიაში გამართულ ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატზე, სადაც ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა.

„რედინგის" ხელმძღვანელობა დვალს 5-წლიან ხელშეკრულებაზე სიტყვიერად შეუთანხმდა. საქმე ისაა, რომ იმ დროისთვის ლაშა 17 წლის იყო და არასრულწლოვანი დიდ ბრიტანეთში სამუშაო ვიზას ვერ მიიღებდა. დვალის აგენტი და „რედინგი" მორიგდნენ, რომ სათამაშო პრაქტიკის მისაღებად ფეხბურთელი ერთი წლით რიგის „სკონტოში" გადავიდოდა.

18 წლის ფეხბურთელმა ბრიტანელებთან კონტრაქტი შარშან, ლიტვაში 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ გააფორმა, მაგრამ დროებით ისევ „სკონტოში" თამაშობდა, სადაც 5 მატჩი ჩაატარა: 2 - ლატვიის თასზე, 2 - ევროპის ლიგაზე, ერთიც - ვირსლიგაში. მერე ლაშა დაშავდა, მომჯობინებული კი „რედინგში" მიიწვიეს და ამ გუნდის 21-წლამდელებში ვარჯიშობდა.

დვალმა ჯერ კიდევ მაშინ იცოდა, რომ „რედინგი" ზაფხულამდე ისევ იჯარით გაუშვებდა და ამბობდა - ამ ეტაპზე „სკონტო" ჩემთვის მისაღები ვარიანტია, მერე კი, როგორც მითხრეს, ევროპის უკეთეს ლიგასა და გუნდში ითამაშებო. ერთ-ერთ შესაძლო ვარიანტად ბელგია დასახელდა.

მაგრამ, საბოლოოდ, ის მაინც „სკონტოში" დაბრუნდა. ლაშას რიგაში დავუკავშირდით და მცირე ინტერვიუ ჩამოვართვით:

- უკვე ერთი კვირაა, რაც რიგაში ვარ და გუნდთან ერთად ვვარჯიშობ, - გვითხრა დვალმა მოკითხვის შემდეგ.

**- ევროპაში იჯარა რატომ არ გამოვიდა?**

- ბელგიის ვარიანტი იმიტომ გამოირიცხა, რომ ფორმალური საკითხების მოგვარება დროულად ვერ მოხერხდა. „სკონტოში" კი ყველაფერი გაცილებით ადვილად მოგვარდა.

**- „რედინგში" თამაში გამორიცხული იყო?**

- ასეთი რაღაც შემომთავაზეს - შეგიძლია ჩვენთან დარჩე, ივარჯიშო, ინგლისში თითქმის ყოველ კვირას ამხანაგური თამაშები იმართება და პრაქტიკა ამ სპარინგებში გექნებაო. მეორე ვარიანტი კი ისევ „სკონტოში" დაბრუნება და თამაში იყო. რა თქმა უნდა, ლატვიაში თამაში ვამჯობინე.

**- კი, მაგრამ ინგლისში დარჩენით ხომ „რედინგს" და, ზოგადად, ინგლისურ ფეხბურთს გაუშინაურდებოდით?**

- „სკონტოში" სათამაშო პრაქტიკაც მექნება და ცოტას არც ის ნიშნავს, რომ ნაცნობი გუნდია და საკმაოდ მაღალი დონის ფეხბურთელები თამაშობენ - ლაიზანსი, კლიმიაშვილი, შაბალა. მათ გვერდით ჩემი ასაკის მოთამაშე ბევრს ისწავლის და გაიზრდება.

**- როგორც ვიცით, „სკონტოში" უკვე ითამაშეთ...**

- დიახ, „ზამთრის თასზე" შევხვდით „იელგავას" და 3:2 მოვუგეთ. დაძაბული მატჩი იყო, მე და კლიმიაშვილმა 90-90 წუთი ვითამაშეთ.

**- ახლა „სკონტოში" რამდენი ქართველი ხართ?**

- კლიმიაშვილი, ჭაჭიაშვილი და მე. ლადო დათუნაშვილი კი წავიდა და ახალ კლუბს ეძებს.

**- 19-წლამდელთა ნაკრებს ელიტრაუნდი უახლოვდება და ახლა გუნდის თითოეული წევრის მდგომარეობა საინტერესოა. მოსამზადებელი ეტაპი რომ არ გაგივლიათ, თავს როგორ გრძნობთ?**

- „სკონტოს" რომ შევუერთდი, მოსამზადებელი პერიოდი, ფაქტობრივად, დამთავრებული იყო. მაგრამ „რედინგში" 5-6 თვის განმავლობაში საუცხოო რეჟიმში ვიყავი და ფიზიკურად თავს მშვენივრად ვგრძნობ.

**- შვეიცარიულ ელიტრაუნდში ნაკრებს ურთულესი მატჩები ელის. როგორ ფიქრობთ, გაიმეორებს გუნდი ორი წლის წინანდელ შედეგს და მოხვდება ევროფინალში?**

- მეც და თითოეული ფეხბურთელიც მოუთმენლად ველით, როდის დაიწყება ელიტრაუნდის მატჩები. იმედიანად ვარ. ტრავმის გამო, შესარჩევ ეტაპზე გუნდს ვერ დავეხმარე. მოედანზე ნაკრების ფორმით გასვლა ძალიან მენატრება. მადლობა ღმერთს, ტრავმის მერე ყველაფერი კარგად არის და თავს ჯანმრთელად ვგრძნობ.

● ზესტაფონი

## ბოიან პავლოვიჩი
# ზესტაფონის პირობებიც მომწონს და ფეხბურთიც

„ზესტაფონმა" სეზონი ჩინებულად განაახლა: ეროვნული ჩემპიონატის გამოტოვებულ მატჩში ჯერ ცხინვალის „სპარტაკი" დაამარცხა 3:0, 26 თებერვალს კი ასეთივე ანგარიშით „ზუგდიდს" სძლია.

იმის, რომ ახალწვეულებში ბევრი ნიჭიერი და გამოცდილი მოთამაშეა, ამის გამეორება აღარ ღირს. ლამის ყველა მათგანი კარგად გამოიყურება და გია გეგუჩაძის გუნდი კვლავ დინამიკურად და ლამაზად ათამაშდა.

„ზესტაფონის" ერთ-ერთი საინტერესო ახალწვეული მეკარე ბოიან პავლოვიჩია. იმერელთა სერბმა ლეგიონერმა კლუბთან 2,5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. 27 წლის გოლკიპერი „ცრვენა ზვეზდას" სკოლის აღზრდილია. 2004-11 წლებში მისი ტრანსფერი ბელგრადულ კლუბს ეკუთვნოდა, მაგრამ იჯარით სხვადასხვა კლუბებში უშვებდნენ: სერბეთის „გრაფიჩარში" (2004, 2006), „ჰალილულაცში" (2005), „პოსავაცში" (2005), „რადნიჩკიში" (2006-07), „ბეჟანიასა" (2007-2008) და მაკედონიურ „მაკედონიაში" (2008-09).

პავლოვიჩს „ცრვენა ზვეზდასთან" კონტრაქტი 2011 წელს დაუსრულდა და აზერბაიჯანული „ყარაბაღის" მაისურა მოირგო (2011-12), მერე ისრაელის „აშქელონსა" (2012-13) და ბელგრადის ოფკ-ში (2013) ირიცხებოდა.

სერბ მეკარეს, „სპარტაკთანაც" და „ზუგდიდთანაც", საკმაოდ ბევრი საქმე ჰქონდა და რამდენჯერმე გადაარჩინა კიდეც თავისიანები. ამავე დროს, კარგად თამაშობს ფეხითაც, ფაქტობრივად, მცველის როლსაც ითავსებს და თავისიანთა შეტევებს იწყებს.

პავლოვიჩს „ზუგდიდთან" მოგებული მატჩის შემდეგ ველაპარაკეთ.

**- საქართველოში როგორ აღმოჩნდით?**

- ზუსტად არ ვიცი, „ზესტაფონი" ჩემით როდის და რატომ დაინტერესდა. მაგრამ ის კი ვიცი, რომ ჩემს აგენტს დაუკავშირდნენ, თურქეთში ჩავედი და კონტრაქტი გავაფორმე.

**- სხვა კლუბებისგან არ გქონდათ მიწვევები?**

- იყო შემოთავაზებები, მაგრამ „ზესტაფონში" თამაში ვამჯობინე. საქართველოში უკეთესი პირობები შემომთავაზეს.

**- საერთოდ, ქართული კლუბები სიმდიდრით არ გამოირჩევიან. გამოდის, რომ სერბეთშიცაა ფინანსური პრობლემები?**


ბოან პავლოვიჩი

- დიახ, პრობლემებია. „ზესტაფონს" უკეთესი პირობები აქვს.

**- სხვა რა ვარიანტი გქონდათ?**

- ჩემი ბოლო კლუბი ოფკ მთავაზობდა დარჩენას და ახალ კონტრაქტს. მაგრამ აღარ ვისურვე.

**- „ზესტაფონზე" რას იტყვით?**

- თურქეთში გამართულ საკონტროლო შეხვედრებსა და საქართველოს ჩემპიონატში ჩატარებულ ორ მატჩში „ზესტაფონზე" კარგი შთაბეჭდილება დამრჩა - მათი ფეხბურთი მომეწონა და მიმაჩნია, რომ ჩემთვის უცნობ, მაგრამ საკმაოდ საინტერესო გუნდში მოვხვდი. პირველ ორ ტურში „ზესტაფონმა" შემტევი ფეხბურთი აჩვენა და 2 მატჩში 6 გოლი გაიტანა. ეს კარგი მაჩვენებელია. რაც მთავარია, სწრაფ ფეხბურთს ვთამაშობთ.

**- საქართველოს ჩემპიონატის დონე სერბეთისას ბევრით ჩამოუვარდება?**

- გულწრფელად ვამბობ, რომ არც ისე. თუმცა საქართველოს ჩემპიონატზე ზუსტი წარმოდგენის შესაქმნელად ჯერ საკმარისი დრო არ მქონია, სულ ორი მოწინააღმდეგე ვნახე, მაგრამ ვამჩნევ, რომ საქართველოში ბევრი საინტერესო ფეხბურთელია.

**- რომელი მათგანი მოგეწონათ?**

- არ მინდა ვინმეს გამოყოფა, მაგრამ ჩვენთან ნიჭიერი და გამოცდილი მოთამაშეები არიან.

**- ქართველების ფიზიკურ მომზადებაზე რას იტყოდით?**

- აქ ბუნებრივად ძლიერი მოთამაშეები არიან. მგონია, რომ ისინი უფრო მაღალი რანგის ჩემპიონატშიც გამოიჩენენ თავს.

● ტრანსფერები

# კუტალია შუქურას დაეხმარება

გუშინ ქობულეთის „შუქურამ" გაავრცელა ინფორმაცია, რომ გუნდმა „ზუგდიდიდან" **ლევან კუტალია** დაიმატა. როგორ აღმოჩნდა 25 წლის ზუგდიდელი შემტევი ნახევარმცველი პირველი ლიგის კლუბში, როცა სეზონისთვის „ზუგდიდში" ემზადებოდა და საკონტროლო შეხვედრებშიც მიიღო მონაწილეობა?

„ლელო" წერდა, რომ „ზესტაფონში" ნათამაშები კუტალიას მშობლიური ქალაქის გუნდში დაბრუნება ზამთრის მოსამზადებელ ეტაპზე გადაწყდა, ინფორმაცია კი გუნდიდან მოგვაწოდეს.

ვწერდით იმასაც, რომ „ზუგდიდს" „ზესტაფონიდან" იჯარით შეუერთდა ცენტრალური მცველი **გიორგი კაჭკაჭიშვილი**. ჯერჯერობით, 23 წლის ცენტრალური მცველი ზუგდიდელთა შორის არ გამოჩენილა. თუმცა არაერთ საიტზე კაჭკაჭიშვილი ზუგდიდელთა განაცხადშია მოხსენიებული.

ეს მცდარი ინფორმაცია აღმოჩნდა. შევიტყვეთ, რომ გუნდის მთავარი მწვრთნელი **გიორგი დარასელია** კუტალიასა და კაჭკაჭიშვილს 2 თებერვალს, თურქულ შეკრებაზე გამგზავრებამდე დაემშვიდობა. კუტალიაზე უკვე მოგახსენეთ - ის პირველი ლიგის A ზონის მეორეადგილოსან „შუქურას" უმაღლესში გადმოსვლაში უნდა დაეხმაროს. ქობულეთელთა მთავარი მწვრთნელი **ბესიკ შეროზია** კუტალიას კარგად იცნობს და ენდობა.

კაჭკაჭიშვილმაც პირველი ლიგის კლუბს მიაშურა და ასევე აჭარაში - გაზაფხულამდე ის ხელვაჩაურის „მაჭახელაში" ითამაშებს, რომელიც B ჯგუფში მე-3 ადგილზეა და უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად იბრძვის.

შეგახსენებთ, რომ კუტალიამ კარიერა ზუგდიდის „მგლებში" დაიწყო და 4-ჯერ მოირგო საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ფორმა. 2008-10 წლებში ბოსნიურ (სარაევო) „სლავიაში" თამაშობდა და კლუბს ქვეყნის თასის მოპოვებაში დაეხმარა. 2011 წელს, თანაგუნდელებთან კონფლიქტის გამო, „სლავია" დატოვა და მეორე ბოსნიურ კლუბ „ზრინსკში" გადავიდა, 2012 წელს ზუგდიდურ კლუბს დაუბრუნდა და იმავე წელს „ზესტაფონში" მიიწვიეს. მაგრამ „ზესტაფონის" მთავარ მწვრთნელად **გია გეგუჩაძის** დანიშვნის შემდეგ, მისი და იმერული კლუბის გზები გაიყო და კუტალიამ თავისუფალი აგენტის სტატუსი მიიღო.

გეგუჩაძესთან თანამშრომლობა არც კაჭკაჭიშვილს გამოუვიდა. ის „ზესტაფონის" მოთამაშეა, მაგრამ 2011/12 წლებში ბათუმის „დინამოში" გაანათხოვრეს და გუნდს მხოლოდ გეგუჩაძის წასვლის შემდეგ, 2012 წელს დაუბრუნდა. მაგრამ ზამთრის შესვენებაზე ახალი გუნდის ძიება მოუხდა.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**


ბურთით ლევან კუტალია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპალიგა. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩები

# ევროთასებზე ერთი ქართველი შემორჩა

**რუბინი (რუს)-ბეტისი (ესპ) 0:2 (1:1)**

გოლები: 0:1 ნონო (45), 0:2 რ. კასტრო (64)
საბა კვირკველიამ (რუბინი) 90 წუთი ითამაშა

**ნაპოლი (იტა)-სუონსი (უელ) 3:1 (0:0)**

გოლები: 1:0 ინსინიე (17), 1:1 დე გუზმანი (30), 2:1 იგუაინი (78), 3:1 ინლერი (90)

**სევილია (ესპ)-მარიბ. (სლო) 2:1 (2:2)**

გოლები: 1:0 რეიესი (42), 2:0 გამეირო (59), 2:1 ვრშიჩი (90)

**შახტარი (უკრ)-პლზენი (ჩეხ) 1:2 (1:1)**

გოლები: 0:1 კოლარი (29), 0:2 პეტრჟელა (33), 1:2 ლუის ადრიანო (88)

**ლუდოგორ. (ბულ)-ლაციო (იტა) 3:3 (1:0)**

გოლები: 0:1 ბ. კეიტა (1), 0:2 პერეა (54), 1:2 ბეზიაკი (67), 2:2 ზლატინსკი (78), 2:3 კლოზე (82), 3:3 ქუიქსადა (88)

**ზალცბ. (ავს)-აიაქსი (ჰოლ) 3:1 (3:0)**

გოლები: 1:0 ვან დერ ჰოორნი (56 ს.კ.), 2:0 მანე (66), 3:0 სორიანო (77), 3:1 კლაასენი (82)

**ბაზელი (შვე)-მაკაბი (ისრ) 3:0 (0:0)**

გოლები: 1:0 შტოკერი (18), 2:0 შტრელერი (60), 3:0 შტრელერი (71)

**აინტრ. (გერ)-პორტუ (პორ) 3:3 (2:2)**

გოლები: 1:0 აიგნერი (37), 2:0 ა. მაიერი (52), 2:1 მანგალა (58), 2:2 მანგალა (71), 3:2 ა. მაიერი (76), 3:3 ლილასი (86)

**გენკი (ბელ)-ანჟი (რუს) 0:2 (0:0)**

გოლები: 0:1 ჩიმანგა (64. ს.კ.), 0:2 ალიევი (71)
გაძევება: ტაგირბეკოვი (82. ანჟი)
გია გრიგალავამ (ანჟი) 90 წუთი ითამაშა

**ტოტენჰ. (ინგ)-დნეპრი (უკრ) 3:1 (0:1)**

გოლები: 0:1 ზოზულია (47), 1:1 ერიქსენი (56), 2:1 ადებაიორი (65), 3:1 ადებაიორი (69)
გაძევება: ზოზულია (63. დნიპრო)
ჯაბა კანკავა (დნიპრო) 71-ე წუთზე შეცვალეს

**ტრაბზ. (თურ)-იუვენტ. (იტა) 0:2 (0:2)**

გოლები: 0:1 ვიდალი (18), 0:2 ოსვალდო (34)

**ლიონი (საფ)-ჩერნომ. (უკრ) 1:0 (0:0)**

გოლი: 1:0 ლაკაზეტი (80)
გაძევება: ზუბეიკო (76. ჩერნომორეცი)
თორნიკე ოქრიაშვილი (ჩერნომორეცი) სათადარიგო იყო

**ფიორენ. (იტა)-ესბიერ (დან) 1:1 (3:1)**

გოლები: 1:0 ილიჩიჩი (47), 1:1 ვესტერგაარდი (91)

**ვალენსია (ესპ)-დინამო (უკრ) 0:0 (2:0)**

**ბენფიკა (პორ)-პაოკ (საბ) 3:0 (1:0)**

გოლები: 1:0 გაიტანი (70), 2:0 ლიმა (78-პენ), 3:0 მარკოვიჩი (80)
გაძევება: კაცურანისი (69. პაოკ)

**ალკმაარი (ჰოლ)-ლიბერ. (ჩეხ) 1:1 (1:0)**

გოლები: 1:0 ვიერხევერი (19), 1:1 ბუდნიკი (72)

**1/8 ფინალი**

ალკმაარი-ანჟი
ლუდოგორეცი-ვალენსია
პორტუ-ნაპოლი
ლიონი-პლზენი
სევილია-ბეტისი
ტოტენჰემი-ბენფიკა
ბაზელი-ზალცბურგი
იუვენტუსი - ფიორენტინა

*მატჩები გაიმართება 13 და 20 მარტს*

**ევროპის კონტინენტზე ევროპალიგის პლეი ოფის I ეტაპის მატჩები გაიმართა და გაირკვა მერვედფინალისტთა ვინაობა. ტურნირზე 16 გუნდი დარჩა, რომელთაგან ერთი მაისში ტურინის „იუვენტუს არენაზე" ტრიუმფს მოიწყობს...**




ევროპალიგას ქართველებიდან მხოლოდ გია გრიგალავა შემორჩა

## უჰრინის სიურპრიზი

თბილისის „დინამოდან" პლზენის „ვიქტორიაში" წასულმა სპეციალისტმა **დუშან უჰრინ უმცროსმა** ევროპას პირველად შეახსენა თავი - მიუხედავად იმისა, რომ „პლზენისა" და „შახტარის" წყვილში ფავორიტი უკრაინული გუნდი იყო, ჩეხებმა სტუმრად 2:1 იმარჯვეს და მერვედფინალის საგზური გაინაღდეს.

ძალიან საინტერესო დუელი გველის მერვედფინალში „ნაპოლისა" და „პორტუს" შორის. ნეაპოლელებმა პრემიერლიგის კლუბი, უელსური „სუონსი" დაამწუხრეს, ხოლო **პაულო ფონსეკას** გუნდმა ფრანკფურტში ნამდვილი თრილერი დაასრულა თავის სასარგებლოდ - ორი მატჩის ჯამში 5:5 დაფიქსირდა, თუმცა პორტუგალიელებმა სტუმრად გატანილი მეტი ბურთის წყალობით, ბუნდესლიგის ბინადარი „აინტრახტი" ევროასპარეზს მიღმა დატოვეს.

ევროთასების მერვედფინალში ერთი ქალაქის დერბი! აი, ეს მივილეთ მას შემდეგ, რაც „ბეტისმა" რუსეთში იყოჩაღა და „რუბინი" დაჩაგრა, ხოლო „სევილიამ" შინ 2:1 მოუგო „მარიბორს". მაშ ასე, ჩვენ გველის სევილიური დერბი „სევილიასა" და „ბეტისს" შორის.

ბულგარეთის ჩემპიონმა „ლუდოგორეცმა" ტურნირს მიღმა დატოვა რომის „ლაციო", რაც მასპინძელთა მონდომების გარდა, მეკარე **მარკეტის** უხეში შეცდომების ბრალიცაა. ავსტრიულმა „რედ ბულ ზალცბურგმა" ორი მატჩის ჯამში 6:1 გაანადგურა „აიაქსი".

ბრწყინვალე წყვილებია „იუვენტუსი"-"ფიორენტინა" და „ტოტენჰემი"-"ბენფიკაც".

## ქართველებმა რა ქნეს

**საბა კვირკველია** „ბეტისთან" მატჩში თავიდან ბოლომდე მოედანზე იყო, თუმცა „რუბინს" ვერაფრით შეეშველა - 0:2. ამ სეზონში ქართველ მცველს სულ ორი მატჩი დაუგროვდა ევროპალიგაზე, ორივე „ბეტისის" წინააღმდეგ.

საფრანგეთში მოვლენები ისე განვითარდა, რომ „ჩერნომორეცის" ქართველ ნახევარმცველ **თორნიკე ოქრიაშვილს** თამაშში ჩართვის საშუალება არ მიეცა, უკრაინული გუნდი 0:1 დამარცხდა, ბრძოლას „ლიონი" აგრძელებს.

ერთბაშად სამი ლეგიონერი დაგვაკლდა „დნიპროს" გავარდნით - **ზოზულიას** გაგდებამდე ყველაფერი კარგად მიდიოდა „უაით ჰართ ლეინზე" **ხუანდე რამოსის** გუნდისთვის, მერე კი - ცუდად, 3:1 ლონდონელთა სასარგებლოდ. სამი ვთქვით, მაგრამ ტრადიციულად მხოლოდ **ჯაბა კანკავამ** ითამაშა ჩვენებურთაგან, ხოლო **სანდრო კობახიძე** და **უჩა ლობჟანიძე** ევროპალიგის განაცხადში ვერ ხვდებიან.

ევროპალიგას მხოლოდ ერთი ქართველი ლეგიონერი შემორჩა, რომელსაც მერვედფინალში ნაკლებად ველოდით, მაგრამ „ანჟიმ" შეძლო სტუმრად „გენკის" 2:0 დამარცხება, ხოლო **გია გრიგალავამ** 90 წუთი ითამაშა მარცხენა მცველის პოზიციაზე. გრიგალავას გუნდის მომდევნო მეტოქე ჰოლანდიური „ალკმაარია". შეგახსენებთ, რომ ჩემპიონთა ლიგაზე დიდი ხანია, აღარ დაგვრჩა წარმომადგენელი. ასე რომ, გრიგალავა უკანასკნელი მოჰიკანია...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

საფრანგეთი. ლიგა 1. XXVII ტურის წინ

# დასაკარგი არაფერია

## კლასიკური ფრანგული დუელი




დიდი მატჩის წინ ბლეზ მატუიდიმ პსჟ-სთან კონტრაქტი 2018 წლამდე გააგრძელა

## კლასიკი

არავისთან ისე არ უხარიათ მოგება პსჟ-ს გულშემატკივრებს, როგორც „მარსელთან" და პირიქით. არავინ ისე არ სძულთ პსჟ-ს ფანებს, როგორც „მარსელი" და პირიქით. ლიგა ერთი ამ კვირას „კლასიკით" გვანებივრებს. დიახ, ფრანგული ფეხბურთის კლასიკა „პარი სენ-ჟერმენი"-"მარსელია" და „პარკ დე პრენსზე" ტურს დააგვირგვინებს.

„მარსელს" 6 მატჩია, პსჟ-ს თან არ მოუგია და აქედან 5 წააგო. მათ შორის 4 ზედიზედ და ამ 4-დან სამში გოლიც ვერ გაიტანა. პირველ წრეში პარიზელები „ველოდრომზე" 10 კაცით დარჩნენ და აგებდნენ, მაგრამ მაინც იმარჯვეს - 1:2. რასაკვირველია, მარსელელებს შურისძიება სწყურიათ, მაგრამ ისიც ესმით, რომ დედაქალაქში ამ პსჟ-ს დამარცხება ახლა მათთვის შეუძლებელი მისიასავითაა. თუმცა არ დავივიწყოთ ისიც, რომ როდესაც ეს გუნდები ერთმანეთს ხვდებიან, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს ხოლმე იმას, თუ ვინ რომელ ადგილზე და რა ფორმაშია, რადგან უშუალოდ ეს ერთი თამაში მათთვის განსაკუთრებულია, ყველაფერს ნიშნავს და შესაძლოა საკუთარ თავსაც გადაახტნენ.

**ლორან ბლანის** გუნდის ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა **ბლეზ მატუიდია**, რომელსაც უამრავი მსურველი ჰყავდა, რადგან ის ზაფხულში თავისუფალი აგენტი ხდებოდა, მაგრამ „სენტ ეტიენის" ყოფილმა ნახევარმცველმა პსჟ-ში დარჩენა გადაწყვიტა და გუნდთან კონტრაქტი 2018 წლის ზაფხულამდე გაახანგრძლივა. ახლა კი მატუიდი ამბობს, რომ ისიც და მისი თანაგუნდელებიც „მარსელთან" გამარჯვებაზე არიან კონცენტრირებულნი.

*„ჩემთვის დიდი პატივია, რომ ასეთ გუნდში ვრჩები. ეს ფანტასტიკური პროექტია და მიხარია, რომ მისი წევრი ვარ. ახლა კი ყველანი „მარსელთან" პრინციპულ დაპირისპირებაზე ვფიქრობთ და გამარჯვებისთვის ვემზადებით. რთული მატჩი იქნება და ბოლომდე უნდა დავიხარჯოთ"* - თქვა მატუიდიმ.

*„ბლეზს სურს, რომ პსჟ-სთან ერთად ისტორია დაწეროს. ეს კიდევ ერთი სერიოზული სიგნალია ევროპული გრანდებისთვის, რომ დიდი ფეხბურთელები სულაც არ გეგმავენ საფრანგეთიდან გაქცევას. ჩვენ ვაპირებთ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო კლუბი შევქმნათ"* - თქვა პსჟ-ს პრეზიდენტმა **ნასერ ალ-ხელაიფიმ**.

„მარსელის" მცველი **ლუკაშ მენდეში** კი თანაგუნდელებს აფრთხილებს, **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** მარტო მე არ შემატოვოთო: *„იბრა ბრწყინვალე ფეხბურთელია და ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ. მას ძალიან ბევრი გოლი გააქვს და ნებისმიერი პოზიციიდან შეუძლია გატანა. ზლატანის შეჩერება გუნდურად უნდა ვცადოთ და საერთოდ, პსჟ-ს წინააღმდეგ ყველამ მაქსიმუმი უნდა გავაკეთოთ თუ გვსურს წარმატების მიღწევა. მეტოქე ძლიერია, მაგრამ შეუძლებელი არაფერია".*

*„დასაკარგი არაფერი გვაქვს და მშვიდად ვართ. „მარსელი" წასაგებად არასდროს თამაშობს, როდესაც მინდორზე გავდივართ, ყოველთვის მოგება გვინდა. პსჟ ძლიერი, დინამიკური გუნდია. თუ მოვიგებთ ეს ძალიან კარგი იქნება, ხოლო თუ წავაგებთ, ის მოხდება, რასაც ყველა ელის. თუმცა ჩვენ დიდი გუნდი ვართ და საკუთარი შესაძლებლობების გვჯერა"* - განაცხადა **ანდრე აიუმ**.

## სხვა

წესით, ძალიან იღბლიანი ტური უნდა გამოვიდეს „ლილისთვის", რომელიც წყალწაღებულ „აიაჩოს" სტუმრობს და კორსიკიდან აუცილებლად 3 ქულა უნდა წამოიღოს. დანარჩენი კი **რენე ჟირარის** გუნდის სცენარითაა - ერთი უშუალო კონკურენტი აგერ პსჟ-ს სტუმრობს. მეორე და ყველაზე ახლოს მყოფი „სენტ ეტიენი" „მონაკოს" მასპინძლობს და ვინ იტყვის, რომ „მწვანეები", საკუთარ და საწუკვარ „ჟიფრუა გიშარზე" ადვილად აიღებენ თუნდაც ქულას **კლაუდიო რანიერის** გუნდთან? „ლიონს" არც ისე ადვილი მატჩი ელის კარგად ათამაშებულ „მონპელიესთან", ხოლო „ბორდო" გადარჩენის ილუზიაშემორჩენილ „სოშოს" სტუმრობს და მონბელიარიდან 3 ქულის წამოღება ალბათ ადვილად არ გამოუვა, მაგრამ **ფრანსიის ჟიიომ** თავისი ყოფილი კლუბის ალიკვალი იცის და ეს ჟირონდელთა დამატებითი კოზირია. თუმცა ცოტა შორს მყოფ „ლიონსა" და „ბორდოს" რომც შევეშვათ, „ლილის" უახლოეს მდევრებს მართლაც ურთულესი თამაშები აქვთ და ჟირარს უპირატესობის ისევ გაზრდის ჩინებული შანსი აქვს.

„ვალანსიენი" რეიმსში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ქულების მოპოვებას შეეცდება, ხოლო „ევიანის" მიზანი შინ საშინელ ფორმაში მყოფი „ნანტის" დამარცხება, მოუგებელი სერიის შეწყვეტა და ოდნავ ამოსუნთქვაა. ევიანელებს ჩემპიონატში უკვე 10 შეხვედრაა არ უმარჯვიათ და იმიტომაც არიან გასავარდნი ზონის პირას, ხოლო „იადონებს" უკვე 6 ტურია არ გაუსინჯავთ მოგების გემო.

**გიორგი პაპაბაძე**

| **28 თებერვალი** | |
|---|---|
| ევიანი-ნანტი | 23:00 |
| **1 მარტი** | |
| სტ. ეტიენი-მონაკო | 20:00 |
| ლორიანი-ბასტია | 23:00 |
| რეიმსი-ვალანსიენი | 23:00 |
| ნიცა-ტულუზი | 23:00 |
| რენი-გენგამი | 23:00 |
| სოშო-ბორდო | 23:00 |
| **2 მარტი** | |
| აიაჩო-ლილი | 17:00 |
| ლიონი-მონპელიე | 20:00 |
| პსჟ-მარსელი | 00:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 26 | 18 | 7 | 1 | 62-18 | 61 |
| 2. მონაკო | 26 | 16 | 8 | 2 | 44-19 | 56 |
| 3. ლილი | 26 | 13 | 7 | 6 | 28-16 | 46 |
| 4. სტ. ეტიენი | 26 | 13 | 6 | 7 | 36-23 | 45 |
| 5. მარსელი | 26 | 12 | 7 | 7 | 38-27 | 43 |
| 6. ლიონი | 26 | 11 | 8 | 7 | 40-31 | 41 |
| 7. ბორდო | 26 | 11 | 7 | 8 | 34-29 | 40 |
| 8. რეიმსი | 26 | 10 | 9 | 7 | 32-32 | 39 |
| 9. ბასტია | 26 | 10 | 6 | 10 | 30-37 | 36 |
| 10. ტულუზი | 26 | 8 | 9 | 9 | 29-36 | 33 |
| 11. მონპელიე | 26 | 6 | 14 | 6 | 33-31 | 32 |
| 12. ლორიანი | 26 | 9 | 5 | 12 | 34-37 | 32 |
| 13. რენი | 26 | 7 | 10 | 9 | 31-30 | 31 |
| 14. ნანტი | 26 | 9 | 4 | 13 | 23-28 | 31 |
| 15. ნიცა | 26 | 9 | 4 | 13 | 23-31 | 31 |
| 16. გენგამი | 26 | 7 | 8 | 11 | 24-28 | 29 |
| 17. ევიანი | 26 | 5 | 9 | 12 | 25-43 | 24 |
| 18. ვალანსიენი | 26 | 5 | 7 | 14 | 26-42 | 22 |
| 19. სოშო | 26 | 4 | 7 | 15 | 20-48 | 19 |
| 20. აიაჩო | 26 | 2 | 8 | 16 | 20-46 | 14 |

**ბომბარდირები:** 22 - ზლატან იბრაჰიმოვიჩი (პსჟ); 13 - ედინსონ კავანი (პსჟ), ალექსანდრ ლაკასეტი (ლიონი); 12 - ვენსან აბუბაქარი (ლორიანი), ანდრე-პიერ ჟინიაკი (მარსელი)

01.03. მიუნხენი
ალიანს არენა
21:30

**ბაიერნი**

ბოლო 6 მატჩი
+6=0-0 | +4=2-0
ურთიერთშეხვედრები
სულ 87 თამაში: +44=25-18, (180-97)

**შალკე**

სავარაუდო შემადგენლობები

ბაიერნი: ნოიერი; ბოატენგი, დანტე, რაფინია, ალაბა; ლამი, შვაინშტაიგერი; რობენი, გიოტცე, კროოსი; მანჯუკიჩი

შალკე: ჰუნტელაარი; ბორეტცკა, მაიერი, ფარფანი; ნოიშტედტერი, ბოატენგი; ფუხსი, კიოვედესი, მატიპი, პაპადოპულოსი; ფერმანი

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ბადშტუბერი, მიულერი, რიბერი – ოოგო, სანტანა, კირხჰოფი, უჩიდა, კლემენსი, ჰიოგერი

## 28 თებერვალი

**ჰერტა-ფრაიბურგი 23:30**

**დისკვალიფიკაცია:** ვაგნერი (ჰერტა)
**ტრავმა:** ბაუმიოჰანი, ლუსტენბერგერი - ჰედენსტადი, ტერაცინო

ბოლო 6 მატჩი
+3=0-3 | +2=1-3
ურთიერთშეხვედრები
სულ 17 თამაში: +8=6-3, (26:18)

## 1 მარტი

**დორტმუნდი-ნიურნბერგი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** როისი - ნილსონი
**ტრავმა:** ჰუმელსი, სუბოტიჩი, ს. ბენდერი, ბლაშჩიკოვსკი, გიუნდოგანი - ჩენდლერი, მარკოს ანტონიო, ჰასებე, გინჩეკი

ბოლო 6 მატჩი
+3=1-2 | +4=1-1
ურთიერთშეხვედრები
სულ 63 თამაში: +31=19-13, (106:68)

**ლევერკუზენი-მაინცი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** სპაჰიჩი, კასრო - ნ. მიულერი
**ტრავმა:** კრუსი - ბაუმგარტლინგერი, დ. შაჰინი

ბოლო 6 მატჩი
+2=0-4 | +4=1-1
ურთიერთშეხვედრები
სულ 15 თამაში: +6=3-6, (24:32)

**ვერდერი-ჰამბურგი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** კალდიროლა, ფ. კროოსი (ორივე ვერდერი)
**ტრავმა:** იგნიოვსკი - დრობნი, ლამი, დემირბაი, ილიჩევიჩი, ბაისტერი

ბოლო 6 მატჩი
+1=3-2 | +1=0-5
ურთიერთშეხვედრები
სულ 99 თამაში: +35=33-31, (148:148)

**აუგსბურგი-ჰანოვერი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** კალსენ-ბრაკერი (აუგსბურგი)
**ტრავმა:** ჰიტცი, ბობადილია, ექინი, მიოლდერსი - ჩერუნდოლო, ფელიპე, პანდერი

ბოლო 6 მატჩი
+3=2-1 | +2=0-4
ურთიერთშეხვედრები
სულ 5 თამაში: +0=2-3, (3:8)

**ბრაუნშვაიგი-გლადბახი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ერვიგ-დრიუპელი, ხელიფი, კორტე, იორლი - ვენდტი

ბოლო 6 მატჩი
+2=1-3 | +0=3-3
ურთიერთშეხვედრები
სულ 37 თამაში: +6=12-19, (30:77)

● გერმანია. ბუნდესლიგა. XXIII ტურის წინ

# ჩრდილოეთის დერბი და ბაიერნი-შალკე



ნილს პეტერსენის „ვერდერი“ და პიერ-მიშელ ლასოგას „ჰამბურგი“ გადარჩენისთვის იბრძვიან. დღეს ბუნდესლიგაში მათი დუელი, ანუ, ჩრდილოეთის დერბია

## 2 მარტი

**ჰოფენჰაიმი-ვოლფსბურგი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ვუკჩევიჩი - ვიეირინია

ბოლო 6 მატჩი
+2=2-2 | +3=1-2
ურთიერთშეხვედრები
სულ 11 თამაში: +3=2-6, (16:26)

**აინტრახტი-შტუტგარტი 20:30**

**დისკვალიფიკაცია:** შვეგლერი - იბიშევიჩი
**ტრავმა:** ანდერსონი, ჩელოცი, კიტელი, როდე, შტენდერა - კირშბაუმი, რ. ხედირა, როხასი

ბოლო 6 მატჩი
+2=2-2 | +0=0-6
ურთიერთშეხვედრები
სულ 85 თამაში: +28=19-38, (139:157)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 22 | 20 | 2 | 0 | 61-9 | 62 |
| 2. ლევერკუზენი | 22 | 14 | 1 | 7 | 39-25 | 43 |
| 3. დორტმუნდი | 22 | 13 | 3 | 6 | 51-27 | 42 |
| 4. შალკე | 22 | 12 | 5 | 5 | 41-30 | 41 |
| 5. ვოლფსბურგი | 22 | 12 | 3 | 7 | 38-26 | 39 |
| 6. გლადბახი | 22 | 10 | 5 | 7 | 39-28 | 35 |
| 7. ჰერტა | 22 | 10 | 4 | 8 | 34-27 | 34 |
| 8. აუგსბურგი | 22 | 10 | 4 | 8 | 34-32 | 34 |
| 9. მაინცი | 22 | 10 | 4 | 8 | 31-35 | 34 |
| 10. ჰოფენჰაიმი | 22 | 6 | 8 | 8 | 46-46 | 26 |
| 11. ჰანოვერი | 22 | 7 | 3 | 12 | 29-41 | 24 |
| 12. ნიურნბერგი | 22 | 4 | 11 | 7 | 27-37 | 23 |
| 13. აინტრახტი | 22 | 5 | 7 | 10 | 24-38 | 22 |
| 14. ვერდერი | 22 | 5 | 7 | 10 | 25-46 | 22 |
| 15. შტუტგარტი | 22 | 5 | 4 | 13 | 35-47 | 19 |
| 16. ჰამბურგი | 22 | 5 | 4 | 13 | 38-51 | 19 |
| 17. ფრაიბურგი | 22 | 4 | 6 | 12 | 22-44 | 18 |
| 18. ბრაუნშვაიგი | 22 | 4 | 3 | 15 | 16-41 | 15 |

**ბომბარდირები:** 14 - რობერტ ლევანდოვსკი (დორტმუნდი), ადრიან რამოსი (ჰერტა); 13 - პიერ-ემერიკ ობამეიანგი (დორტმუნდი), მარიო მანჯუკიჩი (ბაიერნი); 11 - იოზიპ დრმიჩი (ნიურნბერგი), პიერ-მიშელ ლასოგა (ჰამბურგი), რობერტო ფირმინო (ჰოფენჰაიმი).

ბოლო ტურებში აუტსაიდერებმა ქულების დაგროვება დაიწყეს, რის გამოც „ფრაიბურგი“ ზენოლის ქვეშ მოექცა. გერმანიის ჩემპიონატის 23-ე ტური სწორედ დანნეხილი „ფრაიბურგის“ მატჩით იწყება: **კრისტიან შტრაიხის** შეგირდები პარასკევის მატჩში ბერლინის „ჰერტას“ სტუმრობენ. შაბათს ორი უაღრესად საინტერესო თამაშია: ჩრდილოეთის დერბი და „ბაიერნისა“ და „შალკეს“ დუელი. დორტმუნდის „ბორუსიას“ ამ ტურში „ნიურნბერგთან“ ექნება საქმე. კვირას, „ვოლფსბურგი“ „ჰოფენჰაიმს“ მასპინძლობს და ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლის გაგრძელება გამარჯვებით უნდა, უმძიმეს კრიზისში მყოფი „შტუტგარტი“ კი ფრანკფურტში ჩადის.

დღევანდელ მატჩში ვეტერანი ქართველი **ლევან კობიაშვილი** ისევ „ჰერტას“ ძირითად შემადგენლობაში მოიაზრება. ეს შეხვედრა კობისთვის განსაკუთრებულია, რადგან ბერლინელები იმ „ფრაიბურგს“ მასპინძლობენ, სადაც ლევანმა თავისი გერმანული კარიერა დაიწყო და სადაც წლების განმავლობაში გუნდის ლიდერი და კაპიტანი გახლდათ. „ჰერტას“ შემადგენლობაში საეჭვოა მთავარი გოლეადორის, **ადრიან რამოსის** თამაში. მისი შემცვლელი **სანდრო ვაგნერი** კი დისკვალიფიცირებული გახლავთ. შესაძლოა, „ჰერტას“ წინა ხაზზე **სამი ალაგუი** ვიხილოთ. „ფრაიბურგი“ გადარჩენისთვის იბრძვის და ქულები ჰაერივით სჭირდება, ბერლინელთა მიზანი კი ევროპალიგის საგზურის მოპოვებაა.

### ნიურნბერგის რთული მისია დორტმუნდში

ბუნდესლიგის წინა ტურში დორტმუნდის „ბორუსია“ მოულოდნელად „ჰამბურგთან“ განადგურდა (0:3), თუმცა **იურგენ კლოპის** შეგირდებმა ხასიათი ჩემპიონთა ლიგაში გამოიკეთეს: „ბორუსიამ“ სანქტ პეტერბურგში „ზენიტი“ 4:2 დაამარცხა და ცალი ფეხით მეოთხედფინალშია. შესაბამისად, დორტმუნდელებს შეუძლიათ, მთლიანად ბუნდესლიგაზე გადაერთონ. მათი მეტოქე ამჯერად გადარჩენისთვის მებრძოლი „ნიურნბერგია“. ამ ერთ კვირაში კლოპს **სვენ ბენდერიც** გამოაკლდა და „ნიურნბერგთან“ ვერც ლიდერ **მარკო როისს** გამოიყენებს - ამ უკანასკნელმა ჰამბურგში მეხუთე გაფრთხილება მიიღო და დისკვალიფიცირებულია. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ნიურნბერგმა“ მეორე წრეში ფორმა აკრიფა და ხუთიდან ოთხი მატჩის მოგება შეძლო.

### გამოცოცხლდება ლევერკუზენი?

მართალია, „ლევერკუზენი“ ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილში ჯერ კიდევ მეორე ადგილზეა, მაგრამ კრიზისი დაეწყო. „ფარმაცევტების“ გოლეადორი **შტეფან კისლინგი** ამბობს, ეს ჩემს კარიერაში ურთულესი 10 დღე იყოო და ფაქტია, რომ გარდა თავისი პირადი უშედეგობისა, „კაიზერსლაუტერნთან“ (თასზე 0:1 დამატებით დროში), „შალკესთან“ (1:2), პსჟ-სთან (ჩემპიონთა ლიგაში, 0:4) და ვოლფსბურგში (1:3) წაგებებს გულისხმობს. ამ ტურში **სამი ჰიიპიას** გუნდი კარგ ფორმაში მყოფ „მაინცს“ მასპინძლობს. ჰიიპიას ფონს გასვლა კასტროსა და სპაჰიჩის გარეშე მოუწევს (ორივე დისკვალიფიცირებულია). „მაინცმა“ ბოლო რვა მატჩიდან მხოლოდ ერთი წააგო და ევროპალიგის საგზურისთვის იბრძვის.

### ჩრდილოეთის დერბი გადარჩენისთვის

„ვერდერისა“ და „ჰამბურგის“ დაპირისპირებას ინტრიგა და ინტერესი არასდროს აკლია, რადგან ეს ჩრდილოეთის დერბია, ამ შემთხვევაში კი ბრძოლა განსაკუთრებით საინტერესო უნდა გამოვიდეს, რადგან ორივე სახელოვან კლუბს მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე ემუქრება. „ჰამბურგი“ მწვრთნელის შეცვლის შემდეგ გამოსწორდა და **მირკო სლომკას** სადებიუტო მატჩში „დორტმუნდის“ დამარცხება შეძლო. შესაბამისად, ჰამბურგელები ბრემენელებს მხოლოდ ერთი ქულითღა ჩამორჩებიან. „ვერდერის“ თავკაც **რობინ დუტს** დაცვაში იმპროვიზირება მოუწევს, რადგან კროოსი და კალდიროლა დისკვალიფიცირებულები არიან. „ჰამბურგს“ **რაფაელ ვან დერ ვაარტი** უბრუნდება.

### მორიგი რეკორდი თუ შალკეს სენსაცია?

ტურის აბსოლუტური ტოპმატჩი კი „ბაიერნისა“ და „შალკეს“ ჯახია. მიუნხენელები გერმანიის მორიგი ჩემპიონობისკენ ელვის სისწრაფით „მიფრინავენ“ - რეკორდმაისტერმა ბუნდესლიგაში ზედიზედ 14 თამაში მოიგო და მეორეადგილოსან „ლევერკუზენთან“ უკვე 19-ქულიანი უპირატესობა აქვს. საერთო ჯამში კი, „ბაიერნი“ გერმანიის ჩემპიონატში 47-მატჩიანი წაუგებელი სერიით ინონებს თავს. ბავარიელთა კაპიტანი **ფილიპ ლამი** ამბობს, ერთ მშვენიერ დღეს ჩვენც წავაგებთო, მაგრამ როდის იქნება ის ერთი მშვენიერი დღე? ფაქტი ის არის, რომ ლამს და კომპანიას მოდუნება არ ეტყობათ და „შალკესთანაც“ ფავორიტებად მიიჩნევიან. გელზენკირხენულ კლუბს ამ მნიშვნელოვანი მატჩის წინ ხასიათი კიდევ უფრო წაუხდა - „შალკე“ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის პირველ რაუნდში მადრიდის „რეალთან“ 1:6 შერცხვა...

### ვოლფსბურგს ჩემპიონთა ლიგაში უნდა

სწორედ „შალკეს“ მორიგ წაგებას ელის „ვოლფსბურგი“, რომლის მიზანი ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაა და „შალკეს“ მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩება. გამოდის, რომ თუ „ბაიერნი“ ისევ თავისებურად ივაჟკაცებს და „შალკეს“ დაამარცხებს, ვოლფსბურგელებს ჰოფენჰაიმში მოგების შემთხვევაში მეოთხე ადგილზე ანაცვლების შანსი გაუჩნდებათ.

**გოტფრიდ ლენცი**

## ამბები

### ინგლისი დანიისთვის ემზადება

ინგლისის ნაკრებს 5 მარტს „უემბლიზე“ დანიასთან ამხანაგურ შეხვედრაში ტრავმების გამო **ფილ ჯონსი** (მანჩესტერ იუნაიტედი) და **თეო უოლკოტი** (არსენალი) რომ დააკლდებოდნენ, დიდი ხანია ცნობილი იყო. ბოლო მომენტში დარჩა ნაკრებს მიღმა **ფილ ჯაგიელკაც** (ევერტონი), ვინც ფეხის ტრავმის გამო უქმეებზე ვერც „ვესტ ჰემთან“ ითამაშებს და ვერც მომდევნო ტურში „ნიუკასლთან“ (9 მარტი). **როი ჰოჯსონმა** შეკრებაზე ქვემოთ ჩამოთვლილ ფეხბურთელებს უხმო.

**მეკარეები:** ფრეიზერ ფორსტერი (სელტიკი), ბენ ფოსტერი (ვესტ ბრომვიჩი), ჯო ჰარტი (მანჩესტერ სიტი), ჯონ რადი (ნორვიჩი)
**მცველები:** ლეიტონ ბეინსი (ევერტონი), გარი კეჰილი, ეშლი კოული (ჩელსი), სტივენ კოლკერი (კარდიფი), გლენ ჯონსონი (ლივერპული), ლუკ შოუ (საუთჰემპტონი), კრის სმოლინგი (მანჩესტერ იუნაიტედი), კაილ უოლკერი (ტოტენჰემი)
**ნახევარმცველები:** როს ბერკლი (ევერტონი), მაიკლ კერიკი, ტომ კლევერლი (მანჩესტერ იუნაიტედი), სტივენ ჯერარდი, ჯორდან ჰენდერსონი, რაჰემ სტერლინგი (ლივერპული), ადამ ლალანა (საუთჰემპტონი), ფრენკ ლემპარდი (ჩელსი), ჯეიმს მილნერი (მანჩესტერ სიტი), ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენი, ჯეკ უილშირი (არსენალი), ანდროს ტაუნსენდი (ტოტენჰემი)
**თავდამსხმელები:** ჯერმეინ დეფო (ტორონტო), რიკი ლამბერტი, ჯეი როდრიგესი (საუთჰემპტონი), უეინ რუნი, დენი უელბეკი (მანჩესტერ იუნაიტედი), დენიელ სტარიჯი (ლივერპული)

### გრიზმანს ნაკრებში უხმეს

ჩვენს ფრანგ კოლეგებს ყოველთვის უკვირდათ, როცა საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში ვერ ხედავდნენ „სოსიედადის“ 22 წლის ნახევარმცველ **ანტუან გრიზმანს. დიდიე დეშამმა** ფეხბურთელს 5 მარტს „სტად დე ფრანსზე“ ჰოლანდიასთან ამხანაგური მატჩის წინ პირველად დაუძახა. გუნდის შემადგენლობას სრულად ქვემოთ გაეცნობით.

**მეკარეები:** უგო ლორისი (ტოტენჰემი), სტივ მანდანდა (მარსელი), სტეფან რუფიე (სენტ ეტიენი)
**მცველები:** მატიო დებუში (ნიუკასლი), პატრის ევრა (მანჩესტერ იუნაიტედი), ბაკარი სანია, ლორან კოშელნი (არსენალი), მამადუ სახო (ლივერპული), რაფაელ ვარანი (რეალი), ელიაკიმ მანგალა (პორტუ), ლუკ დინი (პარი სენ-ჟერმენი)
**ნახევარმცველები:** ფრანკ რიბერი (ბაიერნი), ბლეზ მატუიდი, იოან კაბაი (პარი სენ-ჟერმენი), პოლ პოგბა (იუვენტუსი), მოჰამედ სისოკო (ნიუკასლი), კლემან გრენიე (ლიონი), რიო მავუბა (ლილი), ანტუან გრიზმანი (სოსიედადი), დიმიტრი პაიე, მატიო ვალბუენა (მარსელი)
**თავდამსხმელები:** კარიმ ბენზემა (რეალი), ოლივიე ჟირუ (არსენალი), ლოიკ რემი (ნიუკასლი)

### პრანდელი შეიძლება დარჩეს

„გაძეტა დელო სპორტის“ ცნობით, იტალიის ფეხბურთის ფედერაცია უახლოეს ხანებში ნაკრების მთავარ მწვრთნელს, 56 წლის **ჩეზარე პრანდელის** ეროვნულ გუნდთან მუშაობას 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ბოლომდე შესთავაზებს. სინიორ ჩეზარე „სკუადრა აძურაში“ 2010 წლის ზაფხულზე მივიდა და გუნდი ევროპის ჩემპიონატის ფინალში გაიყვანა. ასე რომ, მისი მუშაობით ქვეყანაში კმაყოფილები არიან. გამოცემის ინფორმაციით, პრანდელი კონტრაქტის გახანგრძლივების სანაცვლოდ ფედერაციისგან უფლებამოსილებათა გაფართოებასა და ახალგაზრდული ნაკრებების კურატორის ფუნქციასაც ითხოვს. უფრო დეტალური ინფორმაცია სავარაუდოდ ერთ კვირაში გავრცელდება.

**ლევან ბიბილაშვილი**

ესპანეთი. ლა ლიგა. XXVI ტურის წინ




ვისენტე კალდერონის პუბლიკა 15 წელია, „რეალთან" გამარჯვებას ელის

## 28 თებერვალი

**ბილბაო-გრანადა 23:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** იბაი, ტოკერო, ბენიატი - ტიაგო ილორი, იგალო, მაინსი, ბუონანოტე

ბოლო 6 მატჩი
+3 =2 -1 (13-6) +1 =1 -4 (3-7)
ურთიერთშეხვედრები
**სულ 39 თამაში: +21 =9 -9 (61:38)**

## 1 მარტი

**მალაგა-ვალიადოლიდი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ველიგტონი, ელიზეუ, ფლავიო - ხეფრენი, ოსკარი

ბოლო 6 მატჩი
+1 =2 -3 (4-10) +1 =3 -2 (6-10)
ურთიერთშეხვედრები
**სულ 37 თამაში: +10 =16 -11 (45:42)**

**ლევანტე-ოსასუნა 21:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** არავინ - დე ლას კუევასი, სისი, პუნიალი

ბოლო 6 მატჩი
+2 =4 -0 (5-5) +2 =2 -2 (6-8)
ურთიერთშეხვედრები
**სულ 13 თამაში: +5 =1 -7 (14:23)**

**ხეტაფე-ესპანიოლი 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** მოსკერა, სერხიო ესკუდერო - არავინ

ბოლო 6 მატჩი
+0 =3 -3 (3-9) +3 =1 -2 (7-8)
ურთიერთშეხვედრები
**სულ 19 თამაში: +7 =4 -8 (25:19)**

**ელჩე-სელტა 01:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** საპუნარუ, ტონიო, ალვარო ხიმენესი - მარიო ბერმეხო

ბოლო 6 მატჩი
+2 =2 -2 (5-9) +3 =2 -1 (9-5)
ურთიერთშეხვედრები
**სულ 13 თამაში: +5 =3 -5 (13:17)**

## 2 მარტი

**ვილიარეალი-ბეტისი 15:00**

**დისკვალიფიკაცია:** ჩერიშევი, ვიტოლო (ორივე "სევილია")
**ტრავმა:** აკინო, პაბლო ინიგესი, კანი, ოლივერ ტორესი - პაულაო, ხავი ტორესი, ალვარო ვადილიო

ბოლო 6 მატჩი
+3 =0 -3 (9-9) +1 =0 -5 (4-17)
ურთიერთშეხვედრები
**სულ 21 თამაში: +7 =5 -9 (30:36)**

**ატლეტიკო-რეალი 20:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ხავი მანკილიო, ტიაგო - ხედირა

ბოლო 6 მატჩი
+3 =1 -2 (12-8) +5 =1 -0 (18-3)
ურთიერთშეხვედრები
**სულ 42 თამაში: +4 =9 -29 (37:85)**

**სევილია-სოსიედადი 22:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** მბია - დე ლა ბელა, აგირეჩე, დანი ესტრადა, გრანერო

ბოლო 6 მატჩი
+1 =3 -2 (7-11) +3 =2 -1 (10-7)
ურთიერთშეხვედრები
**სულ 29 თამაში: +11 =8 -10 (35:32)**

**ბარსელონა-ალმერია 00:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ხორდი ალბა, დოს სანტოსი - არავინ

ურთიერთშეხვედრები
**სულ 11 თამაში: +9 =2 -0 (35:5)**
ბოლო 6 მატჩი
+3 =1 -2 (17-8) +2 =1 -3 (3-4)

**რაიო-ვალენსია 00:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** გალვესი, ალბერტო პერეა, ხოსე კარლოსი, ს. ფერნანდესი — სენდეროსი, პიატი, ორიელ რომეუ

ბოლო 6 მატჩი
+1 =1 -4 (6-14) +3 =3 -0 (11-5)
ურთიერთშეხვედრები
**სულ 29 თამაში: +6 =4 -19 (28:63)**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 25 | 20 | 3 | 2 | 71-24 | 63 |
| 2. ბარსელონა | 25 | 19 | 3 | 3 | 70-20 | 60 |
| 3. ატლეტიკო | 25 | 19 | 3 | 3 | 59-19 | 60 |
| 4. ბილბაო | 25 | 14 | 5 | 6 | 45-30 | 47 |
| 5. ვილიარეალი | 25 | 13 | 4 | 8 | 46-30 | 43 |
| 6. სოსიედადი | 25 | 12 | 7 | 6 | 46-35 | 43 |
| 7. სევილია | 25 | 9 | 8 | 8 | 43-41 | 35 |
| 8. ვალენსია | 25 | 10 | 5 | 10 | 38-36 | 35 |
| 9. ლევანტე | 25 | 8 | 9 | 8 | 24-31 | 33 |
| 10. ესპანიოლი | 25 | 9 | 5 | 11 | 29-32 | 32 |
| 11. სელტა | 25 | 8 | 6 | 11 | 32-36 | 30 |
| 12. ოსასუნა | 25 | 8 | 5 | 12 | 24-37 | 29 |
| 13. გრანადა | 25 | 8 | 3 | 14 | 22-32 | 27 |
| 14. ელჩე | 25 | 6 | 8 | 11 | 22-37 | 26 |
| 15. ხეტაფე | 25 | 7 | 5 | 13 | 23-40 | 26 |
| 16. ალმერია | 25 | 7 | 5 | 13 | 24-42 | 26 |
| 17. მალაგა | 25 | 6 | 7 | 12 | 23-34 | 25 |
| 18. ვალიადოლიდი | 25 | 4 | 10 | 11 | 27-43 | 22 |
| 19. რაიო | 25 | 6 | 2 | 17 | 25-59 | 20 |
| 20. ბეტისი | 25 | 3 | 5 | 17 | 20-55 | 14 |

**ბომბარდირები:** 22 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 21 - დიეგო კოშტა (ატლეტიკო); 15 - ალექსის სანჩესი (ბარსელონა), ანტუან გრიზმანი (სოსიედადი); 14 - ქარიმ ბენზემა (რეალი), ლიონელ მესი (ბარსელონა); 13 - პედრო (ბარსელონა);

# რონალდო: ჩვენ მადრიდი ვართ

## რას უმზადებს სიმეონე ანჩელოტის?

ძალიან დიდი ხანია, „ატლეტიკოსა" და „რეალის" მადრიდული დერბი ისეთი საინტერესო აღარ ყოფილა, როგორც ამ სეზონშია. ლა ლიგის მიმდინარე გათამაშება უკვე არა ორი, არამედ სამი გუნდის დოლად იქცა. ხან რომელი გადის წინ და ხან რომელი. გასულ ტურამდე სულაც სამივე გუნდი თანაბრად იყო, მაგრამ „ბარსელონასა" და „ატლეტიკოს" სიურპრიზებმა „რეალი" 3 ქულით გააქცია. ახლა კი არის შანსი იმისა, რომ ქულებით ისევ სამივე გათანაბრდეს - თუ „ათლეტები" თავიანთ თამაშს მოუგებენ „სამეფო გუნდს" და თავის მხრივ, „ბარსელონა" „კამპ ნოუზე" დაამარცხებს „ალმერიას" და ალბათ დაამარცხებს კიდეც. თუმცა ყველას ყურადღება პირველ რიგში „ვისენტე კალდერონზე" გასამართი მადრიდული დერბისადმია მიპყრობილი

პირველ წრეში „ატლეტიკომ" „სანტიაგო ბერნაბეუზე" **დიეგო კოშტას** გოლით მოიგო, არადა იქ, ლა ლიგაში აქამდე ბოლო გამარჯვება „ათლეტებს" 1999 წელს ჰქონდათ მოპოვებული. ამას წინ უძღოდა წინა სეზონის კოპა დელ რეის ფინალი, რომელშიც ასევე **დიეგო სიმეონეს** გუნდი გამოვიდა გამარჯვებული. სულ ახლახან, თებერვლის პირველ ნახევარში კი „რეალმა" ოდნავ მაინც იძია შური და თანაქალაქელს იმავე ესპანეთის თასზე ულაპარაკოდ გაუსწორდა - 2:0, 3:0.

ამჟამად, „რეალი" არაამქვეყნიურად კარგ ფორმაშია, რაც **კარლო ანჩელოტის** გუნდმა „შალკეს" გაცამტვერებითაც (1:6) დაამტკიცა. ყველა ტურნირზე „სამეფო გუნდს" ბოლო 6 მატჩიდან ექვსივე მოგებული აქვს, ბურთების სხვაობით - 21:3. ნელნელა უმატებს **გარეთ ბეილი**, მშვენიერ ფორმაშია **ქარიმ ბენზემა**. თავის შანსს არ უშვებს **ისკო**... და ასე რომ გავყვეთ „რეალის" ფაქტობრივად ყველა ფეხბურთელზე დადებითს ვიტყვით, რადგან გუნდი მართლაც შესაშურად გამოიყურება. მადრიდისტებისთვის მთავარი ისაა, რომ სამმატჩიანი დისკვალიფიკაციის მოხდის შემდეგ ბრუნდება **კრიშტიანო რონალდო**.

*„რაც მოხდა, მოხდა, მაგრამ გაბრაზებული ვიყავი, რადგან ამ დისკვალიფიკაციას არ ვიმსახურებდი. მთავარია, „ატლეტიკოსთან" მატჩისთვის მოტივაცია არ გვაკლია. ჩვენ მადრიდი ვართ და ყოველთვის მოგება გვინდა, „კალდერონზეც" ამისთვის ვითამაშებთ"* - თქვა რონალდომ.

ქარიმ ბენზემა: *„ახლა ყველა მატჩი ფინალივითაა, მათ შორის, დერბიც. ცხრილის სათავეში ვართ, მაგრამ ჯერ არაფერია გადაწყვეტილი და ასევე კარგად თამაში უნდა გავაგრძელოთ".*

„ატლეტიკომ" წინა ტურში „ოსასუნასთან" წააგო და აქ მარცხზე მეტად ანგარიში (0:3) და თამაშის ხარისხი იყო გასაკვირი. თუმცა ჩავარდნები ყველას მოსდის და მარტო პამპლონური ფიასკოს გამო სიმეონეს გუნდს ფორმიდან ამოვარდნას ნუ დავწამებთ. თანაც ერთია „ატლეტიკო" გასვლაზე და მეორე საკუთარ „ვისენტე კალდერონზე", სადაც ჩემპიონატის ეგიდით ჯერ თამაში არ წაუგია (11 მოგება, 2 ფრე). „რეალს" კი შინ ერთადერთი მარცხი აქვს, ხსნებული წაგება „ატლეტიკოსთან" და ანჩელოტის ბიჭები ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ „როხიბლანკოს" გრაფაშიც ის ნული ერთიანად გადაკეთდეს და სხვაობაც 6 ქულამდე გაიზარდოს.

ცალკე საუბრისა და ინტერესის თემაა უშუალოდ მწვრთნელების დაპირისპირება. ტაქტიკურად ორივე ძალიან ძლიერია. ანჩელოტიზე საუბარიც ზედმეტია, ხოლო სიმეონემ თუნდაც „სანტიაგო ბერნაბეუზე" დაამტკიცა, რომ უკვე ჩამოყალიბებული და კიდევ უფრო დიდი პოტენციალის მქონე მწვრთნელია. „ჩოლომ" პირველ წრეში მოიგო, მაგრამ გამოცდილი ანჩელოტის ზედიზედ ორ თამაშში ძლევა ძალიან რთულია. თუმცა სიმეონე ამბობს, რომ მისი გუნდი ამ დიდი მატჩისთვის ბოლომდე მზადაა და თავადაც ექნება მოფიქრებული რამე ხრიკი.

ისე, „ბერნაბეუზე" „ატლეტიკოს" ბოლოდროინდელი გმირობები კი ვახსსენეთ, მაგრამ უშუალოდ შინ „როხიბლანკოს" „რეალისთვის" 1999 წლის მერე არ მოუგია. შეწყდება ეს სერიაც ამ სეზონში?

### სხვა მატჩები

„ბარსელონა" „ანოეტაზე" კიდევ ერთხელ დაეცა და „რეალი" წინ გაუშვა. ახლა კი კატალონიელებმა მადრიდული დერბის ფონზე აუცილებლად უნდა მოიგონ და ერთ-ერთ კონკურენტზე მეტ ქულას მაინც აიღებენ ამ ტურში, თუ ორივეზე არა. ამის გაკეთება „ბარსას" **ხერარდო მარტინოს** გარეშე მოუწევს, რომელიც „სოსიედადთან" მატჩის შესვენებაზე ბასკთა სამწვრთნელო შტაბის წევრი **ჩემა ლუმბრერასის** შეურაცხყოფისთვის გააძევეს და შემდეგ, დისციპლინარულმა კომიტეტმა მისი ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასჯა გადაწყვიტა. ხოლო კლუბმა განაჩენი არ გაასაჩივრა. ტატა ტრიბუნაზე იქნება და იქიდან უხელმძღვანელებს გუნდს. ისე, ბოლო დროს მისით უკმაყოფილო ხალხის რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა და საუბრობენ იმაზეც, რომ არგენტინელმა სეზონის ბოლოს შესაძლოა გუნდი დატოვოს. თუმცა ფეხბურთელები სრულ მხარდაჭერას უცხადებენ მას.

„ბარსელონა"-"ალმერია" „რაიო"-"ვალენსიასთან" ერთად კვირა დღის და ტურის ბოლო მატჩებია. იქით, ფორმაში შესული „ღამურები" აუტსაიდერი მადრიდელების წაქცევას ეცდებიან. **ხუან ანტონიო პიცის** მისვლის მერე, „ვალენსია" სულ სხვაგვარად ათამაშდა და ევროზონისკენ მიიწევს. თუმცა ვალენსიელებს მუდამ დანაკლისით უწევთ ბურთაობა, მაგრამ გუნდი ამის მიუხედავადაც კარგად გამოიყურება.

ტურს კი „ბილბაოს" და „გრანადას" შეხვედრა გახსნის. **ერნესტო ვალვერდეს** შეგირდები შეეცდებიან გასვლებზე მეტ-ნაკლებად ყოჩაღად მოთამაშე მეტოქეს გაუსწორდნენ და მეოთხე ადგილზე პოზიციები გაიმყარონ.

ბასკების ერთ უახლოეს მდევარ „ვილიარეალს" წესით ადვილი მატჩი უნდა გამოუვიდეს შინ „ბეტისთან", სევილიელებს სტუმრად ჯერ ერთი მოგებაც არ აქვთ და მათი ეს უსუსურობა ცხრილშიც კარგად აისახება. მეორე უშუალო კონკურენტ და ასევე ბასკურ „სოსიედადს" კი ძალიან რთული მატჩი აქვს მეორე სევილიურ გუნდთან. „სანჩეს პისხუაინიდან" 3 ქულის წამოღება ურთულესი მისიაა. სანსებასტიანელებს დამატებითად ის თუ გაამხნევებთ, რომ „სევილიასთან" 4 მატჩია არ წაუგიათ - 3 მოგება და 1 ფრე.

დაბოლოს, უმნიშვნელოვანესი მატჩია მალაგაში, სადაც ანდალუსიელები „ვალიადოლიდს" მასპინძლობენ. „მალაგა" გასავარდნი ზონის მიჯნაზეა, ხოლო უახლოესი მდევარი სწორედ „ვალიადოლიდია", გუნდებს შორის სხვაობა სამი ქულაა და ეს დუელი ძალიან ბევრ რამეს გადაწყვეტს. თუ ვალიადოლიდელებს ცოტა ამოსუნთქვა და რეალური შანსის შენარჩუნება სურთ, ის უნდა გააკეთონ, რაც 2007 წლის მერე არ გამოსდით, ანუ მოუგონ „მალაგას".

**გიორგი კაკაბაძე**

## ამბები

### ვეტერანების საქველმოქმედო მატჩი

21 მარტს „ჰილსბოროს" ტრაგედიის 25 წლისთავზე „ენფილდი" საქველმოქმედო მატჩს უმასპინძლებს, რომელშიც ერთმანეთს „ლივერპულის" ინგლისელი (მწვრთნელი **კენი დალგლიში**) და უცხოელი (**ჟერარ ული**ე) ვეტერანები შეხვდებიან. შემოსული თანხა მთლიანად დაზარალებულთა ფონდში გადაირიცხება. თამაშის სურვილი უკვე დაადასტურეს **დევიდ ჯეიმსმა, ჯეიმი კარაგერმა, გარი მაკალისტერმა, იან რაშმა, რობი ფაულერმა, სტივ მაკმანამანმა, ლუის გარსიამ, მარკუს ბაბელმა, სტეფან ანშომ, დიტმარ ჰამანმა** და **ვლადიმირ შმიცერმა**.

**ლევან ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა. XXVIII ტურის წინ

# ნაკლული ტური მანკუნიანელთა გარეშე

## 1 მარტი

**ევერტონი–ვესტ ჰემი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ალკარასი, ლუკაკუ, ოვიედო, გიბსონი, კონე, ტრაორე, ჯაგიელკა - ბორიელო, ობრაიენი, ვას ტე

ბოლო 6 მატჩი
+2=1-3 +4=1-1

ურთიერთშეხვედრები
**სულ 110 თამაში: +57=23-30 (192-125)**

**ფულჰემი–ჩელსი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ბრიგსი - ვან გინკელი

ბოლო 6 მატჩი
+0=2-4 +4=2-0

ურთიერთშეხვედრები
**სულ 49 თამაში: +3=16-30 (42-83)**

**ჰალი–ნიუკასლი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** მაკშეინი, ბრეიდი - ბიგირიმანა, ბენ არფა, სანტონი, რ. ტეილორი, ობერტანი

ბოლო 6 მატჩი
+2=1-3 +2=1-3

ურთიერთშეხვედრები
**სულ 5 თამაში: +3=2-0 (7-4)**

**სტოკი–არსენალი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ჰუთი, ასაიდი - ვერმალენი, რემსი, უოლკოტი, დიაბი, კალსტრიომი, გიბსი

ბოლო 6 მატჩი
+1=2-3 +3=2-1

ურთიერთშეხვედრები
**სულ 87 თამაში: +23=20-44 (82-135)**

**საუთჰემპ–ლივერპული 21:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ჰოიველდი - სახო, ლეივა, ხ. ენრიკე

ბოლო 6 მატჩი
+2=3-1 +4=2-0

ურთიერთშეხვედრები
**სულ 73 თამაში: +20=18-35 (83-111)**

## 2 მარტი

**ასტონ ვილა–ნორვიჩი 20:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ოკორე, კოზაკი, ნზოგბია, ჰერდი – რ. ბენეტი, გუტიერესი, ტერნერი, ე. ბენეტი

ბოლო 6 მატჩი
+1=2-3 +2=2-2

ურთიერთშეხვედრები
**სულ 42 თამაში: +18=13-11 (65-56)**

**სუონსი–პალასი 20:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** მიჩუ, ბარტლი, ბ. დევისი, პოსუელო, დაიერი - ტომასი

ბოლო 6 მატჩი
+2=1-3 +3=0-3

ურთიერთშეხვედრები
**სულ 7 თამაში: +4=1-2 (10-5)**

**ტოტენჰემი–კარდიფი 20:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** კაბული, კაპუ, სიგურდსონი, სანდრო, უოლკერი, როუზი, ლამელა, კირიკეში - ჰადსონი, მედელი

ბოლო 6 მატჩი
+3=1-2 +1=1-4

ურთიერთშეხვედრები
**სულ 31 თამაში: +16=8-7 (51-29)**

**სანდერლ.-ვესტ ბრომვ. გადაიდო**

## 25 მარტი

**იუნაიტედი-სიტი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 27 | 18 | 6 | 3 | 49-21 | 60 |
| 2. არსენალი | 27 | 18 | 5 | 4 | 52-27 | 59 |
| 3. სიტი | 26 | 18 | 3 | 5 | 69-27 | 57 |
| 4. ლივერპული | 27 | 17 | 5 | 5 | 70-35 | 56 |
| 5. ტოტენჰემი | 27 | 15 | 5 | 7 | 36-33 | 50 |
| 6. იუნაიტედი | 27 | 13 | 6 | 8 | 43-31 | 45 |
| 7. ევერტონი | 26 | 12 | 9 | 5 | 37-27 | 45 |
| 8. ნიუკასლი | 27 | 12 | 4 | 11 | 33-38 | 40 |
| 9. საუთჰემპტონი | 27 | 10 | 9 | 8 | 38-32 | 39 |
| 10. ვესტ ჰემი | 27 | 8 | 7 | 12 | 31-34 | 31 |
| 11. ჰალი | 27 | 8 | 6 | 13 | 29-31 | 30 |
| 12. სუონსი | 27 | 7 | 7 | 13 | 36-40 | 28 |
| 13. ასტონ ვილა | 27 | 7 | 7 | 13 | 27-37 | 28 |
| 14. ნორვიჩი | 27 | 7 | 7 | 13 | 20-39 | 28 |
| 15. სტოკი | 27 | 6 | 9 | 12 | 27-42 | 27 |
| 16. პალასი | 26 | 8 | 2 | 16 | 18-36 | 26 |
| 17. ვესტ ბრომვიჩი | 27 | 4 | 13 | 10 | 31-39 | 25 |
| 18. სანდერლენდი | 26 | 6 | 6 | 14 | 26-42 | 24 |
| 19. კარდიფი | 27 | 5 | 7 | 15 | 19-48 | 22 |
| 20. ფულჰემი | 27 | 6 | 3 | 18 | 27-59 | 21 |

**ბომბარდირები:** 23 - ლუის სუარესი (ლივერპული), 18 - დენიელ სტარიჯი (ლივერპული), 15 - სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი)



ოლივიე ჟირუს „სტოკის" ცენტრალურ მცველებთან მძიმე ბრძოლები ელის

**პრემიერლიგის XXVIII** ტურს ორი წყვილი აკლია. კვირას გასამართი ლიგის თასის ფინალის გამო არ თამაშობენ „მანჩესტერ სიტი" და „სანდერლენდი", რომლებიც, შესაბამისად, „მანჩესტერ იუნაიტედსა" და „ვესტ ბრომვიჩს" უნდა შეხვედროდნენ. დიდხანს ვიფიქრეთ, დარჩენილი რვა მატჩიდან რომელი მიგვეჩნია ცენტრალურად და მივედით დასკვნამდე, რომ ამის გაკეთება არ ღირს, რადგან ამ სტატუსს არც ერთი მათგანი არ იმსახურებს. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ხვალ და ზეგ ინგლისში უინტერესო თამაშები გაიმართება. მოდი, რამდენიმე მათგანზე ვთქვათ ორიოდე სიტყვა.

**საუთჰემპტონი–ლივერპული**

„წმინდანები" წინა ტურში ფორმაში შესულ „ვესტ ჰემთან" ლონდონში დამარცხდნენ და 6-მატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტეს. ხვალ კი „სენტ მერის" მრისხანე „ლივერპული" სტუმრობს. მასპინძლებს სანერვიულო მაინც ნაკლებად აქვთ. მორიგი მარცხის შემთხვევაშიც კი მათ არაფერი ემუქრებათ. ეჭვი გვაქვს, **მაურისიო პოჩეტინოს** შეგირდები უკვე შეეგუვნენ, რომ სეზონის დარჩენილი ნაწილი მექანიკურად უნდა ჩაამთავრონ. ევროპალიგაზე მოხვედრა უბრალოდ ფანტასტიკაა, გავარდნა კი კიდევ უფრო ძნელად წარმოსადგენი. სამაგიეროდ, მოტივირებულია „ლივერპული", ვინც ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვის. ამას გარდა, „წითლებს" პირველი წრის წყენაც ახსოვთ, როცა „ენფილდზე" პირველად და უკანასკნელად დამარცხდნენ. „ლივერპულისთვის" „სენტ მერი" ბოლო წლებში აუღებელ ციხესიმაგრედ იქცა. მერსისაიდელებმა ამ არენაზე ზედიზედ სამჯერ დათმეს ორბურთიანი სხვაობით.

**სტოკი–არსენალი**

„არსენალი" წყვილში ფავორიტად კი მიიჩნევა, მაგრამ „ბრიტანიაზე" 3 ქულის აღება მაინც რთული საქმე იქნება, რადგან „სტოკი" შინ იშვიათად მარცხდება. ამას მოწმობს სტატისტიკაც. ლიდერების შემდეგ „მეთიხეებს" შინ ყველაზე ცოტა (2) წაგება აქვთ. აქ თამაში უჭირს უშუალოდ „არსენალსაც": უკანასკნელი 9 მატჩიდან მხოლოდ ერთხელ იმარჯვა. „მეთოფეებს" ის თუ უშველით, რომ შესანიშნავ ფორმაშია მათი თავდასხმა. „სანდერლენდთან" განსაკუთრებით ეფექტურად გამოიყურებოდა **ოლივიე ჟირუ**.

**ევერტონი–ვესტ ჰემი**

„ევერტონი" ბოლო ოთხ ტურში სამჯერ ეთამაშა ჩემპიონატის ლიდერებს სტუმრად და სამჯერვე დამარცხდა, რის გამოც მერსისაიდელებმა ცხრილში ორი პოზიციით დაიხიეს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ „ვესტ ჰემი" ის გუნდია, ვისთან მოგებაც აუცილებელია, მაგრამ სიტუაცია არც ისე მარტივია. „ჩაქუჩების" დაცვა ტრადიციულად კედელივით დგას. ბოლო ხუთ მატჩში **ადრიან კასტილიომ** მხოლოდ ერთი გოლი გაუშვა, მისმა გუნდმა კი მაქსიმალური 15 ქულიდან 13 მოიპოვა, აქედან 12 ზედიზედ. სემ ელერდაისის გუნდს სეზონის უმთავრესი მიზნისთვის ჯერ კიდევ არ მიუღწევია. ასე რომ, „გუდისონ პარკზე" ფიცხელი ბრძოლაა მოსალოდნელი.

ჩელსი. გამოხმაურება

# თავდასხმა ისევ არაეფექტურია

ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფების პირველი მატჩების შემდეგ ინტრიგა რეალურად მხოლოდ სამმა წყვილმა შეინარჩუნა. ვგულისხმობთ „მილანი"-"ატლეტიკოს", „მანჩესტერ იუნაიტედი"-"ოლიმპიაკოსსა" და რაც მთავარია, „ჩელსი"-"გალათასარაის". სტამბოლში შეხვედრა ლოგიკური ანგარიშით დასრულდა. მიუხედავად იმისა, რომ **ჟოზე მოურინიოს** გრძელი სათადარიგოთა სკამი აქვს, მას მაინც უწევს მომავალი დაპირისპირებების წინ ძალების შენახვა. ამიტომაც იყო, რომ პორტუგალიელმა ანგარიშის გათანაბრების უმალ მოედანზე ორი დასვენებული ფეხბურთელი შეუშვა და შესანიშნავად ათამაშებულ მასპინძლებთან აქცენტი ანგარიშის შენარჩუნებაზე გააკეთა. მიზანი მიღწეულია, ლონდონური მატჩის წინ „ჩელსი" უკვე აშკარა ფავორიტად იქცა.



„ჩელსის" წარმატებისთვის ფერნანდო ტორესის ერთი გოლი არ ეყო

**ჟოზე მოურინიო (ჩელსი):** „შესვენებამდე უპირატესობას ვფლობდით და 3-4 კარგი მომენტი ვერ გამოვიყენეთ. მეორე ტაიმში თამაში ჯერ გათანაბრდა, შემდეგ კი უკვე სერიოზული ზეწოლის ქვეშ მოვექეცით. ტორესმა უზარმაზარი სამუშაო შეასრულა, დაიღალა და შეცვლა ითხოვა. მისი გასვლის შემდეგ კი შეტევაში სიმწვავე მოგვაკლდა. მას ძალიან არ უმართლებს. „სიტისთან" მატჩის შემდეგ ტრავმა მიიღო, ფორმაში შევიდა თუ არა „საუთჰემპტონსა" და „ჰალს" გაუტანა და ისევ დაიმტვრა. მომენტების რეალიზაცია გვიჭირს. ვიღაცას შეუძლია, რომ სამი მომენტიდან სამივე გაიტანოს, ჩვენ კი ხანდახან ყოველ მეხუთესაც ვერ ვიყენებთ. ეს მხოლოდ თავდამსხმელების არაეფექტურობაზე კი არა, მთლიანად გუნდის პრობლემებზე მიუთითებს. გადამწყვეტ მომენტში ბოლო პასი და მოძრაობა გვაკლია, რაც შედეგებზე ცუდ გავლენას ახდენს. ჩემპიონატს ვლიდერობთ, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ბევრი დაუგეგმავი ქულა დავკარგეთ".

**რობერტო მანჩინი** (გალათასარაი): „ჩვენთვის ფრე მისაღები შედეგია. მართალია, დებიუტში რამდენჯერმე უხეშად შევცდით, მაგრამ ეს ალბათ იმის ბრალი იყო, რომ მეტოქის ოდნავ გვეშინოდა და დაცვაში ძალიან ღრმად ვმოქმედებდით. შესვენების შემდეგ თამაში აშკარად გამოვასწორეთ, რამაც ძალიან გამახარა. ჩემი აზრით, მეორე გოლსაც ვიმსახურებდით. ლონდონში მძიმე მატჩი გველოდება, თუმცა ჩემმა ფეხბურთელებმა დაამტკიცეს, რაც შეუძლიათ. მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის წინააღმდეგ ახლა უფრო მეტი შეგვიძლია, ვიდრე თამაშამდე. „ჩელსი" ისევ ფავორიტია, 60/40-ზე, აი, ასე შევაფასებდი მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსებს".

ამბები

## 200 მილიონი ნდობის ნიშნად

„მანჩესტერ იუნაიტედს" მიმდინარე სეზონში ტიტულის მოპოვების პრაქტიკული შანსი უკვე აღარ შერჩა. შესაძლოა, გუნდი სულაც ევროპული ტურნირების მიღმა დარჩეს, რაც მას ძალიან ძვირი დაუჯდება პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. მიუხედავად ბუნდოვანი პერსპექტივისა, ხელმძღვანელობა **დევიდ მოიესს** ენდობა და ამის დასტურად ზაფხულზე სატრანსფერო კამპანიისთვის 200 მილიონი ფუნტის გამოყოფას ჰპირდება, ამტკიცებს „დეილი სტარი". სახელდება კონკრეტული სახელები, ვის ყიდვასაც შოტლანდიელი პირველ რიგში შეეცდება. ესენი არიან მცველები **ელიაკიმ მანგალა** (პორტუ), **ლუკ შოუ** (საუთჰემპტონი) და ნახევარმცველები **ტონი კროოსი** (24, ბაიერნი), **ილქაი გიუნდოგანი** (დორტმუნდი).



ალვარო მორატა

## მორატამ არსენალი ამჯობინა

ესპანური პრესის მტკიცებით, მადრიდის „რეალის" 21 წლის სათადარიგო თავდამსხმელმა **ალვარო მორატამ** „არსენალთან" პირადი კონტრაქტის დეტალები შეათანხმა და ახლა იმას იმედოვნებს, რომ კლუბებს ტრანსფერზე მოლაპარაკება არ გაუჭირდებათ. იმის გათვალისწინებით, რომ ფეხბურთელს სამეფო კლუბთან ხელშეკრულებაში ერთი წელი რჩება, წესით, პროცესი დიდხანს არ უნდა გაიწელოს. „მეთოფეთა" გარდა მორატას გადაბირება სურდათ „ლივერპულს", „იუვენტუსსა" და „ინტერს".

## აგუერო ფინალში ითამაშებს

2 მარტს „უემბლიზე" ინგლისში პირველი შიდა ტურნირის გამარჯვებული გაირკვევა. ლიგის თასის ფინალში ერთმანეთს „მანჩესტერ სიტი" და „სანდერლენდი" შეხვდებიან. ექიმებმა **მანუელ პელეგრინის** სასიამოვნო ამბავი ამცნეს: **სერხიო აგუერო** შეძლებს გუნდის დახმარებას. 29 იანვარს „ტოტენჰემთან" (5:1) ტრავმირებული ფეხის გამო არგენტინელს მთელი თვეა, არ უთამაშია. ჩემპიონატში გადამწყვეტი ეტაპის წინ ლიდერის დაბრუნება „სიტისთვის" დიდი იმედია.



სერხიო აგუერო

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

02.03. მილანი
სან სირო
23:45

**მილანი**

| ბოლო 6 მატჩი | |
|---|---|
| +4=1-1 | +4=2-0 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 46 თამაში: +14=14-18, (52-61)

**იუვენტუსი**

სავარაუდო შემადგენლობები




**დისკვალიფიკაცია:** მუნტარი - ვიდალი
**ტრავმა:** ელ შაარავი, კრისტანტე, სილვესტრი, დე შილიო, აბიატი, ბალოტელი, საპატა - კიელინი, პეპე, ვუჩინიჩი

## 1 მარტი

**რომა-ინტერი** 23.45

**დისკვალიფიკაცია:** არავინ.
**ტრავმა:** დოდო, ბალცარეტი, ტოტი, მაიკონი, ფლორენცი - კამპანიარო.

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 5-1-0 | 2-2-2 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 58 თამაში: +17=17-24, (88-99)

## 2 მარტი

**კალიარი-უდინეზე** 15.30

**დისკვალიფიკაცია:** კონტი, ეკდალი - დომიცი.
**ტრავმა:** გაბრიელ სილვა, ლაძარი, ბუბნიჩი (უდინეზე).

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 1-1-4 | 2-2-2 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 28 თამაში: +5=6-18, (28-53)

**ატალანტა-კიევო** 18.00

**დისკვალიფიკაცია:** სარდო (კიევო).
**ტრავმა:** კაცოლა, ბრივიო, სკალონი - პარედესი.

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 1-3-2 | 4-1-1 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 30 თამაში: +6=8-16, (32-57)

**ჯენოა-კატანია** 18.00

**დისკვალიფიკაცია:** მათუზალემი - ბერგესიო.
**ტრავმა:** გამბერინი, დონარუმა, კუჩკა, ვრსალკო - კასტრო, ლეტო, ბარიენტოსი.

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 2-3-1 | 1-3-2 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 20 თამაში: +6=4-10, (22-26)

**ვერონა-ბოლონია** 18.00

**დისკვალიფიკაცია:** ტონი - პერესი.
**ტრავმა:** გონსალესი, მაიეტა - პაციენცა, აკვაფრესკა, დელა როკა.

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 2-1-3 | 1-2-3 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 13 თამაში: +3=2-8, (15-23)

**სასუოლო-პარმა** 18.00

**დისკვალიფიკაცია:** მუნარი (პარმა).
**ტრავმა:** ტერანოვა, ალექსე, აჩერბი, მაზუჩი, მანფრედინი - კორიო.

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 0-0-6 | 4-2-0 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 3 თამაში: +0=2-1, (4-6)

**ტორინო-სამპდორია** 18.00

**დისკვალიფიკაცია:** ჟილე, ელ ქადური - კოშტა, პალომბო, მაქსი ლოპესი.
**ტრავმა:** ბარეტო, მაზიელო, მორეტი - გასტალდელო.

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 3-1-2 | 2-1-3 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 21 თამაში: +6=7-8, (19-24)

**ლივორნო-ნაპოლი** 21.30

**დისკვალიფიკაცია:** ალბიოლი, იგუაინი (ნაპოლი).
**ტრავმა:** სილიგარდი, პიჩინი, ლუჩი - ცუნიგა, რაფაელი.

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 2-1-3 | 2-3-1 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 10 თამაში: +2=2-6, (8-14)

**ფიორენტინა-ლაციო** 23.45

**დისკვალიფიკაცია:** დიაკიტე, პისარო, ბორხა ვალერო (ფიორენტინა).
**ტრავმა:** ჰეგაზი, როსი, რებიჩი - ალფარო, პოშტიგა, ედერსონი, დიასი.

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 2-2-2 | 3-2-1 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 38 თამაში: +10=8-20, (36-61)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 25 | 21 | 3 | 1 | 60-19 | 66 |
| 2. რომა | 24 | 17 | 6 | 1 | 49-11 | 57 |
| 3. ნაპოლი | 25 | 15 | 6 | 4 | 50-28 | 51 |
| 4. ფიორენტინა | 25 | 13 | 6 | 6 | 45-27 | 45 |
| 5. ინტერი | 25 | 10 | 10 | 5 | 43-29 | 40 |
| 6. ვერონა | 25 | 12 | 3 | 10 | 43-42 | 39 |
| 7. პარმა | 24 | 9 | 10 | 5 | 38-29 | 37 |
| 8. ტორინო | 25 | 9 | 9 | 7 | 39-32 | 36 |
| 9. მილანი | 25 | 9 | 8 | 8 | 39-35 | 35 |
| 10. ლაციო | 25 | 9 | 8 | 8 | 33-34 | 35 |
| 11. ჯენოა | 25 | 8 | 8 | 9 | 28-32 | 32 |
| 12. უდინეზე | 25 | 8 | 4 | 13 | 29-36 | 28 |
| 13. სამპდორია | 25 | 7 | 7 | 11 | 27-37 | 28 |
| 14. ატალანტა | 25 | 8 | 4 | 13 | 25-37 | 28 |
| 15. კალიარი | 25 | 5 | 10 | 10 | 23-35 | 25 |
| 16. ბოლონია | 25 | 4 | 9 | 12 | 22-41 | 21 |
| 17. კიევო | 25 | 5 | 6 | 14 | 19-35 | 21 |
| 18. ლივორნო | 25 | 5 | 5 | 14 | 26-45 | 20 |
| 19. კატანია | 25 | 4 | 7 | 14 | 19-43 | 19 |
| 20. სასუოლო | 25 | 4 | 5 | 16 | 25-54 | 17 |

**ბომბარდირები:** 14 - ჯუზეპე როსი (ფიორენტინა), კარლოს ტევესი (იუვენტუსი); 13 - ჩირო იმობილე (ტორინო), გონსალო იგუაინი (ნაპოლი);

იტალია. სერია A. XXVI ტურის წინ

# იტალიური ფეხბურთის კლასიკა

## ტური დიდი მატჩებით



**ამ უქმეებზე იტალიური ფეხბურთის მოყვარულებს მოსაწყენად ნამდვილად არ ეცლებათ, რადგან სერია A-ს მიმდინარე გათამაშების 26-ე ტური განსაკუთრებულად საინტერესოა. „ფიორენტინა" „ლაციოს" უმასპინძლებს, „რომა" „ინტერს" დაუხვდება, ხოლო „მილანს" „იუვენტუსი" სტუმრობს...**

## ფიორენტინა - ლაციო

გასულ ტურში, „ფიორენტინამ" ორი ქულა დაკარგა, თუმცა ვერც „ნაპოლიმ" იძალა და ფლორენციელები ჩემპიონთა ლიგის ზონას კვლავაც ექვსი ქულით არიან დაშორებულნი. ამ ფორის გაზრდა შესაძლოა, საბედისწერო გამოდგეს და ამიტომ, **ვინჩენცო მონტელას** შეგირდებმა „ლაციო" აუცილებლად უნდა დაამარცხონ. არადა, რომაელებს თავისი მიზნები აქვთ, ევროპალიგის საგზური უნდათ და უკან დახევას არ აპირებენ.

ფლორენციელები მეტოქეს **ბორხა ვალეროს** გარეშე დაუხვდებიან და თუ **ჯუზეპე როსის** არყოფნასაც გავითვალისწინებთ, მონტელა მძიმე ამოცანის წინაშე დგას. „ვიოლა" **კუადრადო-ილიჩიჩი-მატრის** ტრიოთი შეუტევს, სიღრმიდან კი მათ **ფერნანდესი, ამბროზინი** და **აკვილანი** დაეხმარებიან. რომაელთა მთავარი იმედი **მიროსლავ კლოზეა,** რომლის პასებით მომარაგებას ფლანგებიდან **ლულიჩი** და **კანდრევა** შეეცდებიან.

## რომა-ინტერი

„სტადიო ოლიმპიკოზე" დიდი ჯახია, რომელიც „მილანის" და „იუვენტუსის" დაპირისპირებაზე არანაკლებ ინტერესს იწვევს. მილანელები ამ უმნიშვნელოვანეს პაექრობას განსაკუთრებული დანაკლისის გარეშე ხვდებიან, აი მასპინძლებს კი ერთბაშად რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლიათ. მარტო **ფრანჩესკო ტოტის** ხსენება რად ღირს, თუმცა არც სხვების დავიწყება შეიძლება - მაგალითად, **ალესანდრო ფლორენცის**, რომელიც ასევე ძირითადის მოთამაშეა და განაპირა მცველების: **დუგლას მაიკონის, ფედერიკო ბალცარეტის** და **დოდოს**. შედეგად, „რომას" დაცვის ფლანგებს **ტოროსიდისი** და **რომანიოლი** გაამაგრებენ, შეტევაში კი **რუდი გარსია** შემდეგ ტრიოს დაეყრდნობა: **ჟერვინიო, ადემ ლიაიჩი, მატია დესტრო.**

რას აპირებს **ვალტერ მაცარი?** - ტრადიციულ ტაქტიკას, 3-5-2-ს დაეყრდნობა და შეეცდება, მოედნის ცენტრში აჯობოს მეტოქეს. „ნერაძურის" მესაჭის მთავარი დილემაა, ვინ შეუწყვილოს **როდრიგო პალასიოს**: ვეტერანი **დიეგო მილიტო** თუ ახალგაზრდა **მაურო იკარდი.** „გაძეტა დელო სპორტი" უპირატესობას მილიტოს ანიჭებს, თუმცა ეს მხოლოდ პროგნოზია და მთავარი სიტყვა მაცარიმ უნდა თქვას. ვნახოთ, წინ საინტერესო ჯახი გველის.

## მილანი - იუვენტუსი

ტურის ცენტრალური მატჩი მაინც „სან სიროზე" გაიმართება, სადაც „მილანი" „იუვენტუსს" უმასპინძლებს. წინ იტალიური საკლუბო ფეხბურთის კლასიკა გველოდება, რომელმაც არაერთ კითხვას უნდა გასცეს პასუხი... მაგალითად, რამდენად საფუძვლიანია ეჭვები „იუვენტუსის" მცირე ჩავარდნის შესახებ, რაც ფეხბურთელთა გადაღლილობითაა გამოწვეული, ან რამდენად მართებულია ლაპარაკი „მილანის" პროგრესზე **კლარენს ზეედორფის** თავკაცობით.

ლომბარდიულ გრანდს **მარიო ბალოტელი** ჰყავს ტრავმირებული და ეს უდავოდ დიდი დანაკლისია, აი ტურინელები კი დისკვალიფიკაციის გამო **არტურო ვიდალს** მოისაკლისებენ. სუპერმარიოს **ჯამპაოლო პაცინი** შეცვლის, ჩილელის დისკვალიფიკაციამ კი **ანტონიო კონტეს** დილემა მოუხსნა - „იუვეს" შუა ხაზი შემდეგი ხუთეულით დაკომპლექტდება: **ლიხტშტაინერი, პირლო, პოგბა, მარკიზიო, ასამოა.** ისღა დაგვრჩენია, რომ დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას...

**ლაშა ნიკლაური**



არტურო ვიდალი დისკვალიფიცირებულია



ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალბურთი



საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები

# მიზანთან ახლოს

## პირველ-ორ მარტს ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მონაწილე ექვსეული გამოვლინდება

წლეულს 13-27 ივლისს უნგრეთის დედაქალაქი ბუდაპეშტი წყალბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს უმასპინძლებს. მედლებისთვის კონტინენტის 12 საუკეთესო გუნდი იბრძოლებს. გადამწყვეტ რაუნდში მონაწილეობის უფლება დაბევებული აქვს წინა ჩემპიონატის საუკეთესო ექვსეულს: სერბეთს, იტალიას, ჩერნოგორიას, საბერძნეთს, გერმანიასა და უნგრეთს. დანარჩენი ექვსი გუნდის ვინაობა პირველ-ორ მარტს გაირკვევა. მიზანთან ახლოსაა საქართველოს ნაკრები, რომელმაც **ვლადიმერ ისელიძისა** და **იოვან პოპოვიჩის** ხელმძღვანელობით პლეი ოფში მოსახვედრად გრძელი გზა განვლო: საკვალიფიკაციო ეტაპის სამ ტურში 27 ქულა მოაგროვა და საფრანგეთისა და რუსეთის ეროვნულ გუნდებთან პირველი-მესამე ადგილები გაინაწილა. წილისყრამ პლეი ოფში მეტოქედ თურქეთის ნაკრები გვარგუნა, რომელიც ბოლო ორი ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მონაწილეა. პირველი მატჩი ჩვენმა წყალბურთელებმა თბილისში გამართეს და სტუმრები ოთხი ბურთის სხვაობით - 8:4 დაამარცხეს. შაბათს, პირველ მარტს, საქართველოს ნაკრებს სტამბოლში პაექრობის სამი ბურთის სხვაობით წაგებაც ხელს აძლევს, მაგრამ ბიჭებს მსგავსი შედეგის გაფიქრებაც არ სურთ - სტუმრადაც წარმატების მისაღწევად ვიბრძოლებთ, თითქოს პირველი მატჩი სულაც არ ყოფილა, ორი წლის წინათ ფინალის გზა რუმინეთმა გადაგვიღობა და ოცნება ახლა უნდა ავისრულოთო. ამ პრინციპული შეხვედრისთვის უკეთ მოსამზადებლად საქართველოს ნაკრები (**ზურაბ ჭუმბურიძე, ბექა კაპანაძე** (მეკარეები), **მარკო ელაჩა, მარკო ელეზი, დამირ ცრეპულია, გალაქტიონ ლაითაძე, რევაზ ჩომახიძე, მიხეილ ბალათურია, ზურაბ რურუა** (კაპ.), **გიორგი ხვედელიანი, კონსტანტინე გეგელაშვილი, ტატო ნიკოლეიშვილი, მარინო ფრანიჩევიჩი**) ერთკვირიან საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფებოდა სერბეთში და იქაურ გუნდებთან სამი ამხანაგური შეხვედრაც გამართა: „ვოივოდინას" დაუზავდა (13:13), ხოლო „ჟაკს" ორი შეხვედრა მოუგო ცხრა და რვა ბურთის სხვაობით. ჩვენი გუნდი სერბეთიდან სტამბოლში ჩაფრინდა და პრინციპული პაექრობის წინ იქაურ აუზს ეჩვევა, თუმცა შარშან იმ აუზში მასპინძლებთან გამარჯვება მოასწრო - სტამბოლის საერთაშორისო ტურნირზე თურქებს 10:9 მოუგო. იმედია, ჩვენი გუნდი შაბათს - პირველ მარტსაც გაგვახარებს ფინალში გასვლით.

ამავე დღეს პლეი ოფის კიდევ ოთხი შეხვედრა გაიმართება: **დიდი ბრიტანეთი-რუმინეთი** (პირველი მატჩის ანგარიში-7:18), **ესპანეთი-უკრაინა** (17:5), **ხორვატია-სლოვაკეთი** (16:8), **მალტა-საფრანგეთი** (8:20). 2 მარტს **რუსეთი** და **ჰოლანდია** (11:9) ითამაშებენ.

ჭადრაკი

# ჯავახიშვილი ოქროს მიუახლოვდა

თბილისის ჭადრაკის სასახლეში ხვალ დამთავრდება მოჭადრაკე ქალთა 71-ე ეროვნული ჩემპიონატი. ოქროს მედლის მოპოვების რეალურ შანსს ინარჩუნებს საქართველოს ნაკრების წევრი **ლელა ჯავახიშვილი**, რომელმაც გუშინ თეთრი ფიგურებით 46-ე სვლაზე დაამარცხა **სოფიკო გურამიშვილი** და გათამაშების ცხრილში მორიგი გამარჯვება ჩაიწერა. ჯავახიშვილს 9 შესაძლებლიდან 8 ქულა აქვს და უახლოეს მდევრებს 1,5-1,5 ქულით უსწრებს. სოფიკო გურამიშვილმა, რომელიც ჩემპიონატში ნანა ძაგნიძის ნაცვლად დაუშვეს, შეჯიბრება კარგად დაიწყო, მაგრამ რამდენიმე ტურში წაიფორხილა და ახლა 4,5 ქულით მეექვსე-მეშვიდე ადგილებს იყოფს. არადა, სპეციალისტები უკეთეს შედეგს მოელოდნენ. იგი სხვადასხვა ასაკში საქართველოს სამგზის ჩემპიონი და ორგზის ვიცე-ჩემპიონია, 2006 წელს 16-წლამდელთა მსოფლიოს პირველობა მოიგო, მსოფლიოს და ევროპის პირველობებზე თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მფლობელია. ქალთა საერთაშორისო დიდოსტატმა (2009) და ვაჟთა შორის საერთაშორისო ოსტატმა (2011) 2010 და 2012 წლების მსოფლიო უნივერსიადებზე ერთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალოსანმა საქართველოს წლევანდელ ჩემპიონატში საპრიზო ადგილებზე გასვლის შანსი გუშინდელი მარცხის შემდეგ ხელიდან გაუშვა.

პირველ სამეულში მოხვედრის რეალური კანდიდატები არიან საქართველოს ამჟამინდელი ჩემპიონი **ნინო ხურციძე** და **ბელა ხოტენაშვილი**, რომლებმაც 9 ტურში 6,5-6,5 ქულას მოუყარეს თავი. გუშინ ხურციძე თეთრი ფიგურებით **ნინო ბაციაშვილს** დაუზავდა, ხოტენაშვილმა კი თეთრებით **სოფიო გვეტაძეს** მოუგო.

სამეულში მოხვედრის შანსი არ დაუკარგავს **მერი არაბიძეს**, რომელმაც მე-9 ტურში **ანა კუჭავას** აჯობა. დანარჩენი ორი პარტია ასე დამთავრდა: **ინგა ხურცილავა-სოფიო გვეტაძე** 0,5:0,5, **ნანი უნაფქოშვილი-ნინო ხომერიკი** 1:0.

ცხრა ტურის შემდეგ: ჯავახიშვილი-8, ხურციძე, ხოტენაშვილი - 6,5-6,5, არაბიძე - 6, გვეტაძე - 5,5, ბაციაშვილი, გურამიშვილი - 4,5-4,5, ხომერიკი - 3,5, ხურცილავა, ნიკოლაძე - 2,5-2,5, კუჭავა, უნაფქოშვილი - 2-2 ქულა.

ბოლო ორ ტურში ითამაშებენ: **X ტური.** არაბიძე-ბაციაშვილი, ხომერიკი-ხურციძე, გვეტაძე-უნაფქოშვილი, გურამიშვილი-ხოტენაშვილი, ნიკოლაძე-ჯავახიშვილი, კუჭავა-ხურცილავა. **XI ტური.** ხურცილავა-არაბიძე, ჯავახიშვილი-კუჭავა, ხოტენაშვილი-ნიკოლაძე, უნაფქოშვილი-გურამიშვილი, ხურციძე-გვეტაძე, ბაციაშვილი-ხომერიკი.



სოფიკო გურამიშვილი

ჩოგბურთი

# ქალები ნახევარფინალში, მეტრეველი ფინალში

ორი ქართველი ჩოგბურთელი მონაწილეობს ანტალიის 10.000-იან საერთაშორისო ტურნირში და ორივემ მეოთხედფინალში გააღწია. მე-3 ნომრად განთესილი **ეკატერინე გორგოძე** ვიქტორია მუნტეანს (საფრანგეთი) დაუპირისპირდა და ორ სეტში აჯობა - 6:4, 6:2. დღეს იგი პია კონიგის (ავსტრია) მძლეველ ქრისტინა ადამესკუს (რუმინეთი) შეხვდება. ტურნირის მე-6 ნომერი მაკედონიელი ლინა გიორჩესკა ეყოლება მეტოქედ **სოფიო ქვაცაბაიას,** რომელმაც მე-2 წრეში ამერიკელი მალიკა როსე დაჯაბნა - 6:3, 6:0, მაკედონიელმა კი რალუკა გეორგიანა სერბანს (რუმინეთი) მოუგო - 6:3, 6:3. მეოთხედფინალში დანარჩენი გუშინდელი გამარჯვებულები ასე დაწყვილდნენ: ნიკოლეტა-კატალინა დასკალუ (რუმინეთი) - ჰელენ პლოსკინა (უკრაინა), ლი ჟუ (ჩინეთი)-ლენკა ვიენეროვა (სლოვაკეთი).

წყვილებში გორგოძე და ქვაცაბაია ერთად ებრძვიან მეტოქეებს. მეოთხედფინალში ქართველთა დუეტმა დიანე ჰოლანდს (ზელანდია) და ვიქტორია მუნტეანს (საფრანგეთი) აჯობა - 6:0, 4:6, 10:3. ნახევარფინალში ჩვენი გოგონები რუმინელებს - ნიკოლეტა-კატალინა დასკალუს და რალუკა გეორგიანა სერბანს გაუწევენ მეტოქეობას. მეორე ნახევარფინალში დიანა ბუზეანი (რუმინეთი), იანა სიზიკოვა (რუსეთი) და იიჰონ ლი და ლინ ჟუ (ორივე-ჩინეთი) ითამაშებენ.



სოფიო ქვაცაბაია

■ ■ ■

იტალიაში ბიენასკოს 25.000-იან საერთაშორისო ტურნირს დაემშვიდობა **სოფიო შაფათავა,** წყვილებში მან უკრაინელ ანასტასია ვასილიევასთან ერთად გუშინ იტალიელებთან - ნიკოლე კლერიკოსა და ჯულია გატომონტიკონესთან დაძაბულ პაექრობაში ორივე სეტი დათმო - 6:7, 6:7.

■ ■ ■

ყაზახეთის ჩოგბურთელ ვაჟთა 10.000-იანი ტურნირის ფინალში გავიდა **ალექსანდრე მეტრეველი,** რომელიც ყაზახ დენის ევსეევთან არის შეამხანაგებული. გუშინ ნახევარფინალში მათ რეიტინგფავორიტ სლოვაკებს - მარეკ სემჟანსა და ადრიან სიკორას მოუგეს - 7:6, 1:6, 10:7. ფინალში მათი მეტოქე იქნება მე-2 ნომრად განთესილი ბელარუსების - იარასლაუ შილას და ანდრეი ვასილევსკის დუეტი, რომელმაც გუშინ კირილ დიმიტრიევსა (რუსეთი) და ტიმურ ხაბიბულინს (ყაზახეთი) დააყრევინა ფარ-ხმალი - 3:6, 6:2, 10:3.

■ ■ ■

ლიტვაში აივარას ბალზეკასის მემორიალის ერთეულთა შეჯიბრებას გამოეთიშა თბილისელი **ალექსანდრე ბაკში,** რომელიც მე-2 წრეში შვედ სემ ტეილორთან დამარცხდა - 2:6, 1:6. სამაგიეროდ, ჩვენებურმა წარმატებით ითამაშა წყვილებში. რუს ალექსანდრ ბუბლიკთან შეამხანაგებულმა ბაკშიმ სტარტზე მასპინძლები - მანტას გრიკუსი და ტომას ვაისე ჩამოიშორა გზიდან - 6:3, 6:3. მეოთხედფინალში ალექსანდრ ლებედინისა (უკრაინა) და ბორის პოკოტილოვის (რუსეთი) ტანდემთან გაარკვევს ურთიერთობას.

დაფასება



ნიკოლოზ დერიუგინი ნორჩ შეგირდებთან

# შეხვედრა კალათბურთის ლეგენდასთან

წელინადზე მეტია „ლიდერბეთის" თაოსნობით გულშემატკივრები ქართული სპორტის სახელოვან სპორტსმენებს ხვდებიან. გუშინ ამ ორგანიზაციის სტუმარი გახლდათ ქართული კალათბურთის ლეგენდა **ნიკოლოზ დერიუგინი:**

დაიბადა 1956 წლის 30 აპრილს ქუთაისში. კალათბურთის თამაში დაიწყო 7 წლისამ ზაურ ჩარკვიანთან. მერე სულიკო თორთლაძე ავარჯიშებდა.

თბილისის „დინამოში" ჩაირიცხა 1975 წელს და 10 წლის განმავლობაში იცავდა მის ღირსებას. სხვადასხვა წლებში თამაშობდა „თბილისში" (1991-1992), უნგრეთის „მუფკში" (1992-1993), თბილისის „ვითასა" (1993-1994) და „სდასუში" (1994-1996), სლოვაკეთის „სლოვაკოფარმაში" (1995-1996). საბჭოთა კავშირის ნაკრებში გამოდიოდა 1978-1985 წლებში, ორი წელიწადი (1995-1996) საქართველოს ნაკრებშიც იყო. 1975 წელს ჭაბუკებში გახდა ევროპის ჩემპიონი, შემდეგ ორჯერ ახალგაზრდებში მიაღწია ასეთივე წარმატებას. 1980 წლის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი, 1982 წლის მსოფლიოს, 1981 წლის ევროპის ჩემპიონი და საკონტინენტთაშორისო თასის ორგზის (1978, 1979) მფლობელი და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ბრინჯაოს (1997) პრიზიორია.

გუშინ ქომაგების კერპთან საზეიმო შეხვედრას ესწრებოდნენ კალათბურთის ეროვნული ფედერაციის მესვეურები, ვეტერანი კალათბურთელები, ჟურნალისტები, დერიუგინის ოჯახის წევრები, ახლობლები და ამჟამინდელი შეგირდები. სალამოს უძღვებოდნენ ჟურნალისტი **გიგა გვენცაძე** და ვეტერანი კალათბურთელი **პაატა გურასპაული.** სპორტის დამსახურებულ ოსტატს მიესალმნენ და მისი საკალათბურთო ცხოვრებიდან საინტერესო ეპიზოდები გაიხსენეს საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **მიხეილ გაბრიჩიძემ**, ვიცე-პრეზიდენტმა **კახა შენგელიამ**, ყოფილმა თანაგუნდელმა **ნოდარ ქორქიამ**, ძმამ - **ვალენტინ დერიუგინმა**, ვეტერანმა კალათბურთელებმა და მასმედიის წარმომადგენლებმა. გამომსვლელებმა გაიხსენეს, ნიკოლოზ დერიუგინი თუ როგორ უწყობდა ნებისმიერ გუნდს „ავიაციის" დღეს - მოსკოვის არმიელთა კალათში 18 წლის ამომავალი ვარსკვლავის ჩაგდებული 57 ქულა იმ პერიოდის საბჭოთა რეკორდად დარჩა. გაიხსენეს, ასევე, დერიუგინთან პაექრობისას თუ რა შავ დღეში ცვივდებოდნენ საბჭოთა კალათბურთის დიდოსტატები - ტკაჩენკო, ბელოსტენნი, საბონისი, მიშკინი, ლოპატოვი, სილანტიევი, გრიშაევი და სხვა გიგანტები. არც საბჭოთა კავშირის ნაკრების მაშინდელი მწვრთნელის - **ალექსანდრ გომელსკის** სიტყვები დავიწყებიათ: „ნიკოლოზ დერიუგინის ვარსკვლავი 1982 წელს კოლუმბიის მსოფლიოს ჩემპიონატზე ამობრწყინდა. ვიტყვი მეტსაც - რომ არა კოლია, არ ვიცი, ოქროს მედლებს მოვიპოვებდით თუ არა. ამერიკელებთან ფინალური მატჩი დაძაბული გამოდგა. ცხადი იყო, რომ გაიმარჯვებდა ის, ვისაც მეტი ნებისყოფა და ძალა აღმოაჩნდებოდა... მეორე ტაიმში შეხვედრას ექვსი ქულით ვაგებდით... სწორედ ამ კრიტიკულ მომენტში დერიუგინს ვუთხარი - „გახურდი, მოედანზე გახვალ"... და კოლია გავიდა მოედანზე, რათა საკალათბურთო მატიანეში სამუდამოდ დაეტოვებინა საკუთარი სახელი... იმ დროს, როცა ამერიკელებს, ფაქტობრივად, ყველაფერი გადაწყვეტილი ეგონათ, დერიუგინმა წონასწორობა აღადგინა. რაც მთავარია, თანაგუნდელებს მატჩის მოგების რწმენა დაუბრუნა"...

დღეს ნიკოლოზ დერიუგინი საერთაშორისო სტუდენტური საკალათბურთო ლიგის დებიუტანტ სტუ-ს მწვრთნელია და მოზარდებსაც ავარჯიშებს - უშურველად გადასცემს მათ საკუთარ გამოცდილებას, რომ ქართული კალათბურთის კაბადონზე ახალი დერიუგინი ამობრწყინდეს.

ხელბურთი

# ქარიშხალა პირველობს

საქართველოს 1998-1999 წლებში დაბადებულ ხელბურთელ ვაჟთა საქართველოს პირველობის საგაზაფხულო ეტაპის მე-3 ტურში ზედიზედ მესამე გამარჯვება იზეიმა თბილისის ჩემპიონმა „ქარიშხალამ", რომელმაც ასპარეზობის მესამე დღეს დასავლეთის ლიგის გამარჯვებული „ფოთი" დაამარცხა - 36:22. „გორი" იმ დღეს ისვენებდა, ხოლო თბილისის „მამულმა" „ყვარელს" აჯობა - 34:30.

გუშინ მე-4 ტურის ორთაბრძოლები გაიმართა. ერთპიროვნული ლიდერი „ქარიშხალა" ისვენებდა. ქულებით მასთან გათანაბრების შანსი მიეცა გორის გუნდს, მაგრამ მან ეს შესაძლებლობა ვერ გამოიყენა, რადგან „მამულთან" ერთი ბურთის სხვაობით დათმო შეხვედრა - 27:28. გამარჯვებულთაგან 10-10 გოლი **გიორგი შევჩენკომ** და **თამაზ კორაშვილმა** გაიტანეს. პირველი 2 ქულა ჩაიწერეს გათამაშების ცხრილში ფოთელებმა - 34:24 სძლიეს ყვარლელებს.

ბოლო ტურის წინ ასეთი სატურნირო მდგომარეობაა: „ქარიშხალა" - 6 ქულა (3 თამაშიდან), „გორი" - 4 (3), „მამული" - 4 (3), „ფოთი" - 2 (3), „ყვარელი" - 0 (4) ქულა.

დღეს, 28 თებერვალს, ითამაშებენ: „ქარიშხალა"-„გორი, „მამული"-„ფოთი".

მეორე ხუთეული („თელავი", „პეგასი", „სამტრედია", „იმედი", „ზუგდიდი") თბილისში 3-7 მარტს ითამაშებს. საერთო ტური - 24-28 მარტს გაიმართება. საუკეთესო ექვსეული ფინალურ ეტაპზე გავა. მედლების მფლობელები 5-9 მაისს გამოვლინდებიან.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა დანელიამ**
ავტორის ფოტოები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვილდოსნობა. მსოფლიოს პირველობა

# მსოფლიო უკვე დავასრულეთ




ფრანგულ ნიმში მიმდინარე მშვილდოსანთა ზამთრის ჩემპიონატის მეორე დღე ჩვენი სპორტსმენებისთვის წარუმატებელი გამოდგა – პლეიოფში გასული სამივე ქართველი გამოეთიშა ასპარეზობას.

ჩვენებურთაგან მხოლოდ **ხათუნა ნარიმანიძემ** გადალახა პირველი წრე, სადაც ფრიად დაძაბულ ბრძოლაში მოუგო შვეიცარიელ **სელინე შობინგერს**. შეხვედრა მეტოქის უპირატესობით დაიწყო, რომელმაც მოიგო პირველი სეტი – 28:27. ნარიმანიძემ იქვე გაათანაბრა – 29:28, მესამე სეტი ფრედ დასრულდა – 28:28, მეოთხე კი შობინგერმა მოიგო – 29:28. გზამოჭრილმა ნარიმანიძემ კიდევ ერთხელ გააკეთა ის, რაც ადრეც საკმაოდ ხშირად გაუკეთებია – მოიგო გადამწყვეტი სეტი – 27:26, თუმცა ამით საერთო ანგარიში გათანაბრდა – 5:5 ანუ გამარჯვებულის საკითხი ჯერ ისევ ღია იყო. დამატებით გასროლაში ჩვენებურმა კვლავ გამოავლინა ხასიათის სიმტკიცე და ისარი 10-იანში გაარტყა, მეტოქემ კი მხოლოდ 9-იანი მოინადავლა. ამდენად, ნარიმანიძემ 6:5 იმარჯვა. სამწუხაროდ, მოლოდინისამებრ, მას გაუჭირდა მომდევნო შეხვედრაში რუს **ინა სტეპანოვასთან**. არადა, ქართველმა მასთან პაექრობაც შემართებით დაიწყო - პირველ სეტში 30:29. საუბედუროდ, მერე ზედიზედ სამი დათმო და 2:6 დამარცხდა... არადა, სტეპანოვა თითქოს არ მიეკუთვნება ლიდერებს და შესარჩევშიც ჩვენებურის შემდეგ აღმოჩნდა – მეცხრე ადგილზე.

ჩვენი ახალგაზრდები პირველივე წრიდან გამოვარდნენ. **ციალა ფუტკარაძემ** ფრანგ **აურელიე კარლიერს** ჩამორჩენა კი ამოუქაჩა და სამი სეტის შემდეგ 3:2 უგებდა, მაგრამ მომდევნო ორი დათმო და 3:7 დამარცხდა. **ლაშა ფხაკაძე** გერმანელ **კარლო შმიტცთან** მხოლოდ იმას გამორჩა, რომ ორი სეტი დაასრულა ფრედ, ორშიც 2:6-2:6 წააგო. შმიტცი მერე ფინალში გავიდა და 2 მარტს საჩემპიონო ბრძოლაში თანამემამულე **მაქსიმილიან ვეკმიულერს** გაეჯიბრება.

ამით ჩვენთვის მსოფლიოს ზამთრის ჩემპიონატი უკვე დასრულდა, რადგან ჩვენმა ბიჭებმა გუშინწინ გუნდურშიც წააგეს ფრანგებთან. საინტერესოა, რომ შემდეგ ფრანგებიც ფინალში გავიდნენ და 1 მარტს უკრაინელებთან გაარკვევენ ჩემპიონის ვინაობას.

**ირაკლი თავაძე**

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

# ევროპას უნგრეთში შეარჩევენ

1-2 მარტს უნგრულ სომბათჰეიში „ოქროს დიდი პრიზის" რიგით მეორე ტურნირი გაიმართება ბერძნულ-რომაულად მოჭიდავეთა შორის. ჩვენი ნაკრები იქ ასეთი შემადგენლობით გამოვა: **ლაშა გოგიტაძე, გოდერძი დავითაძე** (ორივე – 59), **რევაზ ლაშხი, საჩინო დავითაია, მინდია წულუკიძე** (სამივე - 66), **ზურაბ დათუნაშვილი, მანუჩარ ცხადაია** (ორივე - 75), **გიორგი ცირეკიძე** (80), **რობერტ ქობლიაშვილი** (85), **ვასილ იმერლიშვილი, ვლადიმერ გეგეშიძე, სოსო ჯაბიძე** (სამივე – 98), **იაკობ ქაჯაია** (130). ამათგან დავითაია, წულუკიძე და ჯაბიძე თბილისიდან გადაფრინდნენ უნგრეთში, დანარჩენები კი მინსკიდან გადავიდნენ, სადაც ერთობლივ შეკრებაზე იმყოფებოდნენ. მოგეხსენებათ, გუნდის ძირითადი ბირთვი 8-9 თებერვალს პარიზში გამოვიდა „ოქროს დიდი პრიზის" პირველ ტურნირში და იქიდან გადავიდნენ მინსკში, „სტაიკების" ოლიმპიურ ბაზაზე. უნგრეთში **თორნიკე ძამაშვილი** (80) და **გურამ ფერსელიძეც** (130) უნდა წასულიყვნენ, მაგრამ ტრავმების გამო ვერ შეძლეს.

ამ შეჯიბრებაზე „ოქროს დიდი პრიზის" ფინალური ტურნირის საგზურებიც გაიცემა, რასაც მედალოსნები მიიღებენ, თუმცა ჩვენთვის (სხვა გუნდებისთვისაც) ეს შეჯიბრება საყურადღებო იმითაა, რომ ევროპის ჩემპიონატისთვის ბოლო შესარჩევია. პრაქტიკულად, მისი შედეგებით გადაწყდება, ვინ იჭიდავებს 1-6 აპრილს ფინურ ვანტააში, კონტინენტის პირველობაზე.

**ირაკლი თავაძე**

ტყვიის სროლა. ევროპის ჩემპიონატი

# მოსკოვში ევროპას უმიზნებენ

ხვალ მოსკოვში ევროპის ჩემპიონატი იწყება ტყვიის მსროლელთა შორის, მხოლოდ პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში, პარალელურად, გაისად ჩინურ ნანჯინგში გასამართი მსოფლიოს ახალგაზრდული ოლიმპიადის საგზურებიც გაიცემა. ჩვენგან იქ ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ნინო სალუქვაძე**, მისი შვილი **ცოტნე მაჭავარიანი** და **ლევან ქადაგიძე** გამოვლენ. ამათგან მაჭავარიანი ახალგაზრდებში იასპარეზებს, დანარჩენები – უფროსებში.

მოსკოვურმა შეჯიბრებამ სტარტი გუშინ აიღო ოფიციალური ვარჯიშით, პირველი სასტარტო შეჯიბრება კი დღეს ჩატარდება, თუმცა ჩვენები ამ დისტანციებში არ გამოდიან. ისინი ტურნირში ხვალიდან ჩაებმებიან, როცა სამიზნის პირისპირ მაჭავარიანი დადგება. ოღონდ ის იასპარეზებს არა ჩემპიონატში, არამედ - საკვალიფიკაციო ტურნირში და ნანჯინგის საგზურის მოპოვებას შეეცდება. მაჭავარიანი ევროპის ჩემპიონატში 3 მარტს გამოვა, 4-ში უკვე სალუქვაძე, პირველობის ბოლო დღეს – 5 მარტს კი ქადაგიძე ისვრის.

**ირაკლი თავაძე**
ავტორის ფოტო


ნინო და ცოტნე

ძიუდო. პრაღის ტურნირი

# მარტოკაცი პრაღაში

ამუქმეებზე პრაღაში „ევროპის ღია კონტინენტური თასი" ტარდება, რომელშიც საქართველოს ნაკრები არ მონაწილეობს, თუმცა თავისი ხარჯით ერთი ჩვენებური მაინც გამოვა – **არჩილ გოგოლაშვილი**, ვინც 90 კილოგრამში იჭიდავებს.

მოგეხსენებათ, ჩვენი ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის მიზანმიმართულ მზადებაზე გადავიდა, რომელიც შეჯიბრებებს აღარ ითვალისწინებს და მთლიანად საშეკრებო ღონისძიებებს მოიცავს. პირველი შეკრება, რომელიც ძირითადად ფიზიკურ მომზადებაზეა ორიენტირებული, გუნდმა უკვე დაიწყო ბაკურიანში.

გოგოლაშვილი ნაკრების წევრი არაა და ამიტომ ვერ ხვდება საერთაშორისო ტურნირებზე წამსვლელთა შემადგენლობაში. თებერვლის პირველივე დღეებში მან ასევე თავისი ხარჯით იჭიდავა ბულგარეთში, ამავე რანგის ტურნირზე, თუმცა წარუმატებლად – პირველივე შეხვედრა წააგო სერბთა მომავალ ფინალისტ **ალექსანდრ კუკოლჯთან**.

**ირაკლი თავაძე**

# გაზეთი მემატიანე

## დრო, მოვლენები და ფაქტები

პუბლიკაციები ეძღვნება გაზეთ „ლელოსა" და ქართული სპორტის თანაცხოვრების 80 წლის საიუბილეო თარიღს

### აურზაური სპორტსმენთა ასაკის გამო

*დასაწყისი „ლელო" № 16-19, 21-23,38.*

უსიამოვნებები ჟურნალისტიკის თანამდევია და მოსალოდნელი მქისე განცდებისთვის მედიის წარმომადგენლები მუდამ შემზადებულნი არიან. ეს ეხება, ბუნებრივია, სპორტის სფეროში დასაქმებულ ჟურნალისტებსაც. პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე, ლელოელებსაც მრავალგზის დაუმსახურებიათ დაუმსახურებელი. აბა, ვინ იფიქრებდა დაპირისპირების მიზეზი, ვთქვათ, სპორტსმენთა წლოვანება თუ გახდებოდა. არადა, 1950-იანი წლებიდან მოყოლებული, თითქმის ჩვეულებრივ ამბად იქცა მანამდე იშვიათი მოვლენა - სპორტსმენებისთვის ასაკის გადაკეთება. როცა 1960-იანი წლებიდან „ლელოს" ჟურნალისტებმა უკვე ყალბისმქნელების საჯარო მხილება არქივებში მოძიებული საბუთებით დავიწყეთ, ბევრი არაკეთილმოსურნე გავიჩინეთ სპორტულ ორგანიზაციებსა და სპეციალისტებში. რაკი დაგემოვნებული სიყალბე არ ეთმობოდათ, მერე მათაც სისტემა დახვეწეს და ხშირად ჩანაწერების შეცვლას ახერხებდნენ არქივებშიც კი. თქვენ წარმოიდგინეთ, იმ წლების გამოძახილი ახლაც ჩრდილივით თან სდევს ქართულ სპორტსაც და თვით ცნობილ ათლეტებსაც. ისინი, დღეს უკვე ვეტერანი სპორტსმენები, უამრავ სპორტულ გამოცემებში თავის დროზე დაფიქსირებულ დაბადების თარიღს უარყოფენ და ჟურნალისტებს იმ წყაროებით სარგებლობას უპასუხისმგებლობად და შეცდომად უთვლიან (?!).

იმას არ ვამბობ, რომ სპორტის სფეროში უწესრიგობის მოწესრიგება თვითმიზნად გვქონდა დასახული ლელოელებს, უბრალოდ იმ საქმეს ვაკეთებდით, რაც მოვალეობად მიგვაჩნდა, შეზღუდული და დაფალმანებული კი იმიტომ არ ვიყავით, რომ სპორტზე ვწერდით და არა პოლიტიკაზე, თუნდაც ცხოვრების სხვა სფეროზე. ამასთან, ცხადია, ზედმიწევნით ვუფრთხილდებოდით გაზეთის ავტორიტეტს და მკითხველის ნდობას. საერთოდ, არ ვღალატობდით ობიექტურობას, არ ვკადრულობდით, სიძულვილის ენით ლაპარაკს - ყოველი სიტყვა იწონებოდა. კარგად ვიცოდით, რომ შიდა რესპუბლიკური პირველობების გაშუქებისას ერთ გადაბრუნებულ სიტყვას შეიძლებოდა გამოეწვია დაპირისპირება არა მხოლოდ სპორტის გულშემატკივრებში, ქალაქებსა და რაიონებს, მხარეებს შორისაც კი. „ლელოს" არასდროს გადაუხვევია ამ პრინციპისთვის და ეს არც არასოდეს მოხდება.

■ ■ ■

ვიმეორებთ, მართალია, „ლელო" პოლიტიკური გამოცემა არ იყო, მაგრამ პარტიული იდეოლოგიის უპირობო გამტარებელი მასობრივი ინფორმაციის ნებისმიერი საშუალება უნდა ყოფილიყო. მკაცრ აუცილებლობად მიიჩნეოდა უმთავრესი საბჭოური თარიღების და დღესასწაულების აღნიშვნა. არაფერი იყო უცნაური იმაში, რომ მისადაგებულად ამას „ლელო" სპორტის პროპაგანდისთვის იყენებდა. სხვა საქმე იყო რედაქციის ან რედაქტორის დასჯისთვის მიზეზ-საბაბის გამონახვა, თუ ეს იქ, ზემოთ, დადგებოდა დღის წესრიგში. ასე ჩამოაშორეს რედაქციას ამ გაზეთის ხელმძღვანელად უკვე მეორედ მოხმობილი ბრწყინვალე რედაქტორი და პიროვნული ღირსებებით გამორჩეული ადამიანი, **მიხეილ კაკაბაძე** 1976 წელს. ეს იყო მართლაც მთელი რედაქციის დასჯა. რამდენიმე ცნობილმა ჟურნალისტმა უხმაუროდ (მაშინ ხმაური შეუძლებელი და დასჯადი იყო) რედაქტორთან ერთად თავისი ნებით დატოვა „ლელო". თუმცა ისინი კვლავ დარჩნენ სპორტული ჟურნალისტიკის სამსახურში და მართლაც გაამრავალფეროვნეს და უფრო საინტერესო გახადეს სხვა გაზეთები, რადიო თუ სატელევიზიო სპორტული გადაცემები.

2010 წელს **ედუარდ შევარდნაძეს** ჟურნალისტი **სალომე ხარატიშვილი** ეწვია და რუბრიკისთვის „შაბათის სტუმარი" ინტერვიუ ჩაიწერა "ლელოს" დავალებით. კითხვაზე თუ რა იყო 1976 წელს რედაქტორობიდან კაკაბაძის დათხოვნის მიზეზი, ცეკას მაშინდელმა პირველმა მდივანმა უპასუხა: „ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ „ლელოს" რედაქტორობიდან მგონი, ზესტაფონში მომხდარი ავარიის გამო გაათავისუფლეს". აი, ასე, ესეც შენი საბაბი...

### საქართველო უპირველეს ყოვლისა

იყვნენ, ნამდვილად ბლომად იყვნენ ადამიანები, საბჭოთა პერიოდის პარტიული თუ სამეურნეო დარგის მუშაკები, რომლებიც თავს მოვალედ თვლიდნენ, ხელიდან არ გაეშვათ ქართული სპორტის მაქსიმალურად დახმარება - თანადგომის შესაძლებლობა. ვინც მოინდომებდა, საამისო მიზეზი, როგორც იტყვიან, თავზე საყრელი იყო. ძნელი სათქმელია, რა მოტივით, თუმცა, სპორტის სფეროში, მოსკოვი ამას გაგებით ეკიდებოდა. არაფერს მივტირით და არაფრის ნოსტალგია გვაქვს, მაგრამ თავის მოტყუებაც არ გვინდა. რაც იყო და რისი მომსწრეც ვართ, მოვალეობად მიგვაჩნია ქართული სპორტის მატიანეში დარჩეს სამართლიანობისთვის. როგორც ჩვენი პატრიარქი ბრძანებს: „ადამიანმა უნდა გააანალიზოს წარსული, აწმყო და მომავალი. ხშირად წარსულს ვაიდეალებთ. არიან ადამიანები, რომლებიც პირიქით, წარსულში ყველაფერს ნეგატიურს ხედავენ. უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა პერიოდში არის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. ჩვენ უნდა დავაკვირდეთ, თუ ესა თუ ის მოვლენა დადებითია, უნდა მივიღოთ, თუ უარყოფითია - არა". აგრეთვე არ შემიძლია არ დავეთანხმო საქართველოს ცეკას პირველ მდივანს (1985-1989) **ჯუმბერ პატიაშვილს**, რომელიც თავის წიგნში „ოცდასამი წლის შემდეგ" (თბილისი, „გამომცემლობა პალიტრა L-ი, 2013) წერს:


1964 წ. ლელოელები და მათი მეგობრები

„ეს დღეს არის, რომ საბჭოეთს ცინიკურად იხსენიებენ, მაგრამ მაშინ, იმ დროსა და იმ მოცულობაში, დიახ, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა მხოლოდ სახელმწიფო კი არ იყო, რომლის წინაშეც პარტიულ მუშაკებს განსაკუთრებული ვალდებულება გვქონდა, არამედ - ჩვენი სამშობლოც!" (გვ. 31). ამ სტრიქონების ავტორის პირველკაცობისას საქართველომ ბევრი სიკეთე ნახა, სპორტი ხომ ერის ღირსების საქმედ იქცა.

ბევრი გაიხსენებს იმ დროს, როცა რეალობას არავინ გაურბოდა და ხმამაღლა აცხადებდა, რომ სპორტს არ უჭირდა და საქმე კარგად მართლაც იქ იყო, სადაც ამ სფეროს პარტიული ხელმძღვანელი მფარველობდა - რაიკომის თუ ქალაქკომის პირველი მდივანი, ანუ როგორც ამბობდნენ მაშინ, - პარტიულ ლიდერს „უყვარდა სპორტი". ერთხანს საქმე იქამდეც მივიდა, რომ წამბაძველობით ერთიმეორეზე უკეთესი საქმეები კეთდებოდა და საბოლოო ჯამში ამით მოგებული მხოლოდ ქართული სპორტი დარჩა. „ლელო" კვალში მიჰყვებოდა მოვლენებს - ფრთებს ასხამდა მაღალი ოსტატობისა და მასობრივი სპორტის ხელმისაწვდომობისთვის გაწეულ შრომას. ჩვენი მიღწევები საკავშირო თუ საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე საფუძვლიანი სიამაყისა და ზომიერი გაამაყება-ქედმაღლობის საბაბსაც იძლეოდა. ისე კი, განსაკუთრებულ პატივში ფეხბურთი იყო. ამ „სიყვარულს" დროდადრო სპორტული ბაზების, მათ შორის დიდი სტადიონ-არენების (მაგალითად, ტყიბულში, ლანჩხუთში) მშენებლობა ემატებოდა. სოფლადაც მთელ საბჭოთა კავშირში თითით საჩვენებელი, ვთქვათ, ნატანებსა და შემოქმედში (მახარაძე) და ვაზისუბანში (გურჯაანი) სპორტული კომპლექსები აღმოცენდა. იყო ურთიერთგაჯიბრებათავმოწონება და ამ ენთუზიაზმს, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, აღფრთოვანებული ეხმაურებოდა საკავშირო პრესა და ტელევიზია. ისინი აქტიურად თანამშრომლობდნენ „ლელოს" რედაქციასთან.

**თენგიზ გაჩეჩილაძე**
*გაგრძელება იქნება*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 25 ათასი ლარი გადაიხადე და პირველ გუნდში ხარ!

საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობისას უამრავ განსხვავებულ პიროვნებას შეხვდები, საინტერესო ამბებს მოისმენ...

შაბათს, ქალაქის ცენტრისკენ მიმავალ ავტობუსში ერთი შუახნის კაცი ამოვიდა, რომელსაც გამცილებელი ორი დიდი ტომრის ამოტანაში დაეხმარა. მგზავრი ტომრებზე ჩამოჯდა.

- უკან სკამი ცარიელია, გადაბრძანდით, - ურჩია გამცილებელმა.

- გმადლობ, ამ ტომრებში „კოკა-კოლას" პატარა ბოთლებია. ძალიან მყარია, ასფალტზე რომ გადააგდო, არ გატყდება. მეც გამიძლებს. ასეთი მყარი ბოთლების შექმნისთვის ავტორს ათასობით დოლარი მისცეს.

საუბარი ცხოვრებისეული პრობლემებით გაგრძელდა. გამცილებელი ყოფილი ფეხბურთელი აღმოჩნდა, რომელიც ისეთი ისტორიას მოჰყვა, მსგავსი მანამდეც მქონდა გაგონილი და არ მჯეროდა. ახალგაზრდა გამცილებელი კი იმდენად სანდო და პატიოსანი ჩანდა, პირველივე სიტყვებიდან დავიჯერე, რომ სიმართლეს ჰყვებოდა:

„ასპინძაში გავიზარდე, ამავე ქალაქის გუნდში ვთამაშობდი. საქართველოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში გამოვდიოდით. ჩემით ახალქალაქის „არარატი" დაინტერესდა. ეს გუნდი გაცილებით ძლიერი იყო, ერევნიდან ფინანსდებოდა და ნიჭიერ ფეხბურთელს ერევანში, მთავარ გუნდში მოხვედრის შანსიც ჰქონდა.

მოკლედ, ახალქალაქის „არარატის" ახალგაზრდულ გუნდში გადავედი, სადაც ყოველ მატჩზე 200-200 დოლარს გვაძლევდნენ. იყო კიდევ სხვა ბონუსები. გუნდის მთავარი მეგოლე გავხდი და უნდა გენახათ, როგორ გვქომაგობდნენ ახალქალაქელები.

ერთ დღეს ჩემს ყოფილ გუნდ „ვარძიას" დავუპირისპირდით. მწვრთნელს ვუთხარი: მეტოქეებად ჩემი მეგობრები არიან და მათ გოლს ვერ გავუტან, ნუ მათამაშებ-მეთქი. მაინც „სასტავში" დამაყენა. პირველ ტაიმში პენალტი დაინიშნა. მწვრთნელმა ჩემი სახელი დაიძახა. აღარ ვიცოდი, რა მექნა, მივედი ბურთთან, დავარტყი და სადღაც აუტისკენ გავაფრინე. მეორე ტაიმში მოედნიდან გამიყვანა და შვებითაც ამოვისუნთქე. ის მატჩი „არარატმა" 6:0 მოიგო.

მალე ჩემს წასაყვანად ერევნიდან მწვრთნელები ჩამოვიდნენ, ოჯახშიც გვეწვივნენ. მიმზიდველ პირობებს გვთავაზობდნენ, თითქოს შევთანხმდით კიდეც, მაგრამ ბოლო მომენტში პატრიოტიზმმა დამძლია: მირჩევნია, ისევ საქართველოში ვითამაშო-მეთქი და უარი ვუთხარი.

გადმოვედი თბილისში, სადაც ერთ-ერთ მთავარ გუნდში ჯერ ახალგაზრდებში ვთამაშობდი, შემდეგ კი დიდებში გადავყავდი. ძალიან მიხაროდა, თუმცა მითხრეს: პირველ გუნდში რომ მოხვდე 25 ათასი ლარი უნდა გადაიხადოო... თან ამიხსნეს, ეს თანხა მომავალში კარგი პენსიისა და კიდევ სხვა რალაცებისთვისაა საჭიროო.

25 ათასი რომ მქონოდა, ნამდვილად გადავიხდიდი, მაგრამ საიდან უნდა მომეტანა ამდენი ფული? მას მერე ხელი ჩავიქნიე და..."

ზედა აბზაცის ბოლოს სამი კი არა ასობით წერტილი უნდა დავსვათ. თუ გუნდში მოხვედრისთვის მართლა ითხოვენ ფულს (თანაც ამდენს), იოლი მისახვედრია, რამდენ ნიჭიერ ახალგაზრდას დასწყვეტია გული... ფულიანი მამიკოების გამო რამდენზე უკან დაუყენებიათ ბუნებრივად უფრო ნიჭიერი მოზარდი... კიდევ განვაგრძოთ?..

● თანამშრომლობა



# კიდევ ერთი წლით

სპორტის სამინისტროს საპრესკონფერენციო დარბაზში კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **მიხეილ გაბრიჩიძემ** კომპანია „IDS ბორჯომი საქართველოს" გენერალურ დირექტორ **ზაზა კიკვაძეს** გადასცა საქართველოს ნაკრების მაისურა, რომელზეც ხუთი წელი იყო ჩამოწერილი: 2011-დან 2015-მდე. სწორედ 2011 წლის შემდეგ „ბორჯომი" საქართველოს ნაკრების პარტნიორია და თანამშრომლობის კიდევ ერთი წლით გაგრძელებას ხელი გუშინ მოეწერა.

**ზაზა კიკვაძე:**

*- საქართველოს ეროვნული ნაკრები „ბორჯომის" მხარდაჭერის გარეშე აღარ წარმომიდგენია, სწორედ ამიტომ, უკვე მეოთხე წელია გვერდში ვუდგავართ ეროვნულ ნაკრებს. „ბორჯომი" ქართული ბრენდია და გარკვეულწილად ვალდებულებიც ვართ მხარი დავუჭიროთ გუნდს, რომელსაც ასეთი დიდი მისია აკისრია. მინდა წარმატება ვუსურვო ჩვენს კალათბურთელებს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე. იმედი მაქვს, მომავალ წელს ერთად ვუგულშემატკივრებთ ჩვენს ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე უკრაინაში.*

**მიხეილ გაბრიჩიძე:**

*- საერთაშორისო ასპარეზზე „ბორჯომის" მინერალური წყალი ყოველთვის საქართველოს სახელთან ასოცირდება, ამიტომ მოხარულნი ვართ, რომ ის კვლავ ჩვენი გენერალური პარტნიორი იქნება. იმედი გვაქვს კალათბურთის პოპულარიზაციის მიზნით მომავალშიც გაგრძელდება ჩვენი მჭიდრო თანამშრომლობა. ჩვენი ნაკრები ქართულ ბრენდთან ერთად კიდევ უფრო დიდ ყურადღებას მიიპყრობს მთელ ევროპაში.*

**ვაჟა სიმონიშვილი**

*თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო*

● პერსპექტივა

# ალაჩაჩიანის თასით

თბილისში ალაჩაჩიანის სახელობის თასით ხელდამშვენებული დაბრუნდა „აკადემიას" 13-წლამდელთა გუნდი. **ალექსანდრე ჯაფარიძისა** და **ირაკლი ტომარაძის** გაწვრთნილმა ქართველმა მოზარდებმა ხუთივე შეხვედრა მოიგეს და შეჯიბრება პირველ ადგილზე დაასრულეს. ტურნირის საუკეთესო კალათბურთელად კი **მიხეილ ზურაბაშვილი** დასახელდა.

*- შეჯიბრებაში გია კაზანჯიანის დახმარებით მიგვიწვიეს. იგი ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელიც გახლდათ. საინტერესო ტურნირი იყო, რომელშიც ჩვენ გარდა ხუთი გუნდი მონაწილეობდა. მათ შორის იყო „ბათუმი" და ერევნის ნაკრები,* - გვითხრა ალექსანდრე ჯაფარიძემ და განაგრძო:

*- შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით ჩატარდა, ყველა გუნდი ერთმანეთს შეხვდა და ბოლო ტურში ფინალის დარი შეხვედრა გაიმართა: ერთმანეთს მანამდე დაუმარცხებელი „აკადემია" და ერევნის ნაკრები დაუპირისპირდნენ. გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა - 65:57.*

*- ეს იყო პირველი გასვლითი შეჯიბრება ამ ბავშვებისთვის. დიდი გამოცდილება მიიღეს. საერთოდ კი ალაჩაჩიანის თასის გათამაშება კარგი მოსამზადებელი ეტაპი გამოდგა მარტის ბოლოსთვის დაგეგმილი საქართველოს 13-წლამდელთა ჩემპიონატისთვის.*

**ვაჟა სიმონიშვილი**



● საქართველოს თასი. 1/2 ფინალი. I მატჩები

# შედეგი ბრძოლას გვპირდება

**27 თებერვალი. თბილისი**

**სოხუმი–დინამო 70:64**

**16:15, 15:19, 20:15, 19:15.**

**სოხუმი:** ჩლაიძე (9ქ, 4პ), შვანგირაძე (7ქ, 4მ), გაბისონია, ბააკაშვილი (15ქ, 7ქ, 6პ), ქადარია (17ქ, 7მ), საიმონსი (16ქ, 11მ), დეკანოიძე, ბექაური (6ქ).

**დინამო:** გამყრელიძე (7ქ, 8პ), კარტერი (21ქ, 5მ), მილოშევიჩი (11ქ, 11მ), პეშიჩი (3ქ), ჭოჭუა (4ქ, 5პ), ანთაძე (7ქ, 6მ, 3პ), სტოიაკოვიჩი (11ქ).

**მსაჯები:** დ. ბერეკაშვილი, დ. ბერიშვილი, მ. ვართანოვი.

საქართველოს თასის გათამაშება წლეულს ახალი სისტემით ტარდება. გუნდები ეტაპობრივად მიიწევენ თასისკენ. იანვარში წინასწარი ეტაპი და მეოთხედფინალები გაიმართა, გუშინ კი ნახევარფინალების ჯერიც დადგა. გუნდები ორი მატჩის ჯამში გამოავლენენ ფინალისტის ვინაობას. აქვე გეტყვით, რომ განმეორებითი შეხვედრები შაბათს, პირველ მარტს თბილისში იგეგმება.

კიდევ ერთხელ გვიწევს იმის აღნიშვნა, რომ „სოხუმის" კალათბურთელებს რამდენიმე თვეა ხელფასი არ აულიათ. ამის გამო სასტარტო გამთამაშებელი, **ჯოშუა ჯექსონი** იტალიაში წავიდა და კარიერას აპენინებზე აგრძელებს. გუნდშია კიდევ ერთი ამერიკელი - **ჯერემი საიმონსი**, რომელიც ქართული ენთუზიაზმით თამაშობს დანარჩენ კალათბურთელებთან ერთად და გუშინ გამარჯვებაში დიდი წვლილიც შეიტანა - 16 ქულა და 11 მოხსნა მოაგროვა.

ბევრისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა ჩემპიონატის ფავორიტ „დინამოს" „სოხუმთან" დამარცხება, რაც სოხუმელთა დიდი მონდომებისა და სიზუსტის დამსახურება იყო. მათ 11 სამქულიანი ჩააგდეს. **რატი ბააკაშვილმა** და **ვახტანგ ქადარიამ** 3-3 შორეული ტყორცნა გამოიყენეს. პირველმა საბოლოოდ 15 ქულა, 7 მოხსნა და 6 პასი მიითვალა, მეორემ 17 ქულა და 7 მოხსნა.

**27 თებერვალი. ქუთაისი**

**ქუთაისი–არმია 70:64**

**20:19, 17:17, 18:17, 15:11**

**ქუთაისი:** ფაშაევი (20ქ, 5პ), ცეკვავა (13ქ), დ. ბარბაქაძე (1ქ, 6მ), გ.ბარბაქაძე (5ქ), ა. დვალიშვილი (15ქ, 15მ), დიდია (5ქ), ცირეკიძე, ლომინაშვილი (8ქ, 7მ), გრძელიძე (3ქ)

**არმია:** ბაბუნაშვილი (10ქ), ბერიშვილი (9ქ, 9მ), ნივწივაძე (15ქ, 9მ), ბოისა, ტუჯანი (1ქ), შარაბიძე (17ქ, 10მ), ჯგერენაია (3ქ, 8მ), ბაბიაშვილი (4ქ), კვიმსაძე, ჩაჩიბაია (5ქ)



„ქუთაისსა" და „არმიას" შორის გამართული ნახევარფინალური შეხვედრა დინამიკური გამოდგა. სავსე ტრიბუნებიდან გამხნევებულმა მასპინძლებმა მეტოქეს დაძაბულ ბრძოლაში 6 ქულის სხვაობით სძლიეს და განმეორებითი შეხვედრისთვის მცირედი უპირატესობა მოიპოვეს, თუმცა, ქუთაისური მატჩის შედეგი საპასუხო შეხვედრაში ბრძოლასა და საინტერესო პაექრობას გვპირდება.

პირველი ტაიმის შემდეგ მასპინძლები მხოლოდ ერთი ქულის სხვაობით იგებდნენ. მესამე მეოთხედი ქუთაისელებმა **დვალიშვილის** შედეგიანი შეტევითა და **ფაშაევის** ზუსტი სამქულიანით დაიწყეს, მალე **დიდიამ** პერიმეტრიდან ჩააგდო, **ცეკვავამ** ზუსტი ორქულიანი მიაყოლა და მასპინძლები წინ 10 ქულით გაიჭრნენ 47:37. მალე სტუმრებმაც გამოასწორეს თამაში და სხვაობა შეამცირეს. თუმცა მალევე „არმიამ" 11:0 უპირატესობის მოპოვება მოახერხა და 2 ქულით წინ გავიდა (47:49). მათი შეტევებიდან გამორჩეული იყო **ნივწივაძე-შარაბიძის** კომბინაცია, რომელიც შარაბიძის „ალეი უპით" დასრულდა. თამაში ქულა-ქულაში გაგრძელდა და მესამე პერიოდის დასრულებისას ტაბლოზე ქუთაისელთა 2-ქულიანი უპირატესობა დაფიქსირდა - 55:53.

ძალიან დაძაბული გამოდგა გადამწყვეტი მეოთხედი. მეტოქეები ერთმანეთისთვის არაფრის დათმობას არ აპირებდნენ და ბურთისთვის ბოლომდე იბრძოდნენ. გულშემატკივრების ყიჟინისგან გულმოცემულმა ქუთათურებმა კარგი შეტევები განახორციელეს და ფაშაევის, ცეკვავას, **გრძელიძისა** და **ლომინაშვილის** აქტიურობის შემდეგ 6 ქულით დაწინაურდნენ. სტუმრებს რაც შეეხებათ, მათგან ამ პერიოდში **ბაბუნაშვილი** გამოირჩეოდა, რომელსაც შარაბიძემაც აუბა მხარი. არმიელები დანებებას არ აპირებდნენ და რიონისპირელებს კიდევ ერთხელ წამოეწივნენ, მაგრამ ბოლოს შეცდომები დაუშვეს, ცეკვავას გალაღების საშუალება მისცეს და მანაც ქუთაისელთა 6-ქულიანი გამარჯვება დააფიქსირა - 70:64.

„ქუთაისში" 20 ქულით საუკეთესო ზაურ ფაშაევი იყო, ორმაგი დუბლი შეასრულა აკაკი დვალიშვილმა, რომელმაც 15-15 ქულა-მოხსნა მიითვალა. დაბლ-დაბლი შეასრულა არმიელმა გიორგი შარაბიძემაც, იგი 17 ქულითა და 10 მოხსნით გუნდის ბომბარდირიც გახდა. არანაკლებ სასარგებლოდ გაისარჯა ბექა ნივწივაძე (17 ქულა, 9 პასი), რომელსაც ორმაგ დუბლამდე 1 შედეგიანი გადაცემა დააკლდა.

**დავით კოხრეიძე**
**ქუთაისიდან**

*თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო*

● ქართველი NBA-ში

# +20 გოლდენ სტეიტთან





**თორნიკე შენგელიას** „ჩიკაგო" აღმოსავლეთ კონფერენციაში მოგებას მოგებაზე იხვეჭს. მორიგი გამარჯვება „ბულსმა" დასავლეთის წარმომადგენელ „გოლდენ სტეიტთან" მოიპოვა. ჩიკაგოელებმა მეტოქე 20 ქულის სხვაობით დაამარცხეს - 103:83.

ქართველი ფორვარდი მოედანზე 2:07 წუთით გამოჩნდა. შენგელიამ ამ დროში ბურთი ერთხელ მოხსნა და ერთი სროლა კი ააცილა. საუკეთესო კი **ტაჯ გიბსონი** აღმოჩნდა, რომელმაც 27 წუთში 21 ქულა დააგროვა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

# ვინ იქნება პირველი ფინიშის ხაზზე?

**საქართველოს ჩემპიონატი დღეიდან განახლდება. გათამაშებას, რომელმაც სტარტი გასული წლის სექტემბერში აიღო, ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი თბილისის „ლელო" ლიდერობს. თუმცა, სატურნირო ცხრილის სათავეში საკმაო სიმჭიდროვეა და ჩემპიონატის მეორე ეტაპზე უშელავათო ბრძოლებია მოსალოდნელი. გარკვეული ჯერ არაფერია აუტსაიდერთა შორისაც. ვის მოუწევს უმაღლესი ლიგის დატოვება მხოლოდ ტურნირის ბოლოს გახდება ცნობილი.**


ლოკომოტივი-არმია

ცხადია, საინტერესოა, როგორ გამოიყენეს ზამთრის არდადეგები ქართულმა კლუბებმა. ლიდერი „ლელო" მეორე ეტაპს სიახლეების გარეშე ხვდება. გუნდს ახალი არავინ დაუმატებია და იმავე კონტინგენტით აპირებს ტიტულის დაცვას, რომლითაც ჩემპიონატი დაიწყო. ლელოელებს 12 თამაშიდან 9 მოგება და 3 წაგება აქვთ, ზუსტად იმდენი, რამდენიც ქუთაისის „აიას" და თბილისის „ლოკომოტივს". თუმცა, მათზე სამით მეტი პრემიალური ქულის აღება მოახერხა და პირველ ადგილზე დამსახურებულად იმყოფება.

ქუთათურები ლიდერს სამი ქულით ჩამორჩებიან. მათ ზამთრის სატრანსფერო სეზონისას კარგი შევსება მიიღეს. მოსკოვის „სპარტაკიდან" „აიაში" დაბრუნდნენ ძმები **გიორგი** და **ზურაბ თუთბერიძეები**, ასევე მესამეხაზელი **გიორგი მინაძე,** რომელსაც რუსეთის ნაკრებში თამაშის გამოცდილებაც აქვს. შევსება საკმაოდ სოლიდურია, რაც გვაფიქრებინებს, რომ რიონისპირელები ჩემპიონობისთვის ბრძოლას რეალურად შეძლებენ.

„აიას" მსგავსად 41 ქულა აქვს და სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზეა „არმია", რომელმაც წლევანდელი ჩემპიონატი ცუდად დაიწყო, თუმცა მერე მდგომარეობის მკვეთრად გამოსწორება შეძლო და ისევ ლიდერთა შორის დაიკავა ადგილი. „არმიას" საკმარისად გააჩნია ადამიანური რესურსი საიმისოდ, რომ ჩემპიონის ტიტული დაიბრუნოს. გუნდს რუმინეთიდან დაუბრუნდა მგეზავი **მამუკა ნინიძე,** რომელიც იქ კონსტანცას „ფარულში" ასპარეზობდა და რუმინეთის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა.

მისთვის უჩვეულო მეოთხე ადგილზეა ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი თბილისის „ლოკომოტივი", რომელიც ლიდერს ოთხი ქულით ჩამორჩება. რკინიგზელებმა ბოლო ორი წლის განმავლობაში რამდენიმე წამყვანი მოთამაშე დაკარგეს. დანაკლისი გუნდს წლევანდელი სეზონის წინაც ჰქონდა, მაგრამ გამოცდილი მწვრთნელი **თემურ ბენდიაშვილი** მაინც ახერხებს დარჩენილი კონტინგენტით ბრძოლისუნარიანი რაზმის შექმნას.

სატრანსფერო ციებ-ცხელებისას „ლოკომოტივს" ფრანგული „პერიგოდან" დაუბრუნდა შერკინების ბურჯი **ნიკოლოზ მაღალდაძე.** მასთან ერთად რკინიგზელებმა მესამეხაზელი **გიორგი ტალახაძეც** დაიმატეს. შერკინების გაძლიერებით, ვფიქრობთ, ეს გუნდი კიდევ უფრო „აგრესიული" და საშიში გახდება ნებისმიერი მეტოქისთვის.

წლევანდელ სეზონს უწინდელზე უკეთესად ატარებს ბოლნისის „ყოჩები", რომელიც 34 ქულით მე-5 ადგილზეა და რეალური შანსი აქვს პლეი ოფში გაალწიოს. იქ კი მედლებისთვის ბრძოლაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

„ყოჩებმა" სატრანსფერო სეზონზე რუმინეთიდან დაბრუნებული შერკინების ბურჯი **გიორგი ხოსიტაშვილი** დაიმატა. ის „ტიმიშოარას" შემადგენლობაში ასპარეზობდა და რუმინეთის ჩემპიონი გახდა. „ყოჩებს" დაუბრუნდა მესამეხაზელი **რატი ურუშაძეც,** რომელიც წლების განმავლობაში რუსეთში ასპარეზობდა. გასულ სეზონში ის კრასნოიარსკის „ენისეის" შემადგენლობაში რუსეთის ჩემპიონატის ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა.

პლეი ოფში მოხვედრისთვის ბრძოლაში „ყოჩების" ორი ყველაზე რეალური კონკურენტი, თბილისური გუნდები, „არმაზი" და „ჯიქები" არიან. ამათ ზამთრის არდადეგებისას შემადგენლობაში არავინ დაუმატებიათ. „ჯიქებმა" ერთი მატჩის გამართვა უკვე მოასწრეს და რუსთავში „ხარებთან" დამარცხდნენ. შესაბამისად, მათ მეტოქეებზე ერთი თამაშით მეტი აქვთ გამართული და უარეს მდგომარეობაში არიან.

ასევე ერთი თამაშით მეტი აქვს გამართული აუტსაიდერთა ჯგუფის წარმომადგენელ „ხარებს", რომელმაც სამი ახალი მოთამაშე დაიმატა. ბოლნისის „ყოჩებიდან" დაბრუნდა **ლაშა შუბითიძე.** გუნდი ორი ახალგაზრდა მორაგბით **გიორგი კოშაძითა** და **ბექა გორგაძით** გაძლიერდა. ორივე მათგანი 17 წლისაა.

რვა ქულით ბოლოსწინა ადგილზეა თბილისის „აკადემია", რომელსაც დარჩენილ ტურებში უმძიმესი ბრძოლების გადატანა მოუწევს, რათა უმაღლეს ლიგაში ადგილი შეინარჩუნოს, რადგან უშუალო კონკურენტმა „ბათუმმა" სატრანსფერო სეზონისას რამდენიმე უცხოელი მორაგბე დაიმატა. **ჯო საიგო** ახალზელანდიელია, **კორნე ნიუვენჰეიზენი** და **ჟაკ ხოუვსი** სამხრეთაფრიკელები არიან, **თიმოთი ვენი, ჩარლი რუქი** და **სემ ჰემპსონი** ნისლიანი ალბიონიდან გვეწვივნენ.

ბათუმელებმა ერთი გამოტოვებული მატჩი უკვე გამართეს ქუთაისში და დიდი ანგარიშით დამარცხდნენ. მატჩში ლეგიონერებმაც ითამაშეს, მაგრამ „ბათუმს" ვერაფერი უშველეს. ცხადია, რა დონის მოთამაშეც უნდა მიიწვიო გუნდში, მას დანარჩენებთან შეთამაშება, გაშინაურება სჭირდება. ამიტომ, ნაადრევი დასკვნებისგან თავს შევიკავებთ. შესწევს თუ არა „ბათუმს" ძალა, უმაღლეს ლიგაში ადგილი შეინარჩუნოს, ჩემპიონატის მატჩებში გამოჩნდება.

**საქართველოს ჩემპიონატი**

**XIII ტური**

**1 მარტი**

ყოჩები-არმაზი, აია-ჯიქები, არმია-ლოკომოტივი, ლელო-ბათუმი, აკადემია-ხარები.

**XIV ტური**

**22 მარტი**

ხარები-ყოჩები, არმაზი-აია, ჯიქები-არმია, ლოკომოტივი-ლელო, ბათუმი-აკადემია

**XV ტური**

**29 მარტი**

ყოჩები-აია, არმია-არმაზი, ლელო-ჯიქები, აკადემია-ლოკომოტივი, ხარები-ბათუმი.

**XVI ტური**

**5 აპრილი**

ბათუმი-ყოჩები, აია-არმია, არმაზი-ლელო, ლოკომოტივი-ხარები.

**XVII ტური**

**12 აპრილი**

ყოჩები-არმია, ლელო-აია, აკადემია-არმაზი, ბათუმი-ლოკომოტივი

**XVIII ტური**

**26 აპრილი**

ლოკომოტივი-ყოჩები, არმია-ლელო, აია-აკადემია, არმაზი-ხარები, ჯიქები-ბათუმი.

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლელო | 12 | 9 | 0 | 3 | +171 | 44 |
| 2.აია | 12 | 9 | 0 | 3 | +112 | 41 |
| 3.არმია | 12 | 8 | 1 | 3 | +142 | 41 |
| 4.ლოკომოტივი | 12 | 9 | 0 | 3 | +72 | 40 |
| 5.ყოჩები | 12 | 7 | 1 | 4 | +35 | 34 |
| 6.ჯიქები | 13 | 5 | 2 | 6 | +49 | 31 |
| 7.არმაზი | 11 | 4 | 0 | 4 | -13 | 30 |
| 8.ხარები | 13 | 2 | 0 | 11 | -167 | 11 |
| 9.აკადემია | 12 | 1 | 0 | 11 | -178 | 8 |
| 10.ბათუმი | 11 | 1 | 0 | 10 | -223 | 6 |

**ბესიკ ჯანგავაძე**


ბურთით ლაშა ხმალაძე

ინფრასტრუქტურა


გორის სარაგბო სტადიონის მაკეტი

# გორში რაგბის განვითარება იწყება

**რაგბი საქართველოში ძალიან პოპულარული სპორტის სახეობაა. გორი კი სპორტული წარმატებებით ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი ქალაქია. შესაბამისად, უცნაურია, რომ ეს სახეობა გორში აქამდე არ ყოფილა სათანადოდ განვითარებული. თუმცა წლეულს ამ მიმართულებით საკმაოდ სერიოზული ნაბიჯები უკვე გადაიდგა და გარკვეული ღონისძიებები გორში რაგბის პოპულარიზაციისთვის კიდევაა დაგეგმილი.**

გორში რამდენიმე წელიწადია, რაც ენთუზიასტების მიერ დაარსებული რაგბის შემსწავლელი ჯგუფი არსებობდა. თუმცა მათ სავარჯიშოდ არც ნორმალური არენა ჰქონიათ და არც ქმედითი მხარდაჭერა ქალაქის ხელმძღვანელებისგან. წლეულს შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ცენტრალურმა სასპორტო სკოლამ რაგბის შემსწავლელი სექცია ჩამოაყალიბა, საქველმოქმედო ფონდ „ქართუს" დაფინანსებით კი რაგბის სტადიონის მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი.

სასპორტო სკოლაში აღნიშნული სექცია მისი ახალი ხელმძღვანელის, **კონსტანტინე ხუბულურის** (ტიტულოვანი ფალავნის **თემურ ხუბულური** ძმა) მონდომების შედეგად ჩამოყალიბდა.

*„რაგბი გარდა იმისა, რომ ძალიან მიყვარს, ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ პოპულარული და წარმატებული სპორტის სახეობაა. მას შემდეგ, რაც გორის სასპორტო სკოლის დირექტორად დავინიშნე, მიზნად დავისახე, გამომენახა საშუალება რაგბის შემსწავლელი სექციის დასაარსებლად და მოხარული ვარ, რომ ეს შევძელით. ჯგუფს სათავეში ჩავუყენეთ კარგი სპეციალისტები და შესაძლებლობის ფარგლებში ყოველმხრივ ვცდილობთ მათ მხარდაჭერას. ქალაქში რაგბის სტადიონის მშენებლობის დასრულების შემდეგ ჩვენი ძალისხმევა ამ სახეობის პოპულარიზაციისა და განვითარებისათვის კიდევ უფრო გაიზრდება"* - თქვა კონსტანტინე ხუბულურმა.

სექციას, რომელშიც დღესდღეობით 13-დან 18 წლამდე ასაკის ოთხი ათეული ახალგაზრდა მეცადინეობს, მწვრთნელები **იასონ ასტამაძე** და **გიორგი ხმიადაშვილი** ხელმძღვანელობენ. მორაგბეები ამჟამად ქალაქის ერთ-ერთ ხელოვნურსაფრიან მინი-მოედანზე ვარჯიშობენ. ვინაიდან მოედანი არასტანდარტულია, მასზე სრულფასოვანი წვრთნა შეუძლებელია და გაზაფხულიდან მათი „ქართლის" სტადიონის გვერდით მდებარე მინდვრისსაფრიან, დიდ მოედანზე გადაყვანა იგეგმება. უახლოეს წლებში კი გორელი მორაგბეებისთვის საუკეთესო სავარჯიშო და სათამაშო პირობებიც არ იქნება უცხო.

ქალაქის ერთ-ერთ უბანში, კერძოდ ჭალის დასახლებაში, სარაგბო სტადიონის მშენებლობა, რომელსაც საქართველოს რაგბის კავშირის დაკვეთით საქველმოქმედო ფონდი „ქართუ" ახორციელებს, ერთი თვის წინათ დაიწყო. დაგეგმილის მიხედვით არენის აგება გაისად იანვარში უნდა დასრულდეს. ასე რომ, ერთ წელიწადში გორს კეთილმოწყობილი სტადიონი ექნება, მაღალი ხარისხის მოედნის საფრით და სამსართულიანი შენობით, სადაც განთავსდება ტრიბუნები და ოთახები ადმინისტრაციისათვის. მანამ გორელი მორაგბეები გუნდის დაკომპლექტებასაც შეძლებენ და, ალბათ, ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატის რომელიმე ლიგაშიც შეუდგებიან ასპარეზობას.

რამდენიმე წლის წინათ გორში არსებობდა საკმაოდ ამბიციური და ძლიერი რაგბის გუნდი „ლომები", რომელიც უმაღლეს ლიგაში გამოდიოდა. ამ გუნდის გორში დაფუძნების ინიციატორი რეგიონის მაშინდელი გუბერნატორი **ლადო ვარძელაშვილი** გახლდათ, რომლის მონდომებით „ლომებს" საშინაო არენად გორის ცენტრალური სტადიონი, თენგიზ ბურჯანაძის სახელობის არენა გადაეცათ, ხოლო საფეხბურთო კლუბი იქიდან დაითხოვეს.

თუმცა ქალაქს, სადაც რაგბის შემსწავლელი პატარა სექციაც არ არსებობდა, ბუნებრივია, რომ დიდი გუნდის შემადგენლობაშიც არ ეყოლებოდა ადგილობრივი მოთამაშეები. რეგიონის გუბერნატორის შეცვლიდან მალევე, გორის რაგბის კლუბმა არსებობა შეწყვიტა, სტადიონი კი ისევ ფეხბურთელებს დაუბრუნეს. მაშინ ჩვენ დავუკავშირდით საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტს **გიორგი ნიჟარაძეს** და გორში რაგბის განვითარების შესახებ ფედერაციის გეგმებით დავინტერესდით. მან გვითხრა, რომ შიდა ქართლში, სადაც საჭიდაო სახეობები უმაღლეს დონეზეა განვითარებული, სავარაუდოდ, რაგბისაც დიდი პოტენციალი აქვს. თუმცა უპირატესობა უნდა მიენიჭოს სახეობის ბუნებრივ განვითარებას, რაც მიზნად ისახავს ვარჯიშის დაწყებას და გუნდების დაკომპლექტებას ჯერ ბავშვობის ასაკიდან და შემდეგ ეტაპობრივად მათ გადასვლას ჭაბუკთა ლიგაში, თუ უფროსებში. რაგბის განვითარების პროცესი, რომელიც დღეს მიმდინარეობს გორში, სწორედ ისეთია, რასაც ორიოდ წლის წინათ ბატონი გიორგი ნიჟარაძე პრიორიტეტად მიიჩნევდა. სასიხარულოა, რომ სპორტის ადგილობრივი მესვეურნი ამ საქმის წინსვლაში სერიოზულად არიან დაინტერესებულნი და სტადიონის აშენებაც გორში რაგბის განვითარებას უდავოდ დიდ ბიძგს მისცემს.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# აფეთქება სან ანტონიოში

„სან ანტონიოსა“ და „დეტროიტის“ მატჩის პირველი ტაიმი დასასრულს უახლოვდებოდა, როცა თამაშის მშვიდი მსვლელობა უცნაური ინციდენტის გამო შეწყდა: მოედანზე აფეთქება მოხდა! საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა, რადგან „ასაფეთქებელი ნივთიერება“ იყო საჰაერო ბალონი „სპურსის“ მცველის **მანუ ჯინობილის** სპორტულ ფეხსაცმელზე. ამის შემდეგ, ფეხსაცმელი ნაკერებზე გაიხა და არგენტინელს სასწრაფოდ მოუწია ამუნიციის შეცვლამ.

რაც შეეხება მატჩის მსვლელობას, „სან ანტონიომ“ 34 შედეგიანი პასით დაასრულა მატჩი, მის შემადგენლობაში კი ერთბაშად რვა კალათბურთელმა დააგროვა მინიმუმ 10 ქულა. მასპინძლებმა მესამე მეოთხედში მოაწყვეს გადამწყვეტი გაქცევა და მშვიდად მიიყვანეს მატჩი გამარჯვებამდე.

■ ■ ■

გუშინ, „ოკლაჰომამ“ მესამე მატჩი ჩაატარა მას შემდეგ, რაც მწყობრში ჩადგა ამ გუნდის გამთამაშებელი **რასელ უესტბრუკი**. „თანდერი“ საკუთარ მოედანზე ილებდა „კლივლენდს“ და მასპინძლების მთავარი მწვრთნელი **სკოტ ბრუქსი** ხუმრობდა, რომ ის უკმაყოფილო დარჩა „ყველა ვარსკვლავის მატჩში“ **კაირი ირვინგის** თამაშით. შეგახსენებთ, რომ ბრუქსი დასავლეთის მწვრთნელი იყო, ირვინგმა კი მეოთხე მეოთხედში ბრწყინვალე თამაშით აღმოსავლეთი მოგებამდე მიიყვანა და მატჩის საუკეთესო მოთამაშის ტიტული მოიპოვა.

უცნობია, მოისმინა თუ არა ირვინგმა მეტოქის მწვრთნელის სიტყვები, მაგრამ ბრუქსს ისევე გაუსწორდა, როგორც ეს „ოლ სტარზე“ გააკეთა. ბოლო მეოთხედში „კლივლენდის“ პლეიმეიკერმა 14 ქულა დააგროვა, სულ მატჩში კი 31 ქულა ჩააგდო და ამას 9 შედეგიანი პასი, 5 მოხსნა და 4 ჩაჭრა დაუმატა. მისი ოკლაჰომელი ვიზავი **კევინ დურანტიც** ბრწყინვალე იყო: 28 ქულა+10 მოხსნა+9 პასი, მაგრამ ეს მოგებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

ბოლო მეოთხედის შუაში დურანტის სამქულიანით „ოკლაჰომა“ 97:95 დაწინაურდა, მაგრამ „კლივლენდის“ 8:0 გაქცევამ ყველაფერი თავის ადგილას დააყენა. მოპოვებული უპირატესობა სტუმრებმა ბოლომდე აღარ გაუშვეს ხელიდან.

„ოკლაჰომამ“ ვარსკვლავური უქმეების შემდეგ მესამე საშინაო მატჩი წააგო, სულ კი სამმატჩიანი წაგებათა სერია დაუგროვდა. ასე რომ, რასელ უესტბრუკმა დაბრუნების შემდეგ, ჯერ ვერც ერთი მატჩი ვერ მოიგო.

■ ■ ■

„ბრუკლინისთვის“ კატასტროფული აღმოჩნდა პორტლენდში მგზავრობა. საკუთარი ლიდერის **ლამარკუს ოლდრიჯის** გარეშეც, „ბლეიზერსმა“ მთელი თავისი შესაძლებლობები სრულად გამოავლინა და 44 (!) ქულით გაანადგურა მეტოქე (124:80).

„ნეტსისთვის“ ეს არის მხოლოდ მეშვიდე შემთხვევა ისტორიაში, როცა მან მოწინააღმდეგესთან მინიმუმ 40 ქულა წააგო. ბოლოს ასეთი რამ 2003 წელს მოხდა, როცა გუნდის ამჟამინდელი მთავარი მწვრთნელი **ჯეისონ კიდი** „ნეტსის“ გამთამაშებელი იყო. ხოლო აბსოლუტურ საკლუბო ანტირეკორდამდე (1978 წელს, „ჰიუსტონთან“ 87:139) ბრუკლინელებს 8 ქულა არ ეყოთ.


მანუ ჯინობილი

**ფილადელფია–ორლანდო 90:101**

22:19, 22:21, 23:27, 23:34

ფ: ტ. იანგი (19), როუტენი (15).
ო: ვუჩევიჩი (21+13 მოხსნა), ოლადიპო (17+11 მოხსნა), ნელსონი (16+12 პასი).

**ბოსტონი–ატლანტა 115:104**

25:27, 33:29, 23:23, 34:25

ბ: ბეილესი (29), რონდო (22+11 პასი), ჯეფ გრინი (17), დ. უოლასი (12+10 მოხსნა).
ა: დ. ტიგი (26), კეროლი (24), კორვერი (17).

**ჩიკაგო–გ. სტეიტი 103:83**

21:24, 35:21, 24:14, 23:24

ჩ: გიბსონი (21), რ. ბატლერი (16), დანლივი (15), ბუზერი (15+13 მოხსნა).
გ-ს: ჯორ. კროუფორდი (16).

**დალასი–ნ. ორლეანი 108:89**

20:27, 29:16, 29:24, 30:22

დ: ელისი (23), ნოვიცკი (18), ვ. კარტერი (17).
ნ-ო: ე. გორდონი (19), რობერტსი (17).

**მემფისი–ლეიკერსი 108:103**

31:23, 34:23, 17:27, 26:30

მ: კ. ლი (18), ტ. ალენი (17), მ. გასოლი (14+12 მოხსნა).
ლ: მიქსი (19), უ. ჯონსონი (18), რ. გასოლი (17+10 მოხსნა), ფარმარი (16).

**ოკლაჰომა–კლივლენდი 104:114**

27:26, 25:25, 24:41, 28:42

ო: დურანტი (28+10 მოხსნა+9 პასი), უესტბრუკი (24), იბაკა (16+13 მოხსნა).
კ: ირვინგი (31), ჯეკი (21), ჰოიესი (19), ტ. ტომპსონი (11+11 მოხსნა).

**სან ანტონიო–დეტროიტი 120:110**

28:26, 29:27, 33:28, 30:29

ს-ა: ბელინელი (20), ჯინობილი (16), ლეონარდი (15).
დ: ჯოშ სმიტი (24), სტაკი (17), დრამონდი (16+17 მოხსნა), სინგლერი (15).

**იუტა–ფინიქსი 109:86**

28:25, 25:19, 25:20, 31:22

ი: რ. ჯეფერსონი (17), ჰეივორდი (17+10 მოხსნა), ფეივორსი (15), ბერქსი (15), გარეტი (15).
ფ: ჯერ. გრინი (17), გუდვინი (16).

**პორტლენდი–ბრუკლინი 124:80**

29:20, 29:14, 24:25, 42:21

პ: მო უილიამსი (21), ბარტონი (20+11 მოხსნა), ბატუმი (19).
ბ: დერონ უილიამსი (12).

**კლიპერსი–ჰიუსტონი 101:93**

26:22, 20:26, 28:25, 27:20

კ: გრიფინი (23+16 მოხსნა), დ. კოლისონი (19), ჯორდანი (13+10 მოხსნა).
ჰ: ჰოვარდი (23+11 მოხსნა), ჰარდენი (18), ჯ. ჰემილონი (16).


ბენო უდრიხი

# ბაზარი გააქტიურდა

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში სატრანსფერო ბაზარი დაიხურა - უკვე ერთი კვირაა მორატორიუმი არსებობს ტრეიდებზე, მაგრამ არავის აუკრძალავს თავისუფალ აგენტებთან მუშაობა. მათი რიცხვი ყოველდღიურად იზრდება. ასე იმიტომ ხდება, რომ დასასრულს უახლოვდება სეზონი ჩინეთის ლიგაში, სადაც ბევრი ძლიერი ამერიკელი თამაშობს. მაგრამ ტიტულის პრეტენდენტებისთვის კვალიფიციური მუშახელია - კალათბურთელები, რომელთა კონტრაქტები აწ უკვე ყოფილმა კლუბებმა გამოისყიდეს. მეორენაირად რომ ვთქვათ, ისინი, რომლებმაც კლუბთან ორმხრივი შეთანხმებით გაწყვიტეს ხელშეკრულებები.

**გლენ დევისს**, რომლის კონტრაქტი გამოისყიდა „ორლანდომ“, გუშინ დებიუტი ჰქონდა „კლიპერსის“ შემადგენლობაში და დაეხმარა მას „ჰიუსტონზე“ გამარჯვებაში. დევისის შემდეგ, კალიფორნიული კლუბის ახალწვეული შეიძლება გახდეს „ინდიანადან“ დათხოვნილი **დენი გრეინჯერი**. თუმცა ეს კალათბურთელი ერთ-ერთი ყველაზე სასურველია თავისუფალი აგენტების ბაზარზე და მისი დახმარებით დაინტერესებული არიან - „სან ანტონიო“, „ჰიუსტონი“, „მაიამი“ და „ჩიკაგო“.

„მაიამი“ მხოლოდ გრეინჯერს არ უმიზნებს. მოქმედი ჩემპიონები აკვირდებიან სიტუაციას „მილუოკიში“, რომელიც აპირებს **კერონ ბატლერის** კონტრაქტის გამოსყიდვას. თითქმის დასრულებულია **ჯიმერ ფრედეტის** წასვლა „საკრამენტოდან“ და მცველს ახლა „მემფისში“ ელოდებიან. სხვათა შორის ეს უკანასკნელი გუშინ უკვე გაძლიერდა, როცა **ბენო უდრიხი** დაიმატა. ამ კალათბურთელმა და **მეტა უორლდ პისმა** ვადაზე ადრე გაწყვიტეს კონტრაქტი „ნიუ იორკთან“. თავად „ნიქსი“ შემადგენლობაში ადგილის გამოთავისუფლების შემდეგ, **ირლ კლარკისა** და **შენონ ბრაუნის** გაფორმებას აპირებს.

კრივი

# ტაისონი ისევ კინოში

ლეგენდარული ამერიკელი მოკრივე **მაიკ ტაისონი**, შესაძლოა, ისევ დაბრუნდეს კინოინდუსტრიაში. კომედია „ვერნონი - პატარა ღმერთის“ შემქმნელებმა სერიაში გადასაღებად მიიწვიეს „რკინის მაიკი“ და ცნობილი მსახიობი **პამელა ანდერსონი**.

გერმანელი კინორეჟისორი **ვერნერ ჰერცოგი** ფილმის გადაღების დაწყებას ამა წლის ზაფხულში გეგმავს. მაიკ ტაისონი ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელი იქნება.

„რკინის მაიკისთვის“ ეს არ არის კინოში გადაღების პირველი გამოცდილება. მას ბევრ კომედიაში აქვს მიღებული მონაწილეობა.


მაიკ ტაისონი

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

NBA რეგულარული ჩემპიონატი. მარტის კალენდარი

**1 მარტი**
მაიამი-ორლანდო
მილუოკი-ბრუკლინი
ფილადელფია-ვაშინგტონი
ბოსტონი-ინდიანა
ჰიუსტონი-დეტროიტი
მემფისი-კლივლენდი
პორტლენდი-დენვერი
საკრამენტო-მინესოტა
კლიპერსი-ნ. ორლეანი

**2 მარტი**
ჩიკაგო-ნიუ იორკი
ტორონტო-გ. სტეიტი
ინდიანა-იუტა
ორლანდო-ფილადელფია
ოკლაჰომა-შარლოტი
სან ანტონიო-დალასი
ფინიქსი-ატლანტა

**3 მარტი**
მილუოკი-იუტა
ვაშინგტონი-მემფისი
ბრუკლინი-ჩიკაგო
დეტროიტი-ნიუ იორკი
მაიამი-შარლოტი
დენვერი-მინესოტა
პორტლენდი-ლეიკერსი
საკრამენტო-ნ. ორლეანი

**4 მარტი**
კლივლენდი-სან ანტონიო
ინდიანა-გ. სტეიტი
ჰიუსტონი-მაიამი
ოკლაჰომა-ფილადელფია
ფინიქსი-კლიპერსი
ლეიკერსი-ნ. ორლეანი

**5 მარტი**
შარლოტი-ინდიანა
მილუოკი-საკრამენტო
ორლანდო-ჰიუსტონი
ვაშინგტონი-იუტა
ბოსტონი-გ. სტეიტი
ბრუკლინი-მემფისი
დეტროიტი-ჩიკაგო
მინესოტა-ნიუ იორკი
დენვერი-დალასი
პორტლენდი-ატლანტა

**6 მარტი**
სან ანტონიო-მაიამი
ფინიქსი-ოკლაჰომა
ლეიკერსი-კლიპერსი

**7 მარტი**
შარლოტი-კლივლენდი
ჩიკაგო-მემფისი
ტორონტო-საკრამენტო
ბოსტონი-ბრუკლინი
ნიუ იორკი-იუტა
მინესოტა-დეტროიტი
ნ. ორლეანი-მილუოკი
დალასი-პორტლენდი
დენვერი-ლეიკერსი
ჰიუსტონი-ინდიანა
გ. სტეიტი-ატლანტა

**8 მარტი**
კლივლენდი-ნიუ იორკი
მილუოკი-ვაშინგტონი
ფილადელფია-იუტა
მემფისი-შარლოტი
სან ანტონიო-ორლანდო
კლიპერსი-ატლანტა

**9 მარტი**
ჩიკაგო-მაიამი
ლეიკერსი-ოკლაჰომა
ბოსტონი-დეტროიტი
ბრუკლინი-საკრამენტო
ნ. ორლეანი-დენვერი
ჰიუსტონი-პორტლენდი
მინესოტა-ტორონტო
დალასი-ინდიანა
გ. სტეიტი-ფინიქსი

**10 მარტი**
შარლოტი-დენვერი
მილუოკი-ორლანდო
ბრუკლინი-ტორონტო
ნიუ იორკი-ფილადელფია
მაიამი-ვაშინგტონი
იუტა-ატლანტა
კლიპერსი-ფინიქსი

**11 მარტი**
ინდიანა-ბოსტონი
დეტროიტი-საკრამენტო
ჩიკაგო-სან ანტონიო
მემფისი-პორტლენდი
მინესოტა-მილუოკი
ოკლაჰომა-ჰიუსტონი
გ. სტეიტი-დალასი

**12 მარტი**
მაიამი-ბრუკლინი
ორლანდო-დენვერი
ფილადელფია-საკრამენტო
ტორონტო-დეტროიტი
ვაშინგტონი-შარლოტი
ბოსტონი-ნიუ იორკი
ნ. ორლეანი-მემფისი
იუტა-დალასი
სან ანტონიო-პორტლენდი
ფინიქსი-კლივლენდი
კლიპერსი-გ. სტეიტი

**13 მარტი**
ჩიკაგო-ჰიუსტონი
ატლანტა-მილუოკი
ოკლაჰომა-ლეიკერსი

**14 მარტი**
შარლოტი-მინესოტა
ორლანდო-ვაშინგტონი
ფილადელფია-ინდიანა
ტორონტო-მემფისი
ბოსტონი-ფინიქსი
მაიამი-დენვერი
ნ. ორლეანი-პორტლენდი
სან ანტონიო-ლეიკერსი
იუტა-კლიპერსი
გ. სტეიტი-კლივლენდი

**15 მარტი**
ნიუ იორკი-მილუოკი
ვაშინგტონი-ბრუკლინი
ატლანტა-დენვერი
დეტროიტი-ინდიანა
ფილადელფია-მემფისი
ჩიკაგო-საკრამენტო

**16 მარტი**
მილუოკი-შარლოტი
ტორონტო-ფინიქსი
მაიამი-ჰიუსტონი
ნ. ორლეანი-ბოსტონი
მინესოტა-საკრამენტო
ოკლაჰომა-დალასი
სან ანტონიო-იუტა
პორტლენდი-გ. სტეიტი
კლიპერსი-კლივლენდი

**17 მარტი**
შარლოტი-ატლანტა
ინდიანა-ფილადელფია
ბრუკლინი-ფინიქსი
ჩიკაგო-ოკლაჰომა
ჰიუსტონი-იუტა
დალასი-ბოსტონი
დენვერი-კლიპერსი

**18 მარტი**
კლივლენდი-მაიამი
ატლანტა-ტორონტო
პორტლენდი-მილუოკი
საკრამენტო-ვაშინგტონი
გ. სტეიტი-ორლანდო

**19 მარტი**
ფილადელფია-ჩიკაგო
ბოსტონი-მაიამი
ბრუკლინი-შარლოტი
მემფისი-იუტა
ნ. ორლეანი-ტორონტო
ნიუ იორკი-ინდიანა
დალასი-მინესოტა
დენვერი-დეტროიტი
ფინიქსი-ორლანდო
ლეიკერსი-სან ანტონიო

**20 მარტი**
კლივლენდი-ოკლაჰომა
ჰიუსტონი-მინესოტა
პორტლენდი-ვაშინგტონი
გ. სტეიტი-მილუოკი

**21 მარტი**
ინდიანა-ჩიკაგო
ფილადელფია-ნიუ იორკი
ტორონტო-ოკლაჰომა
ატლანტა-ნ. ორლეანი
ბრუკლინი-ბოსტონი
მაიამი-მემფისი
დალასი-დენვერი
ფინიქსი-დეტროიტი
საკრამენტო-სან ანტონიო
ლეიკერსი-ვაშინგტონი

**22 მარტი**
შარლოტი-პორტლენდი
კლივლენდი-ჰიუსტონი
ჩიკაგო-ფილადელფია
მემფისი-ინდიანა
ნ. ორლეანი-მაიამი
იუტა-ორლანდო
გ. სტეიტი-სან ანტონიო
კლიპერსი-დეტროიტი

**23 მარტი**
ტორონტო-ატლანტა
მინესოტა-ფინიქსი
დენვერი-ვაშინგტონი
საკრამენტო-მილუოკი
დალასი-ბრუკლინი
ნიუ იორკი-კლივლენდი
ლეიკერსი-ორლანდო

**24 მარტი**
შარლოტი-ჰიუსტონი
ატლანტა-ფინიქსი
მაიამი-პორტლენდი
ჩიკაგო-ინდიანა
მემფისი-მინესოტა
ნ. ორლეანი-ბრუკლინი
ოკლაჰომა-დენვერი
სან ანტონიო-ფილადელფია
იუტა-დეტროიტი
კლიპერსი-მილუოკი

**25 მარტი**
კლივლენდი-ტორონტო
ორლანდო-პორტლენდი
დალასი-ოკლაჰომა
ლეიკერსი-ნიუ იორკი

**26 მარტი**
შარლოტი-ბრუკლინი
ვაშინგტონი-ფინიქსი
ბოსტონი-ტორონტო
დეტროიტი-კლივლენდი
ინდიანა-მაიამი
მინესოტა-ატლანტა
ნ. ორლეანი-კლიპერსი
სან ანტონიო-დენვერი
საკრამენტო-ნიუ იორკი
იუტა-მემფისი

**27 მარტი**
მილუოკი-ლეიკერსი
ატლანტა-პორტლენდი
ჰიუსტონი-ფილადელფია
დალასი-კლიპერსი

**28 მარტი**
ორლანდო-შარლოტი
ტორონტო-ბოსტონი
ვაშინგტონი-ინდიანა
ბრუკლინი-კლივლენდი
დეტროიტი-მაიამი
ჩიკაგო-პორტლენდი
მინესოტა-ლეიკერსი
ნ. ორლეანი-იუტა
ოკლაჰომა-საკრამენტო
დენვერი-სან ანტონიო
ფინიქსი-ნიუ იორკი
გ. სტეიტი-მემფისი

**29 მარტი**
მილუოკი-მაიამი
ფილადელფია-დეტროიტი
ჰიუსტონი-კლიპერსი
ვაშინგტონი-ატლანტა
დალასი-საკრამენტო
სან ანტონიო-ნ. ორლეანი

**30 მარტი**
კლივლენდი-ინდიანა
ოკლაჰომა-იუტა
ბრუკლინი-მინესოტა
ორლანდო-ტორონტო
ბოსტონი-ჩიკაგო
გ. სტეიტი-ნიუ იორკი
პორტლენდი-მემფისი
ლეიკერსი-ფინიქსი

**31 მარტი**
შარლოტი-ვაშინგტონი
ინდიანა-სან ანტონიო
ატლანტა-ფილადელფია
დეტროიტი-მილუოკი
მაიამი-ტორონტო
ჩიკაგო-ბოსტონი
მინესოტა-კლიპერსი
ნ. ორლეანი-საკრამენტო
დენვერი-მემფისი
იუტა-ნიუ იორკი

## ფორმულა 1. ტესტები

# ბოლო ვარჯიში დაიწყო

გუშინ, ბაჰრეინის ტრასაზე დაიწყო წინასასეზონო ტესტების მესამე სერია. როგორც ჩანს, მეორე სატესტო სერიის დროს, ინჟინრებმა კარგად იმუშავეს შექმნილ პრობლემებზე, ამიტომაც, გუშინდელი დღე ყოველგვარი შეფერხების გარეშე დაიწყო და ყველა გუნდი გავიდა ტრასაზე. საჯინიბოებმა ბაჰრეინში უამრავი ტექნიკური სიახლე ჩაიტანეს, ასე რომ, მესამე სატესტო სერიაში სამუშაო გრაფიკი მეტად მჭიდრო იქნება.

კვლავ გარკვეული სირთულეები ჰქონდათ „რენოს" კლიენტებს. დილით ტესტები შეწყდა **კამუი კობაიაშის** „კატერჰემზე" გადაცემათა კოლოფის მწყობრიდან გამოსვლის გამო, შემდეგ ტრასაზე გაჩერდნენ **დანიილ კვიატი** და **პასტორ მალდონადო**. „რედ ბულს" მოუწია შეემცირებინა გუშინდელი პროგრამა ძალისმიერი აგრეგატის ელემენტების გადახურების გამო, „ლოტუსს" კი გამოსაბოლქვი სისტემის გამო შეექმნა პრობლემები. გავლილი დისტანციის მხრივ, „რენო" ისევ ყველაზე უკან აღმოჩნდა, მაგრამ გუშინ გაცილებით მეტი გაკეთდა, ვიდრე მეორე სერიისას. მოკლედ, პროგრესი აშკარაა.

**ნიკო როსბერგმა** 89 წრე გაიარა და ვადაზე ადრე დაასრულა პროგრამა. **კიმი რაიკონენი** დიდი ხანი შეყოვნდა ბოქსებში - გასულ კვირას, „ფერარის" მთავარმა ინჟინერმა **ნიკ ფრაიმ** დაიჩივლა, რომ ახალ მანქანებზე მცირე პრობლემის მოგვარებასაც კი დიდი დრო სჭირდება. სალამოს ტესტები წითელი დროშების რეჟიმში დასრულდა - რაიკონენის ბოლიდის პრობლემების გამო.

დილით გუნდები კონცენტრირებული იყვნენ აეროდინამიკური ელემენტების ეფექტურობის შეფასებით, შესვენების შემდეგ კი იყო რბოლის იმიტაცია. ამ დროს შეაფასეს ძალისმიერი აგრეგატის მუშაობა საწვავის ეკონომიის რეჟიმში, იმუშავეს „პირელის" ახალი საბურავებით და დარწმუნდნენ მანქანების საიმედოობაში.

გავლილი დისტანციის მიხედვით, ლიდერები ისევ „მერსედესის" კლიენტები იყვნენ - ზამთრის ტესტებზე კილომეტრაჟით ისინი სხვებზე გაცილებით წინ არიან. ყველაზე მეტი წრე „უილიამსის" პილოტმა გაიარა - გასულ კვირას, გუნდმა პირველი ადგილი დაიკავა ამ მაჩვენებლით, როცა ოთხ დღეში 323 წრე დაფარა, გუშინ კი **ვალტერ ბოტასმა** 128 წრე გაიარა.

ოქმს სათავეში ჩაუდგა **სერხიო პერესი**, რომელმაც დილის სესიისას დააფიქსირა 1 წუთი და 35.290 წამი, რაც ორი წამით უარესია გასული კვირის საუკეთესო დროზე.



სერხიო პერესი

| 1 წრე | |
|---|---|
| 1. პერესი (Force India) | 1:35.290 (105 წრე) |
| 2. ბოტასი (Williams) | +0,894 (128) |
| 3. რაიკონენი (Ferrari) | +1,142 (54) |
| 4. როსბერგი (Mercedes) | +1,334 (89) |
| 5. სუტილი (Sauber) | +2,410 (89) |
| 6. მაგნუსენი (McLaren) | +2,535 (109) |
| 7. რიკარდო (Red Bull) | +2,618 (39) |
| 8. ჩილტონი (Marussia) | +3,320 (44) |
| 9. კვიატი (Toro Rosso) | +3,952 (56) |
| 10. მალდონადო (Lotus) | +5,309 (31) |
| 11. კობაიაში (Caterham) | +6,995 (19) |

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ევროპის ლიგა** | |
| **1/8 ფინალი. II მატჩები** | |
| რუბინი-ბეტისი | 0:2 (1:1) |
| ბაზელი-მაკაბი (თ-ა) | 3:0 (0:0) |
| აინტრახტი-პორტუ | 3:3 (2:2) |
| ლუდოგორეცი-ლაციო | 3:3 (1:0) |
| ნაპოლი-სუონსი | 3:1 (0:0) |
| ზალცბურგი-აიაქსი | 3:1 (3:0) |
| სევილია-მარიბორი | 2:1 (2:2) |
| შახტარი-პლზენი | 1:2 (1:1) |
| ალკმაარი-ლიბერეცი | 1:1 (1:0) |
| ბენფიკა-პაოკ | 3:0 (1:0) |
| ფიორენტინა-ესბერგი | 1:1 (3:1) |
| გენკი-ანჟი | 0:2 (0:0) |
| ლიონი-ჩერნომორეცი | 1:0 (0:0) |
| ტოტენჰემი-დნიპრო | 3:1 (0:1) |
| ტრაბზონი-იუვენტუსი | 0:2 (0:2) |
| ვალენსია-დინამო (კ) | 0:0 (2:0) |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| რუსენბორგი-ოდ გრენლანდი | 1:3 |
| ლოკომოტივი (მ)-მიოლდე | 1:0 |
| **კოლუმბია** | |
| ა. პეტროლერა-ატ. ხუნიორი | 1:0 |
| **სინგაპური** | |
| ნიიგატა-ჰარიმაუ | 3:0 |
| ტანიონგი-ჰუგანგი | 1:2 |
| **ავსტრალია** | |
| ადელაიდა-ველინგტონი | 5:1 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **ევროლიგა** | |
| ეფესი-ბარსელონა | 84:89 (ო) |
| კახა ლაბორალი-უნიკახა | 71:81 |
| მაკაბი-გალათასარაი | 97:81 |
| მილანი-პანათინაიკოსი | 77:75 |
| **ჰოკეი** | |
| **ნორვეგია** | |
| რუსენბორგი-სტავანგერი | 0:3 |
| ლილეჰამერი-ფრისკ ასკერი | 4:1 |
| სტორჰამარი-ლორენსკოგი | 2:3 |
| ტონსბერგი-სტიერნენი | 1:2 |
| სპარტა-ვოლერენგა | 2:1 (ბ) |
| **ფინეთი** | |
| ესეტი-ჰიფკ | 3:0 |
| იუვიასკიულა-იოკერიტი | 0:3 |
| **შვედეთი** | |
| აიკ-შელეფტეო | 2:6 |
| მოდო-ლინჩოპინგი | 2:3 (ბ) |
| ფერიესტადი-ვექსიო | 2:4 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. დუბაი** | |
| კოლშრაიბერი-ჟაზირი | 6:2, 6:3 |
| ცონგა-ბერდიხი | 4:6, 3:6 |
| ფედერერი-როსოლი | 6:2, 6:2 |
| **ATP. სან პაულუ** | |
| მონაკო-რამოსი | 7:6, 2:6, 7:5 |
| ლორენცი-დუტრა | 6:4, 6:3 |
| კლიჟანი-გრანოლერსი | 6:4, 6:3 |
| **WTA. ფლორიანაპოლისი** | |
| კადანტუ-შვედოვა | 3:6, 3:6 |
| ზაკოპალოვა-დულგერუ | 6:3, 6:2 |

## ჰოკეი

# ტავარესის ტრავმა – ოლიმპიადაზე უარის მიზეზი

კანადისნაკრების ფორვარდის **ჯონ ტავარესის** მძიმე ტრავმა, რომელიც მან სოჭის ოლიმპიურ თამაშებზე მიიღო, შესაძლოა, კარგი საბაბი გახდეს ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობისთვის - მომავალში უარი თქვას NHL-ის მოთამაშეების ოლიმპიადებზე გაშვებაზე, - ასე მიაჩნია Boston Globe-ის მიმომხილველს **ერიკ უილბურს**. შეგახსენებთ, რომ ტავარესი, რომელიც რეგულარულ ჩემპიონატში მესამეა ბომბარდირთა შორის, ლატვიასთან მატჩში დაშავდა - მეტოქე ჰოკეისტთან **არტურ კულდასთან** შეჯახებისას მუხლის მყესები დაიზიანა და სავარაუდოდ, სეზონის ბოლომდე დააკლდება „ნიუ იორკ აილენდერსს".

„ტავარესის ტრავმა, შესაძლოა, იმაზე ბევრს ნიშნავდეს, ვიდრე „აილენდერსის" პლეი ოფში ვერ მოხვედრაა. ეს შეიძლება გახდეს სერიოზული საბაბი ლიგისთვის - ღირს თუ არა 2018 წლის ოლიმპიადაზე საკუთარი ჰოკეისტების გაშვება, რადგან NHL-ს ჯერ არ მიუღია ამ საკითხთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება და იმედი აქვს, რომ უახლოესი ექვსი თვის განმავლობაში ჩამოყალიბდება.

რა თქმა უნდა, ჰოკეისტებს ძალიან უყვართ საკუთარი ქვეყნისთვის გამოსვლა, ლიგა კი მსოფლიო რეკლამას იღებს და ეს პლუსები ყველაფერს ჩრდილავს. ჰოკეი უყვარდება ბევრს, ჩნდება ფინანსური მოგების ახალი წყაროები. რამდენი ამერიკელი დადის დღეს ტი ჯეი ოშის მაისურით რუსეთთან მატჩში მოგებული ბულიტების სერიის შემდეგ?! როცა ამ საკითხზე კამათი დაიწყება, ლიგის კომისარი გერი ბეტმენი, რა თქმა უნდა, დაიცავს კლუბების მფლობელთა ჯიბეებს, პროფკავშირის შეფი დონალდ ფერი კი ერთგვარ თეთრ რაინდად წარმოგვიდგება და დაიცავს თამაშის ინტერესებს. პრობლემა იმაშია, რომ მფლობელები ვერ ხედავენ ოლიმპიადის დროს დროშის ფერებს - მათი მზერა მიმართულია ქაღალდების მწვანე ფერზე", - წერს უილბური.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ბაფალო-ბოსტონი 5:4 (ო)**

1:1, 2:2, 1:1, 1:0

გოლები: 1:0 გირგენსონსი-6 (ფლინი-5, მაკბეინი-8), 1:1 კ. კელი-5 (სოდერბერგი-22, ბარტკოვსკი-11), 2:1 მიერსი-7 (ჰოჯსონი-17, ერჰოფი-22), 3:1 ფლინი-5 (ლეინო-11, მაკბეინი-9), 3:2 ხარა-14 (ლუჩიჩი-25, კრუგი-21), 3:3 მარჩანდი-20 (რ. სმიტი-25), 3:4 ლუჩიჩი-18 (კრუგი-22, იგინლა-27), 4:4 მოულსონი-16 (გირგენსონსი-13, ლეინო-12), 5:4 დ'აგოსტინი-4.

**მონრეალი-დეტროიტი 1:2 (ო)**

0:1, 0:0, 1:0, 0:1

გოლები: 0:1 ბერტუცი-7 (ფრანცენი-15, ალფრედსონი-22), 1:1 ბ. ჯონსტა-12 (ბრიერი-9, მარკოვი-27), 1:2 ნიკუისტი-15 (ფრანცენი-16, დეკეისერი-10).

**კოლორადო-ლოს ანჯელესი 4:6**

2:1, 2:3, 0:2

გოლები: 0:1 რეგერი-3 (კოპიტარი-31, ტოფოლი-10), 1:1 რ. ო'რაილი-22 (ჰოლდენი-9, მაკგინი-11), 2:1 პარენტო-11 (დუშენი-32), 2:2 სტოლი-7 (დ. ბრაუნი-7, დ. კინგი-13), 3:2 მაკგინი-15 (რ. ო'რაილი-21, დუშენი-33), 4:2 ბენუა-3 (მაკინონი-23, პ. შჩასტნი-25), 4:3 კოპიტარი-18 (ჯ. უილიამსი-16, ვოინოვი-20), 4:4 ჯ. კარტერი-21 (მ. რიჩარდსი-30, მეტ გრინი-4), 4:5 კოპიტარი-19 (ჯ. კარტერი-18, ტოფოლი-11), 4:6 ჯ. უილიამსი-15 (დაუტი-23).

**ვანკუვერი-სტ ლუისი 1:0**

0:0, 0:0, 1:0

გოლი: 1:0 ჰანსენი-10 (სესტიტო-3).

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 3 | 11 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 5 | 10 | (წვიმა) |
| ბათუმი | 7 | 11 | (წვიმა) |
| ფოთი | 5 | 11 | (წვიმა) |
| ზუგდიდი | 5 | 10 | (წვიმა) |
| გორი | 1 | 8 | (წვიმა) |
| თელავი | 2 | 11 | (მცირე წვიმა) |
| სიღნაღი | 0 | 10 | (მცირე წვიმა) |
| გუდაური | -9 | 0 | (თოვლი) |
| ბაკურიანი | -5 | 3 | (თოვლი) |
| ბორჯომი | -2 | 5 | (თოვლჭყაპი) |
| მესტია | -5 | 3 | (თოვლი) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.3879 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.7495 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.9085 |
| 100 რუსული რუბლი | 4.8530 |

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი. მარტის კალენდარი

**1 მარტი**
ბოსტონი-ვაშინგტონი
აილენდერსი-ნიუ ჯერსი
ფილადელფია-რეინჯერსი
კოლამბუსი-ფლორიდა
ნეშვილი-ვინიპეგი
დალასი-ტამპა ბეი
ლოს ანჯელესი-კაროლინა
მონრეალი-ტორონტო
ჩიკაგო-პიტსბურგი
ედმონტონი-კალგარი

**2 მარტი**
ვაშინგტონი-ფილადელფია
ნიუ ჯერსი-სან ხოსე
აილენდერსი-ფლორიდა
ვანკუვერი-ოტავა
რეინჯერსი-ბოსტონი
კოლორადო-ტამპა ბეი
ფინიქსი-სენტ ლუისი
ანაჰაიმი-კაროლინა

**3 მარტი**
ტორონტო-კოლამბუსი
დალასი-ბაფალო
მინესოტა-კალგარი
ლოს ანჯელესი-მონრეალი

**4 მარტი**
ბოსტონი-ფლორიდა
ნიუ ჯერსი-დეტროიტი
კოლამბუსი-დალასი
ჩიკაგო-კოლორადო
სენტ ლუისი-ტამპა ბეი
ნეშვილი-პიტსბურგი
ვინიპეგი-აილენდერსი
ფინიქსი-ვანკუვერი
ედმონტონი-ოტავა
სან ხოსე-კაროლინა

**5 მარტი**
რეინჯერსი-ტორონტო
ფილადელფია-ვაშინგტონი
კალგარი-ოტავა
ანაჰაიმი-მონრეალი

**6 მარტი**
ბოსტონი-ვაშინგტონი
ვინიპეგი-ლოს ანჯელესი
დეტროიტი-კოლორადო
ტამპა ბეი-ბაფალო
ჩიკაგო-კოლამბუსი
ნეშვილი-სენტ ლუისი
დალასი-ვანკუვერი
ფინიქსი-მონრეალი
ედმონტონი-აილენდერსი
სან ხოსე-პიტსბურგი

**7 მარტი**
კაროლინა-რეინჯერსი
დეტროიტი-ნიუ ჯერსი
ფლორიდა-ბაფალო
კალგარი-აილენდერსი
ანაჰაიმი-პიტსბურგი

**8 მარტი**
ვინიპეგი-ოტავა
კოლორადო-სენტ ლუისი
ტორონტო-ფილადელფია
ტამპა ბეი-ბოსტონი
ნიუ ჯერსი-კაროლინა
ვაშინგტონი-ფინიქსი
ნეშვილი-კოლამბუსი
დალასი-მინესოტა
ვანკუვერი-კალგარი
სან ხოსე-მონრეალი

**9 მარტი**
ფლორიდა-ბოსტონი
ბაფალო-ჩიკაგო
რეინჯერსი-დეტროიტი
მინესოტა-სენტ ლუისი
ედმონტონი-ლოს ანჯელესი

**10 მარტი**
ვაშინგტონი-პიტსბურგი
ოტავა-ნეშვილი
ტამპა ბეი-ფინიქსი
დალასი-კოლამბუსი
კოლორადო-ვინიპეგი
კალგარი-ლოს ანჯელესი
ვანკუვერი-აილენდერსი
ანაჰაიმი-ტორონტო

**11 მარტი**
ბაფალო-ნეშვილი
ფილადელფია-ნიუ ჯერსი
კაროლინა-რეინჯერსი
კოლამბუსი-დეტროიტი
ფლორიდა-ფინიქსი
პიტსბურგი-ვაშინგტონი
სენტ ლუისი-დალასი
მინესოტა-ედმონტონი
სან ხოსე-ტორონტო

**12 მარტი**
მონრეალი-ბოსტონი
ვინიპეგი-ვანკუვერი
კოლორადო-ჩიკაგო
კალგარი-ანაჰაიმი

**13 მარტი**
ბოსტონი-ფინიქსი
კაროლინა-ბაფალო
კოლამბუსი-სან ხოსე
ტამპა ბეი-ფლორიდა
სენტ ლუისი-ედმონტონი
მინესოტა-რეინჯერსი
ლოს ანჯელესი-ტორონტო

**14 მარტი**
აილენდერსი-სან ხოსე
ვაშინგტონი-ვანკუვერი
დეტროიტი-ედმონტონი
ფლორიდა-ნიუ ჯერსი
ჩიკაგო-ნეშვილი
ვინიპეგი-რეინჯერსი
დალასი-კალგარი
კოლორადო-ანაჰაიმი

**15 მარტი**
ბოსტონი-კაროლინა
ფილადელფია-პიტსბურგი
მონრეალი-ოტავა
ტამპა ბეი-ნიუ ჯერსი
აილენდერსი-ბაფალო
ნეშვილი-სენტ ლუისი
მინესოტა-კოლამბუსი
ფინიქსი-კალგარი
ლოს ანჯელესი-ანაჰაიმი

**16 მარტი**
ფლორიდა-ვანკუვერი
ვაშინგტონი-ტორონტო
კაროლინა-ედმონტონი
რეინჯერსი-სან ხოსე
ოტავა-კოლორადო
ბაფალო-მონრეალი
პიტსბურგი-ფილადელფია
ჩიკაგო-დეტროიტი
ვინიპეგი-დალასი

**17 მარტი**
ბოსტონი-მინესოტა
ტამპა ბეი-ვანკუვერი
სენტ ლუისი-ვინიპეგი
ლოს ანჯელესი-ფინიქსი

**18 მარტი**
ნიუ ჯერსი-ბოსტონი
აილენდერსი-მინესოტა
პიტსბურგი-დალასი
კოლამბუსი-კაროლინა
მონრეალი-კოლორადო
ოტავა-რეინჯერსი
დეტროიტი-ტორონტო
ფილადელფია-ჩიკაგო
კალგარი-ბაფალო
ედმონტონი-ნეშვილი
ანაჰაიმი-ვაშინგტონი
სან ხოსე-ფლორიდა

**19 მარტი**
ტორონტო-ტამპა ბეი
ჩიკაგო-სენტ ლუისი
ვინიპეგი-კოლორადო
ვანკუვერი-ნეშვილი

**20 მარტი**
ნიუ ჯერსი-მინესოტა
ფილადელფია-დალასი
მონრეალი-კოლამბუსი
ოტავა-ტამპა ბეი
დეტროიტი-პიტსბურგი
ედმონტონი-ბაფალო
ფინიქსი-ფლორიდა
ლოს ანჯელესი-ვაშინგტონი
სან ხოსე-ანაჰაიმი

**21 მარტი**
კოლამბუსი-რეინჯერსი
ჩიკაგო-კაროლინა
კოლორადო-ბოსტონი
კალგარი-ნეშვილი

**22 მარტი**
ფილადელფია-სენტ ლუისი
პიტსბურგი-ტამპა ბეი
მინესოტა-დეტროიტი
დალასი-ოტავა
ლოს ანჯელესი-ფლორიდა
ტორონტო-მონრეალი
ნიუ ჯერსი-რეინჯერსი
ვინიპეგი-კაროლინა
ფინიქსი-ბოსტონი
ედმონტონი-კალგარი
სან ხოსე-ვაშინგტონი

**23 მარტი**
აილენდერსი-კოლამბუსი
პიტსბურგი-სენტ ლუისი
ნიუ ჯერსი-ტორონტო
ჩიკაგო-ნეშვილი
დეტროიტი-მინესოტა
ვანკუვერი-ბაფალო
ანაჰაიმი-ფლორიდა

**24 მარტი**
რეინჯერსი-ფინიქსი
ფილადელფია-ლოს ანჯელესი
ბოსტონი-მონრეალი
ტამპა ბეი-ოტავა
დალასი-ვინიპეგი
კალგარი-სან ხოსე

**25 მარტი**
ტორონტო-სენტ ლუისი
პიტსბურგი-ფინიქსი
ვაშინგტონი-ლოს ანჯელესი
კაროლინა-აილენდერსი
მონრეალი-ბაფალო
ფლორიდა-ოტავა
კოლამბუსი-დეტროიტი
ჩიკაგო-დალასი
ნეშვილი-კოლორადო
ედმონტონი-სან ხოსე

**26 მარტი**
მინესოტა-ვანკუვერი
რეინჯერსი-ფილადელფია
კალგარი-ანაჰაიმი

**27 მარტი**
ბოსტონი-ჩიკაგო
ნიუ ჯერსი-ფინიქსი
პიტსბურგი-ლოს ანჯელესი
დეტროიტი-მონრეალი
ტამპა ბეი-აილენდერსი
ფლორიდა-კაროლინა
სენტ ლუისი-მინესოტა
ნეშვილი-ბაფალო
კოლორადო-ვანკუვერი
სან ხოსე-ვინიპეგი

**28 მარტი**
ფილადელფია-ტორონტო
კოლამბუსი-პიტსბურგი
ოტავა-ჩიკაგო
დალასი-ნეშვილი
კალგარი-რეინჯერსი
ედმონტონი-ანაჰაიმი

**29 მარტი**
ვაშინგტონი-ბოსტონი
კოლორადო-სან ხოსე
ბაფალო-ტამპა ბეი
ტორონტო-დეტროიტი
ფლორიდა-მონრეალი
აილენდერსი-ნიუ ჯერსი
კაროლინა-კოლამბუსი
სენტ ლუისი-დალასი
ფინიქსი-მინესოტა
ვანკუვერი-ანაჰაიმი
ლოს ანჯელესი-ვინიპეგი

**30 მარტი**
ოტავა-კალგარი
დეტროიტი-ტამპა ბეი
ფილადელფია-ბოსტონი
პიტსბურგი-ჩიკაგო
ნეშვილი-ვაშინგტონი
ედმონტონი-რეინჯერსი

**31 მარტი**
ოტავა-კაროლინა
ნიუ ჯერსი-ფლორიდა
ანაჰაიმი-ვინიპეგი
ლოს ანჯელესი-მინესოტა

# კასიუს კლეის ბოლო ბრძოლა

## 50 წლის წინათ მუჰამედ ალიმ სახელი და ტიტული მიიღო

დაახლოებით ერთი კვირის წინ, უცნობმა ადამიანმა 836 ათასი დოლარი გადაიხადა ძველ საკრივო ხელთათმანებში. ბევრისთვის გაუგებარია ასეთი გიჟური თანხის გადახდა მოულოდნელ ნივთებში, მაგრამ ამ ხელთათმანისთვის ფული დასანანი არ უნდა იყოს. 50 წლის წინათ, 1964 წლის 25 თებერვალს, **კასიუს კლეიმ** (შემდეგში **მუჰამედ ალი**) ამ ხელთათმანებით მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის პირველი ტიტული.

ალი იმ სპორტსმენებიდანაა, რომლის შესახებ არა მარტო ყველას გაუგია, არამედ, მიაჩნია, რომ ბევრი რამ იცის მასზე. ვიეტნამის ომში წასვლაზე უარი, პარკინსონის დაავადება, ფილმი „ალი“ **უილ სმიტით** მთავარ როლში... ამ სამი ამბიდან მინიმუმ ორი ნებისმიერმა ადამიანმა იცის, მაგრამ ალის ცხოვრებაში სხვა საინტერესო ეპიზოდებიც ყოფილა და მათ შორის, ერთ-ერთ პირველ ადგილს იკავებს პირველი საჩემპიონო ბრძოლა **სონი ლისტონის** წინააღმდეგ. ჟურნალმა Sports Illustrated-მა ეს ბრძოლა მეოთხე ადგილზე დააყენა XX საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვანი სპორტული მოვლენების რეიტინგში. საინტერესო იყო ყველაფერი: თავად ბრძოლა, ის, რაც ხდებოდა შეხვედრის წინ და, რა თქმა უნდა, მოკრივეები, რომლებიც რინგზე გავიდნენ.

### ბანდიტი რინგზე

დღეს სონი ლისტონს, ძირითადად, ასე იხსენებენ - ადამიანი, რომელიც ორჯერ დამარცხდა კასიუს კლეისთან. ამ ორ წაგებამდე კი სონის არა უბრალოდ დაუმარცხებელ მოკრივეს უწოდებდნენ, არამედ ეს იყო მებრძოლი, რომელიც იქამდე გაანადგურებდა თავის მეტოქეებს, სანამ ეს საქმე არ მოჰბეზრდებოდა ან არ დაბერდებოდა. სხვათა შორის, ლისტონის დაბერების საკითხი დიდი ხანი აქტიურად განიხილებოდა პრესაში: მისი დაბადების ზუსტი თარილი ცნობილი არ არის. კლეისთან ბრძოლის დღეს, მისი ოფიციალური ასაკი 32 წელი იყო, მაგრამ ზოგიერთი ამტკიცებდა, რომ სონი 40 წელს იყო მიტანებული.

შესანიშნავი საკრივო თვისებების (ძალა, აგრესია, მომაკვდინებელი დარტყმა ორივე ხელით. იმ დროისთვის იშვიათი ჯები) გარდა, ლისტონს კიდევ ერთი იარაღი გააჩნდა. მასში იმდენი ბოროტება და ხიფათი იმალებოდა, რომ ყველაზე თამამი მოწინააღმდეგეებიც კი შეშინებული ადიოდნენ რინგზე და დაწყებამდე აგებდნენ ბრძოლას. დაახლოებით ასეთი „სიმპათიით“ იყო განმსჭვალული სონი მათ მიმართ, ვისთანაც რინგის მიღმა ჰქონდა შეხება.

ლისტონმა კრივი ციხეში ისწავლა, სადაც შეიარაღებული ძარცვის გამო მოხვდა. მისი კონტრაქტის მფლობელი იყო განგსტერი **ფრენკი კარბო ლუკეზების** ოჯახიდან. ის კრივში მაფიის ინტერესებს წარმოადგენდა. მაშინ არავისთვის იყო საიდუმლო ლისტონის თანამშრომლობა კრივის მაფიასთან.

მოკლედ, რინგზე ლისტონის ყველას ეშინოდა, ხოლო მათთვის, ვისთვისაც შიში უცხო იყო, სონი მაინც გადაულახავ ბარიერად რჩებოდა. 1962 წელს, ის ორ წუთსა და ექვს წამში გაუსწორდა ბრწყინვალე მოკრივე **ფლოიდ პატერსონს** და წაართვა მას მძიმე წონაში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული. 1993 წელს ისინი მეორედ შეხვდნენ ერთმანეთს და ამჯერად ფლოიდმა უფრო დიდხანს გაძლო რინგზე - მთელი ოთხი წამით და ორ წუთსა და ათ წამში წააგო.

შეუძლებელი იყო ლისტონი აშშ-ის საუკეთესო მოკრივედ არ ეღიარებინათ, მაგრამ ის, გასაგები მიზეზების გამო, არ უყვარდათ. ამერიკელთა დიდი ნაწილი ელოდა - როდის წააგებდა სონი, მაგრამ რთული იყო იმის წარმოდგენა, რომ მასზე ძლიერი მოკრივე მოინახებოდა. მაგრამ ის გამოჩნდა.





### ბუნტისთავი

რომში 1960 წლის ოლიმპიადაზე 81-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ოქროს მედლის მოპოვების შემდეგ, კასიუს კლეის თავისუფლად შეეძლო „კარგი ბიჭის“ იმიჯი შეექმნა. როცა უნდოდა, ის იყო სიმპათიური და ზრდილობიანი ახალგაზრდა მამაკაცი მომხიბვლელი ღიმილით და დაწყობილი ტექსტებით. მაგრამ კასიუსს არ უნდოდა კარგი ყოფილიყო და გახდა არა ცუდი, არამედ ძალიან ცუდი ბიჭი, რომელიც შეურაცხყოფას აყენებდა თავის მეტოქეებს, ჟურნალისტებსა და ყველას, ვინც წინ ხვდებოდა.

ლისტონთან ბრძოლაზე კონტრაქტის გაფორმების შემდეგ, მან ავტობუსი დაიქირავა და დაამშვენა წარწერით: Liston Must Go In Eight („ლისტონი მერვე რაუნდში უნდა დაეცეს“) და ღამის სამ საათზე სონის სახლთან მივიდა. მან არა მხოლოდ მომავალი მეტოქე, არამედ მთელი უბანი გაალვიძა.

ასე აგრძელებდა კლეი მომდევნო რამდენიმე კვირა. ლისტონის მეტსახელი - Big Bear („დიდი დათვი“) გადააკეთა და Big Ugly Bear („დიდი მახინჯი დათვი“) უწოდა, ჰპირდებოდა ხალხს, რომ ბრძოლის შემდეგ სონის ზოოპარკში ჩააბარებდა...

კლეიმ წერტილი დასვა აწონის ოფიციალურ ცერემონიაზე. ის ისტერიულად ყვიროდა, რომ ლისტონს შანსი არ ჰქონდა და მას მერვე რაუნდში მოუღებდა ბოლოს. გამოსვლა ასეთი სიტყვებით დაასრულა: „სავარაუდოა, რომ დღეს რინგზე ვიღაც ტყვიით მოკვდება“. ფლორიდის შტატის საკრივო კომისიამ (ბრძოლა მაიამი-ბიჩზე გაიმართა) იქვე დააჯარიმა კასიუსი 2 500 დოლარით, ექიმმა კი დაუფიქსირა პულსი - 120 დარტყმა წუთში.

ტყვია შემთხვევით არ უხსენებია. ბრძოლამდე რამდენიმე კვირით ადრე ცნობილი გახდა კლეის კავშირზე „ისლამის ერთან“ - ამერიკელი შავკანიანების ორგანიზაციასთან, რომელიც თეთრკანიანებს „სატანებს“ უწოდებდა და მათ შესაბამისად ეპყრობოდა. გარკვეული პერიოდი კლეისა და ლისტონის ბრძოლის ჩატარება ეჭვქვეშ იდგა. კომპრომისს მხოლოდ მაშინ მიაღწიეს, როცა მაიამი-ბიჩი დატოვა „ისლამის ერის“ ერთ-ერთმა ლიდერმა **მალკოლმ X-მ**.

კლეის გიჟურ გამოხდომებს ჟურნალისტებმა და ექსპერტებმა ერთი ახსნა მოუძებნეს - შიში. ბრძოლისწინა პროგნოზებისას, რეპორტიორები ძირითადად იმაზე ბჭობდნენ - რამდენ რაუნდს გაძლებდა კასიუსი: ერთს, ორს თუ სამს? ყველაზე ორიგინალურები კი ამბობდნენ, რომ პრეტენდენტი გონებას ჯერ კიდევ გასახდელში დაკარგავდა. ერთ-ერთმა რადიოსადგურმა ბრძოლის წინ გამოაცხადა, რომ კლეიმ მაიამი-ბიჩი დატოვა.

### რაუნდები, რომლებმაც შეძრეს მსოფლიო

როცა ბრძოლის წინ მეტოქეები ერთმანეთის პირისპირ დადგნენ, ბევრისთვის აღმოჩენა გახდა ის, რომ კლეი ექვსი სანტიმეტრით მაღალი იყო ლისტონზე. კასიუსმა გაამძაფრა ეს შთაბეჭდილება, როცა ფეხის თითებზე აიწია.

ლისტონმა თავიდანვე სცადა პრეტენდენტის განადგურება, მაგრამ ეს უკანასკნელი სწრაფი და მოქნილი აღმოჩნდა. სონი რაც უფრო მეტ დარტყმას აცილებდა მიზანს, მით უფრო დამაჯერებლად გრძნობდა თავს კასიუსი. რაუნდის ბოლოს კლეიმ მძლავრი კომბინაცია შეასრულა და დარბაზი „აფეთქდა“. ისეთი ხმაური იყო, რომ რეფერიმ **ბარნი ფელიქსმა** გონგის ხმა ვერ გაიგონა და რაუნდი 20 წამით გვიან დასრულდა. ლისტონმა მხოლოდ ერთხელ მოარტყა მეტოქეს კორპუსში.

მეორე რაუნდი დასამახსოვრებელი იყო ლისტონის შეტევით, როცა მისმა მარცხენა დარტყმამ მიაღწია მიზანს. მაგრამ ამ რაუნდშიც მას სამიდან ორმა მსაჯმა მისცა გამარჯვება, მესამემ კი ფრე დაწერა. მესამე რაუნდში ბრძოლა კლეის კონტროლით წარიმართა. ლისტონს სერიოზულად ჰქონდა დაზიანებული მარჯვენა თვალი, მარცხნივ კი წარბი გაუსკდა და ექიმებს რვა ნაკერის დადება მოუწიათ. კასიუსის ერთ-ერთი შეტევის შემდეგ, სონის მუხლები მოეკვეთა. მან წონასწორობა შეინარჩუნა, მაგრამ მიხვდა, ყველაფერი საითკენ მიდიოდა.

მეოთხე რაუნდში პრეტენდენტი ბევრს მანევრირებდა და არ ცდილობდა უპირატესობის განვრცობას, შემდეგ კი რინგზე უცნაური ამბები დაიწყო. კლეიმ თვალების სრესა დაიწყო და შესვენებაზე კინაღამ უარი თქვა ბრძოლის გაგრძელებაზე. *„მომხსენი ხელთათმანები!“* - დაუყვირა თავის მწვრთნელს **ანჯელო დანდის**. *„გადი რინგზე და გაექეცი ლისტონს!“* - უპასუხა დანდიმ და აიძულა კასიუსი რინგზე დაბრუნებულიყო. როგორც შემდეგ აღიარა, მეხუთე რაუნდში კლეი მხოლოდ ლისტონის სილუეტს ხედავდა. ეს საკმარისი აღმოჩნდა გაეძლო ამ ერთ რაუნდში.

ალბათ, ველარასოდეს გავიგებთ - რა დაემართა თვალებზე კლეის. ერთი ვერსიით, ნივთიერება, რომლითაც ლისტონს ჭრილობას უმუშავებდნენ, კასიუსს ერთ-ერთი კონტაქტის დროს თვალში მოხვდა. მეორე ვერსიით, ჩემპიონის სეკუნდანტებმა სპეციალურად წაუსვეს ეს ნივთიერება მის ხელთათმანებს.

ნებისმიერ შემთხვევაში, მეექვსე რაუნდის დასაწყისში, კლეის სეკუნდანტებმა საკუთარ მოკრივეს თვალები გაუწმინდეს და სრულფასოვანი მხედველობა დაუბრუნეს. ლისტონისთვის ეს დასასრული იყო. მეექვსე რაუნდში კლეის ნებისმიერი დარტყმა გამოსდიოდა. მეშვიდე რაუნდზე სონი არ გავიდა. ერთნი ამბობენ, რომ მან თავად თქვა უარი ბრძოლის გაგრძელებაზე, მეორენი - ეს გადაწყვეტილება მისმა გუნდმა მიიღო.

კლეიმ ჯერ რეპორტიორებს დაუყვირა რაღაც, შემდეგ მთელი ხმით იყვირა: „მე უდიადესი ვარ!“ შემდეგ კი იბღავლა: „მე შევძარი სამყარო!“ მსოფლიოს ის ნაწილი, რომელიც ამ ბრძოლას ადევნებდა თვალს, მართლაც გაოგნებული იყო. როცა მსოფლიოს ახალი ჩემპიონი ოდნავ დაწყნარდა, თქვა: „შემხედეთ. ჩემს სხეულზე დარტყმის კვალი არ არის. არ შეიძლებოდა აუტსაიდერი ვყოფილიყავი. მე დიადი ვარ. განადიდეთ ჩემპიონი!“

ლისტონი ამტკიცებს, რომ მას ბრძოლის გაგრძელების საშუალება მხრის ტრავმამ არ მისცა. ტრავმა მას მართლაც ჰქონდა: მხარი ბრძოლისადმი მზადების პროცესშიც აწუხებდა და ვარჯიშში ხელს უშლიდა. სხვა საკითხია, ეს ტრავმა იყო თუ არა ლისტონის უარის რეალური მიზეზი.

მომდევნო დღეს კასიუს კლეიმ განაცხადა, რომ იცვლის სახელს - გარკვეული ხნის შემდეგ, „ისლამის ერის“ ლიდერმა **ელაიჯ მუჰამედმა** მოკრივეს მისცა სახელი - მუჰამედ ალი. გავა ორი ათეული წელი და ადამიანი, რომელსაც ყველა წაგებას უსურვებდა, ამერიკის ერთ-ერთი გმირი გახდება.

**გია თვალაბეიშვილი**

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38)**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28)**, **გია ტუხაშვილი (555 50 05 13)**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: contact@pallitra.ge; მისამართი: იოსებიძის, 49.

ტელეფონი: 238 84 44; 238 74 44 (რედაქცია). 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:55 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გია ტუხაშვილი

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608